

0809 გეგელია

ბანძა -
ესპოზები სოფლის მარსულიდან
I

ქუთაისი
2020

*გუდოვნი დედაჩემის - ნაზიპროლა კოკაიას ხსოვნას, -
ვინც ბრძოლა და გადარჩენა მასწავლა.
ავტორი*

წერილობითი წყაროებისა და სპეციალური სამეცნიერო ლი-
ტერატურის განხილვის საფუძველზე მკვლევარს შესწავლილი
აქვს სამეგრელოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოფლის - ბანდის
ისტორიული გეოგრაფია, სარკინიგზო ხაზის მშენებლობის მცდე-
ლობისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ისტორია, 1924
წლის აგვისტოს აჯანყების გამოძახილი და სხვ. წიგნში შესული
სტატიები სხვადასხვა დროს დაიბეჭდა პერიოდულ პრესასა და
სამეცნიერო კრებულებში. ზოგიერთ სტატიაში ცალკეულ საკი-
თხებზე მსჯელობა მეორდება, რაც შინაარსობრივი მხარით არის
გამოწვეული.

**რედაქტორი ანა ჩიქვანაია
რეცენზენტი დავით ჭითანავა**

ISBN 978-9941-417-31-3

ბანდის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება

ბანდა სამეგრელოს უკიდურეს ადმოსავლეთ ნაწილში, გაშლილ ველზე მდებარე სოფელი და თემის ცენტრია. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მარტვილის მუნიციპალიტეტში შედის და ზ. დ. 90 მ-ის სიმაღლეზეა. ქალაქ მარტვილს 12 კმ-ითაა დაშორებული. სოფელი წერილობით წყაროებში პირველად მოხსენიებულია 1639-1640 წლებში, ოდიშის სამთავროში რუსეთის ელჩების აღწერილობაში. მოსკოვის მთავრობის ელჩობის შემადგენლობაში შედიოდნენ ფედოტ ელჩინი და მღვდელი პავლე ზახარიევი: „Марта въ 28 де въ Панзу пришли Марта въ 29 де пошли из Панзи“¹, - ვკითხულობთ აღწერილობაში. 1642 წლით დათარიღებულ საისტორიო დოკუმენტში მოხსენიებული ბორბა, საფიქრებელია, ბანდის დამახინჯებული ფორმა იყოს. დოკუმენტის მიხედვით აქ მცხოვრები ბუძოლები ქვაშია ლევან დადიანს მამამისის - მანუჩარის სულის საოხად (მ)თაწმიდის ხარების დგომის მშობლის ეკლესიისთვის შეუწირავს².

XVII საუკუნის ცნობილი თურქი ისტორიოგრაფის - ქათიბ ჩელების მიერ შედგენილ რუკაზე რიონსა და ხობს შორის მოთავსებული და ციხედ მინიშნებული ბჯა ფონეტიკურად ტრანსფორმირებული ბანდა უნდა იყოს³.

ამავე საუკუნის იტალიელი მეცნიერ-მოგზაურის - არქანჯელო ლამბერტის რუკაზე, მდ. აბაშის მარცხენა მხარეს დატანილია პუნქტი Pansas, რაც ამჟამინდელი სოფ. ბანდაა. იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის მიერ 1737 წელს შედგენილ რუკაზე აღნიშნულია ბანდა-ფალას სასახლე.

ცხენისწყლის ხეობაში მდებარე დასახლებულ პუნქტთა შორის ვახუშტი ბატონიშვილი პირველად ბანდას ასახელებს: „...ცხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანდა და ციხე კეთილნაშენი“⁴.

¹ გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636-1640 წლები. თბ., 2014, გვ. 450.

² მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, თბ., 1964, გვ. 46.

³ ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. საქართველოს ისტორიის წყაროები, 10, 60.

⁴ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუჩხიშვილის მიერ. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 776.

ვახუშტისეული „ციხე კეთილნაშენი“, მართალია, ცხენისწყლის დასავლეთით (მარჯვენა მხარეს) მდებარეობს, მაგრამ არა ცხენისწყლის, არამედ მდ. აბაშის ხეობაში, აბაშის მარცხნა ნაპირას⁵.

დღეს ციხის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მუდმივმოქმედმა ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, პროფ. პარმენ ზაქარაიას ხელმძღვანელობით, აღნიშნული ციხე 1977-1979 წლებში შეისწავლა. ექსპედიციამ გამოავლინა საცხოვრებელი კომპლექსი, კერძოდ, მცირე ზომის აბანოსა და ტეტრაკონქის ტიპის ეკლესიის (V ს. ბოლო- VI ს-ის დასაწყისი) ნაშთები. გათხრების შედეგად ცხოვრების მეორე კვალიც დადასტურდა, რომელიც X-XIII სს-ით თარიღდება. ამ პერიოდში ველზე ახალი ტიპის არქიტექტურული ნაგებობა - რვააფსიდიანი ეკლესია აუგიათ, რომელიც X ს-ის დასასრულით თარიღდება. ცხოვრების მესამე კვალი XVI-XVIII საუკუნეებზე მოდის და იგი ციხე-დარბაზის სახით არის წარმოდგენილი⁶. „...თითქმის 1500 წლის განმავლობაში ხალხი სამჯერ დასახლდა და სამჯერვე დაარბიეს, ნაგებობები გადაწვეს და დაანგრიეს. დღევანდელ მნახველთათვის ის არაფრით გამოირჩევა, მაგრამ იმ ეპოქისათვის უთუოდ ექნებოდა რაღაც უპირატესობა... ესაა სწორი ადგილი, მდინარისპირა ჭალა და ამიტომაც ყოველი მხრიდან დაუცველია. თვით მდინარე, რომელიც ახლა ორასიოდე მეტრითაა დაცილებული, შესაძლოა, მაშინ ახლოს ჩაუდიოდა, მაგრამ დაცვას ისიც ვერ უშველიდა... მიუხედავად ზემოაღნიშნული მიზეზებისა, ფაქტი ფაქტად რჩება - სამჯერ დასახლდნენ, მაგრამ სამივეჯერ ტრაგიკულად დამთავრდა მათი ცხოვრება“⁷.

ვაკეზე აგებული ციხის გეგმა მოზრდილი ოვალია. მის მახლობლად აგებული პალატი ოთახებიან შენობას წარმოადგენს, რომლის მხოლოდ ნანგრევებია იატაგის დონეზე შემორჩენილი. კედლების სისქეთა მიხედვით ირკვევა, რომ იგი ორსართულიანი

⁵ ი. ქაკელია, ბანბის ციხე. გაზ. „მახარია“, #9, 2002, გვ. 7.

⁶ პ. ზაქარაია, თ. კაბანაძე, დასახელებული ნაშრომი, 233-254.

⁷ პ. ზაქარაია, ნ. ლომთური, გ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე, ციხეგორჯი-ნოქალაქევი, თბ., 1984, გვ. 12.

ყოფილა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ, ქვის ნაგებობების გვერდით, ხის შენობებიც იქნებოდა, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, მათი არსებობა სადღეისოდ არ დასტურდება. აქ რომ მართლაც იდგა დადიანთა ხის სასახლე, დასტურდება ნიკო დადიანის შემდეგი ცნობით: „ამისთვის იმეცადინა გიორგიმ დადიანის ძემ და მიიბირა გელოანი ქაიხოსრო და მოუწოდა გრიგოლს თვის-სა სასახლესა შინა ნოჯიხევს“⁸.

ბანძაში, ნოჯიხევის ველზე, ტეტრაკონქის აღმოჩენას ის დიდი მნიშვნელობაც აქვს, რომ იგი ამ ტიპის ერთადერთი ეკლესიაა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა მიკვლეული. „ამ აღმოჩენით ასეთი ტიპის გავრცელების არეალი გაიზარდა, თითქმის მთელი საქართველო მოიცვა. ამიტომაც ძველი ქართული არქიტექტურის ისტორიისათვის ამ აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს“⁹.

საქართველოს არქიტექტურის ისტორიაში სრულ სიახლეს წარმოადგენს ბანძაში რვააფსიდიანი ეკლესიის აღმოჩენაც, ვინაიდან ასეთი ტიპის ტაძარი საქართველოში მანამდე ცნობილი არ იყო¹⁰.

ეკლესიის ნანგრევებში ნაპოვნია მრავალი არქიტექტურული დეტალი, ჩუქურომისა და ლაპიდარული წარწერის ფრაგმენტები, ნუმიზმატიკური მასალა (15 ცალი) და სხვ.¹¹

ვახუშტი ბატონიშვილი XVII ს-ის ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ცხოვრების ეპიზოდების აღწერისას ბანძას არაერთხელ მოიხსენიებს: „ბანძას ბრძოლასა შინა შეიპყრნეს ქართველნი...“¹²; „იქნა ბრძოლაცა ბანძას სასტიკო“¹³; „მაშინ იძლივნენ იგინი ბანძას და ლტოლვილთა მოსვრიდნენ ალექსანდრესანი“¹⁴. იქვე წერს: „მივიდა ბანძიდამ ქუთათისს“¹⁵. მოტანილი ამონარიდებით ვახუშტი ეხმაურება იმერეთის მეფე ალექსანდრე III-სა და გურია-ოდი-

⁸ ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 188.

⁹ ვ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 59.

¹⁰ იქვე.

¹¹ ვ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 251.

¹² ვახუშტი, აღწერა..., IV, 1973, გვ. 447.

¹³ იქვე. გვ. 833.

¹⁴ იქვე. გვ. 834.

¹⁵ იქვე. გვ. 834.

შის მთავრებს შორის 1658 წელს გამართულ ბრძოლას. გამარჯვებულმა იმერეთის მეფემ ოდიშის მთავრის ტახტე ვამეყ ლიპარტიანი დასვა. ბანძის ბრძოლის შესახებ ცნობებს გვაწვდის 1680 წლის ახლო ხანებში შედგენილი „შეწირულების სიგელი“, სადაც ვკითხულობთ: „ეს ხუხუ ოდიშარია ბანძის ომზე დაკარგულიყო და კაცია ჭილაძეს დაეხსნა“¹⁶.

ვფიქრობთ, ის გარემოება, რომ „ბანძა და ციხე კეთილნაშენი“ ვახუშტის მიერ ცხენისწყლის ხეობის აღწერისას არის მოხსენიებული, უნდა აიხსნას ბანძის იმდროინდელი გეოგრაფიული მდებარეობის, კერძოდ, ტერიტორიულად დიდი მოცულობის, გათვალისწინებით.

ბანძის „ციხე კეთილნაშენი“ თ. ბერაძემ 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე აღნიშნულ „ბანძა-ფადაოს სასახლესთან“ გააიგივა: „ამ პერიოდში დიდი ფეოდალის სასახლე იმავე დროს ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. ამიტომ ვახუშტი სწორია, როდესაც ბანძაში ციხეს აღნიშნავს“¹⁷.



ბანძის (ნოჯიხევის) რვააფსიდიანი ტაძრის ნაშთი. X ს-ის დასასრული

¹⁶ ქართული სამართლის ქეგლები, ტ. III. თბ., 1970, გვ. 581.

¹⁷ თ. ბერაძე, ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. IV, თბ., 1971, გვ. 55.

თ. ბერაძის ეს მოსაზრება არასწორად მიგვაჩნია. „ბანძა-ფალაოს სასახლე“ ბანძის სამხრეთით მდებარეობდა, ხოლო ვახუშტისეული ბანძის ციხე სოფლის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილშია აგებული და მას დადიანები ფლობდნენ.

XVIII ს-ის გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი სამეგრელოს ორ ნაწილად ყოფს. დასავლეთ ნაწილს ოდიშს უწოდებს, ხოლო აღმოსავლეთს - სამეგრელოს. ამ უკანასკნელში იგი თავის მხრივ ორ მხარეს არჩევს: **ბანძას** და **(ვ)აბაშას**. გიულდენშტედტი იქვე ჩამოთვლის ბანძასა და აბაშაში შემავალ სოფლებს¹⁸.

ამ ცნობაზე უურადღება გაამახვილა მკვლევარმა შ. ჯდარკავამ და შენიშნა, რომ სოფლების ჩამონათვალის არათანმიმდევრულობის გამო თითქმის შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანი მიეკუთვნებოდა ბანძის მხარეს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ბანძის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია ბანძის შემადგენლობაში იყო, ხოლო სამხრეთი ვაბაშას ანუ აბაშას ეკუთვნოდა¹⁹. მკვლევარი თავის მოსაზრებას იმ ფაქტით ამყარებს, რომ 1819 წელს შედგენილ საქართველოს გენერალურ რუკაზე, რაც ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, ბანძის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას აწერია „**აბაშის**“²⁰.

ეკატერინე ჭავჭავაძის მდივანი (შემდეგ სენაკის მაზრის უფროსი) კორნელი ბოროზდინი, თავის მოგონებებში სამეგრელოს ყოფა-ცხოვრების შესახებ, გადმოგვცემს XIX ს. I ნახევრის ბანძის გეოგრაფიულ მდებარეობას და წერს, რომ ბანძას ეჭირა აბაშასა და ცხენისწყალს შუა მდებარე, 40 ვერსის სივრცე ადგილი, სადაც 75-ზე მეტი კომლი თავადი ფალავა და 800 კომლი აზნაური და გლეხი მოსახლეობდა. „ამ სახით, ბანძა სენაკის ოლქში Status in status-ს (სახელმწიფო სახელმწიფოში) ჰგვანდა, ხოლო მებატონე ფალავები ცალკე ელემენტს, ცალკე ძალას“, - წერს კ. ბოროზდინი.

¹⁸ იოჰან ანტონ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, თბ., 1962, გვ. 323.

¹⁹ შ. ჯდარკავა, სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება). თსუ შრომები, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, ტ. 113 (V), თბ., 1965, გვ. 274.

²⁰ იქვე.

ნი²¹.

მისივე თქმით, ცხენისწყლის ნაპირას მდებარე სოფლები ლეხაინდრო და ნაგვაზუ, ფალავების საყმოს წარმოადგენდა²².

ბანძის ისტორიის მკვლევარი აღ. გაბუნია სოფლის ისტორიულ-გეოგრაფიულ მდებარეობას შემდეგ საზღვრებში გადმოგვცემს: „კოლხეთის გული, მისი ცენტრალური ნაწილი, გაშლილი ველია, რომლის ჩრდილოეთი ნაწილის მეტად მნიშნელოვანი ტერიტორიული მონაკვეთია მდინარე აბაშასა და ცხენისწყალს შორის დაცემული ველი, რომელიც ჩრდილოეთით უნაგირასა და მარტვილის ბორცვებით იზღუდება, აღმოსავლეთით ცხენისწყლისპირები ეკვრის, ხოლო დასავლეთით უნაგირას ზოლი საზღვრავს, სამხრეთით ეს ველი სეფიეთისა და სამიქაოს გაშლილ ველებში გადადის. მას ძველთაგანვე ბანძას ეძახიან. იგი მეტად საინტერესო რელიეფური წარმონაქმნია, ქვიშნარმიწა, წყაროსწყლებით უხვი, ხეხილისა და ბაღნარის გასაშენებლად ოდითგანვე ცნობილი და აღიარებული. ეს მზისგული ველი, ეტყობა, ძველთაგანვე ყოფილა კოლხეთის სამეურნეო ცხოვრების ერთ-ერთი მეტად საინტერესო, მეტად განვითარებული უბანი“²³

ბანძის სოფლის საზოგადოება საკმაოდ დიდი მოცულობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა მოგვიანებითაც, XIX-XX სს-ში. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული 1838 წლის დოკუმენტში სამეგრელოს ეპარქიის სოფლებს შორის დასახელებულია სოფ. ბანძა, მთავარანგელოზის ეკლესიით. ეს უნდა იყოს ამჟამინდელი ვედიდკარის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია. იქვე დასახელებულია კარის წმ. გიორგის ეკლესია, რაც, საგარაუდოდ, ჯეგეგარის, ან შაურკარის ეკლესია უნდა იყოს (ორივე ბანძაში შედიოდა)²⁴. 1864 წლით დათარიღებული საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გაბუნიას საბლადოჩინოში შედიოდა სოფელი ბანძა, ურიასკარის წმ. გიორგის ეკლესია, სადაც მდვდლები ყოფილან მარკოზ და საბა გაბუნიები, ხოლო „პრიჩეტნიკები“ - სიმეონ კეკელია და დიმიტ-

²¹ ქ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი. ტფ., 1934, გვ. 248-249.

²² იქვე გვ. 250.

²³ აღ. გაბუნია, სოფელ ბანძის ისტორიისათვის. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო სესია (თეზისები). გვეგმვით, 1971, გვ. 12.

²⁴ ს. ც. ა., ფონდი 489, აღწერა 1, საქმე 65509.

რი გაბუნია. იქვე დასახელებულია **ბანძა-ვედიდკარის** მთავარანგელოზის ეკლესიის მდგდლები - იოანე ფოჩხუა და მოსე ურიდია, ხოლო „პრიჩეტნიკებად“ - იოანე ფანცულაია და ნიკოლოზ ურიდია²⁵.

XIX საუკუნის შუა ხანებში დაგით დადიანის (1840-1856 წწ.) მიერ ოდიშ-ლეჩხუმი რვა მაზრად დაიყო. მაზრებისა და მათში გაერთიანებული სოფლების შესახებ ცნობებს გვაწვდის გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია. მისი ცნობით, ბანძა სუჯუნის მაზრაში შედიოდა²⁶. 1873 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალებში სენაკის მაზრის სოფლებს შორის დასახელებულია ს. ბანძა (**ბონზო, ბანზო**), ერთი ეკლესიით²⁷.

ბანძის შაურკარის წმ. გიორგის ეკლესიის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „ეკლესია აქაც ახალია, ქვისა, წმიდის გიორგის სახელზედ აშენებული. ხატი წმიდა გიორგისა, 27+21 სანტიმეტრი, ვერცხლის არის, ქართულის ხელობისა. წმიდა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი, ვეშაპს გმირავს შუბით... ხატს უზის ცხრა ძვირფასი ქვა ზემო ნაწილზე.“

მეორე გვერდზე მხედრული წარწერაა:

„წელსა ჩყმზ-სა ივლისის კზ-სა. წმინდა გიორგი, ჩვენ მოსავმან შენმან თავადმან ფალავამ კაციამ და მეცხედრემან ჩემან ზეფისშვილის ასულმან ელისაბედმან გავაჭედინეთ ხატი ესე შენი საფასითა ჩვენითა სულისა ჩვენისა საოხად და ძეთა ჩვენთა წარსამართებლად“.

ეკლესიას დიდი ეზო აქვს ჩვეულებრივი დიდრონი ხეებით შემკობილი... ფალავას გვარი უმეტესად ეხლაც ბანძაში ცხოვრობს“²⁸.

XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესასწავლად საინტერესო მონაცემებია დაცული რუსეთის იმპერიის 1886 წელს განხორციელებულ

²⁵ დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010, გვ. 67.

²⁶ ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დაგით დადიანი, თბ., 1939, გვ. 112.

²⁷ დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010, გვ. 76.

²⁸ ქ. თავაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. ქრ. „ძველი საქართველო“, ტ. III, ტფ., 1913-1914, გვ. 38-39.

ამიერკავკასიის კომლობრივი აღწერის მასალებში, რაც 1893 წელს რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამოიცა. აღწერის მასალები-დან ჩანს, რომ ამ პერიოდისათვის არსებობდა სენაკის მაზრის ნა-ქალაქევის უბანში გაერთიანებული 11 საზოგადოება, 43 სოფლით. ბანძის სოფლის საზოგადოებაში შედიოდა ოთხი სოფელი: **ბანძა, ვედიდგარი, მახათი და მუხურჩა.**

მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით ცალკეულ სოფლებ-ში ასეთი ვითარებაა:

ბანძა - 372 კომლი; მ. შ. 1194 სული - მამაკაცი, 1018 სული - ქალი. სულ - 2212 სული;

ვედიდგარი - 132 კომლი; მ. შ. 438 სული - მამაკაცი, 397 სული - ქალი. სულ - 2212 სული;

მუხურჩა - 70 კომლი; მ. შ. 203 სული - მამაკაცი, 210 სული - ქალი. სულ - 413 სული.

ოთხივე სოფელში კომლთა რაოდენობა შეადგენდა 588-ს. მ. შ. 1888 სული მამაკაცი იყო, 1671 სული - ქალი. სულ სულთა რაოდენობა 3559-ს შეადგენდა.

საქართველოს სსრ 1925 წლის ადმინისტრაციული დაყოფის ცნობარის მიხედვით სენაკის მაზრაში შემავალი ბანძის თემი აერთიანებს შემდეგ სოფლებს: ბანძას, ვედიდგარს, მუხურჩას, ორქას, მახათს, ლევახანეს და ლეფოჩხუეს. თემის ფართობი მოიცავდა 28,08 კმ²-ს, ხოლო რადიუსი - 5,01 კმ-ს. კომლთა და სულთა რაოდენობის მიხედვით ცალკეულ სოფლებში შემდეგი სურათია ნაჩვენები: ბანძა - 711 კომლი, 3484 სული, ვედიდგარი - 232 კომლი, 1067 სული, მუხურჩა - 133 კომლი, 593 სული, ორქა - 89 კომლი, 368 სული, მახათი - 30 კომლი, 152 სული, ლევახანე - 52 კომლი, 250 სული, ლეფოჩხუე - 111 კომლი, 508 სული²⁹.

საქართველოს სსრ 1930 წლის ადმინისტრაციული დაყოფის ცნობარის მიხედვით არსებობს ბანძის სასოფლო საბჭო, ხუთი სოფლით:

ბანძა - 574 კომლი, 2853 სული. მ. შ. 2172 სული ქართველი, 677 სული - ებრაელი, 3 სული - რუსი, 1 სული - სომები;

ვედიდ-გარი - 263 კომლი, 1226 სული (ყველა ქართველი);

²⁹ სსრ დაყოფა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა. ტფ., 1925, გვ. 95.

ლევახანე - 49 კომლი, 253 სული (ყველა ქართველი);

ლეფოჩხუე - 108 კომლი, 536 სული (ყველა ქართველი);

მუხურჩა - 134 კომლი, 658 სული (ყველა ქართველი);

ორქა - 89 კომლი, 380 სული (ყველა ქართველი)³⁰.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1949, 1961, 1966, 1977 და 1987 წლების მონაცემებით გეგმჭკორის რაიონში შემავალი ბანდის სასოფლო საბჭო ოთხ სოფელს: ბანდას, ლევახანეს, ლეპეკელეს და ლეპატარავეს აერთიანებს³¹.

ბანდაში შემორჩენილია V საუკუნის აბანოსა და ოთხაფსიდიანი ეკლესიის, X საუკუნის რვააფსიდიანი ტაძრისა და გვიანი შუა საუკუნეების ციხე-დარბაზის ნანგრევები, აგრეთვე ებრაელთა სინაგოგა (1914 წ.).

სოფლის სახელწოდების შესახებ რამდენიმე განმარტება არსებობს: 1. „ბანდას ადგილობრივი მოხუცები განმარტავენ ბანი მგად - ბანის კიდედ (მგა მეგრულად კიდეს ნიშნავს)“³²; 2. სამეგრულოს მთავარს ჩამოუვლია აქ, უამრავი ხალხი უნახავს, გაკვირვებია და უთქვამს - მუ ხალხი დგნობანმუენია თაქ „რა ხალხი ყოფილა (ირევაო) აქ. ბანდ-ბრანდ-ბანდ- მეგრული ძირებია და ნიშნავს დავას, აშლას, არეულობას³³; 3. „უხსოვარი დროიდან ამ სოფელში იმართებოდა დღეობა. იცოდნენ „ჯარობა“ - თავშეყრა, გართობა, რიკტაფელას თამაში. ერთხელ, მომდერალი ბიჭი, რომელიც ჩონგურზე უკრავდა და ტკბილად დიღინებდა, იქვე, ხალხის წრეში მდგარ გოგონასთან მისულა და უნიშნებია, რომ მასთან ერთად ემდერა. გოგონა დამორცხვებულა და სიმღერაზე უარი განუცხადებია. მაშინ გაკვირვებულ ბიჭს უთქვამს მისთვის - ბანი, ძღა (ბანი, გოგოვ!), ესე იგი ჩემთან ერთად იმდერეო. ამის შემდეგ თითქოს სოფელს ბანდა დარქმევია“; 4. „თავად ფალავას ქორი მოუკლავს,

³⁰ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ტფ., 1930, გვ. 143.

³¹ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1949, გვ. 31; საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1961, გვ. 33; საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1966, გვ. 33; საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1977, გვ. 38; საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1987, გვ. 42.

³² გ. ელიავა, ჭყონდიდ-მარტვილი უმველესი ქართული საგანმანათლებლო კერა (მეგზური), თბ., 1969, გვ. 23.

³³ ა. ჩიქვანაია, სოფელ ბანდის ისტორიისათვის. გეგმჭკორის სარაიონთაშორისო სამხარეომცოდნეო მუზეუმის XXVII სამეცნიერო სესია (მასალები). თბ., 1982, გვ. 68.

ცაზე ირაოს რომ აკეთებდა. ქორი სახლის ბანზე დავარდნილა. თავადს უყვირია - **ბანზე დავარდა, ბანზეო**“; 5. „სოფელში ჩამოსულ პირველ მოსახლეს ბანიანი სახლი აუგია და სოფელსაც **ბანა-ბანძა** ამიტომ ეწოდა“; 6. „შაირიანი ხალხი ცხოვრობს ამ სოფელში და ბანძაც ამიტომ ჰქვია. „ბანძ“ არეულობას, შინააშლოლობას ნიშნავს“; 7. „ბანძელი ფალავები და გაბუნიები ცხენის განთქმული ქურდები იყვნენ. ერთხელ თავად ფალავას ცხენი მოუპარავს. ცხენის პატრონს ერთი ამბავი აუტეხავს - **იფრეი ეუბანძდუ, ბანძდი გეუბანძუ** „უკელაფერი აურევია, დავა, ჩხუბი აუტეხავს“, ე. ი. გაბრაზებულაო. ამიტომ სოფლისთვის **ბანძდი, ბანძდა** (ბანძა) დაურქმევიათ“; 8. „ბანძელა, ბაძუ კაცის სახელია. ამ სოფელში პირველად ის დასახლებულა. აქედან მოდის გვარები - ბანძავა, ბანძაძე და ბანძელაძე. ხალხური ლექსიცა - ჩქიმი ბაძუ, ჩქიმი ბაძუ, ბანძას სამართალი ვაძუ, კეკეია მუშ მაყარეთ ემერ, შარას გიებანძუ „ჩემო ბაძუავ, ჩემო ბაძუ, ბანძაში სამართალი არ არის, კეკელია თავისი მაყრიონით, ეგერ, გზაზე დაბლლარმუნობს“ (მთხრ. ნაზი თევდორეს ას. კოკაია-კეკელია, დაბადებული 1940 წელს, ს. ბანძა)³⁴.

სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიის ძიების შემთხვევაში ყურადსაღებია **-ეძა, -ნძა, -რძა** დაბოლოებიან ტოპონიმებზე (**ბრეძა, ბანძა, ასპინძა, ბლორძა, წყორძა**) დაკვირვებაც³⁵. მერაბ ბერიძის დაკვირვებით, **-ძა** კომპონენტს ზოგ შემთხვევაში მოეპოვება პარალელური ფორმა **-ძა**. ასპინძის რაიონში ნასოფლარს **ალანძია** ჰქვია, მაგრამ მის მიკროტოპონიმიაში დასტურდება **-ძა** კომპონენტიანი გეოგრაფიული სახელები - **ალანძის წყალი** და არა **ალანძიის წყალი, ალანძისხევი**. ამავე რიგში განიხილავს მკვლევარი ტოპონიმ **ტანძიას** და **-ძა** დაბოლოების მქონე სოფლებს: **ბრეძა, ბანძა, წყორძა** და სხვ. ახალქალაქის რაიონში ნასოფლარს ეწოდება **ვარძა, ვარზა** (შდრ. გვარ ვარძელაშვილში ფიგურირებს **ვარძა** ფორმა. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა **ვარძიელაშვილი**). იგივე **ვარძა** ფორმა ჩანს ივანე ჯავახიშვილის მიერ დამოწმე-

³⁴ ი. კეკელია, ბანძის ტოპონიმია, თბ., 2007, გვ. 12-13; მიხივვ, მარტვილის რაიონის ოიკონიმია, ქუთ., 2010, გვ. 19-21.

³⁵ შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია, ქართული ოიკონიმები. ქრ. „ტოპონიმიკა“, ტ. II, თბ., 1980, გვ. 61.

ბულ ვარმაგარაში³⁶.

მკვლევარი რ. ბურჭულაძე ყურადღებას ამახვილებს იმ ტოპონიმებზე, რომლებიც ბა მორფემით იწყება. ამ კლასის ტოპონიმებიდან ჩამოთვლის ბაშს, ბანას, ბანძას, ბაგინეთს, ბაქოს, ბათუმს და მიიჩნევს, რომ ბა ეგვიპტური წარმომავლობის ლექსემაა. რ. ბურჭულაძე ვარაუდობს, რომ ეს ტოპონიმები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ეგვიპტელთა ახალშენების არსებობის მაუწყებელია: „შავსა და კასპიის ზღვებს შორის არსებულ ტერიტორიაზე მრავალ ადგილზე ფიქსირდება ძველი ეგვიპტური წარმომავლობის ტოპონიმები... ამ ვრცელ ტერიტორიას ეგვიპტური ელემენტი მარშით ვერ გაივლიდა და ადგილი ექნებოდა სანგრძლივ მეთოდურ შეღწევას, ე. ი. დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით უნდა გაჩენილიყო ძველი ეგვიპტური დასახლებები, ახლად მიკვლეული ხმელეთის სიღრმეში შეღწევის ფორმოსტები...“³⁷.

ტოპონიმ „ბანძის“ ეტიმოლოგიას ამ ბოლო დროს შეეხო ფაუსტ ნადარაია: „**ბანე** ანუ **ბანი** ძველი კოლხური, მივიწყებული სიტყვაა, რომლისთვისაც ტოპონიმ **ბანძის** არც ერთ მკვლევარს არ მიუქცევია ყურადღება და არ უცდია მისი განმარტება. ბანე ანუ ბანი მოსწორებულ ადგილს ნიშნავს, **ბგა** კი - კიდეს, ნაპირს. შეიძლება თავდაპირველად ეს სახელი (ბანი+ბგა=ბანძა) ერქვა ხალხის თავშესაყრელ ერთ ადგილს და შემდეგ მთელ სოფელზე გავრცელდა“³⁸. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ავტორი ეყრდნობა **ბანე** სიტყვის ა. ქობალიასეულ განმარტებას.

საგულისხმოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ რაჭული დიალექტის სალექსიკონო მასალების მიხედვით ქვევრში ნარეცხი წყლის ნარჩენის ამოსამშრალებელ ჩვარს, დამაგრებულს ხის გრძელჯოხის წვერზე, იგივე მაწაწურს, **ბანძურა** ეწოდება³⁹. სვანურ ენა-

³⁶ მ. ბერიძე, ძიებანი ჯავახეთის ტოპონიმიდან. კრ. ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ქებლები. გამოსაცემად მოამზადეს ვ. სილოგაგამ, ლ. ხალაძემ, მ. ბერიძემ, ნ. სულავაშვილმა. თბ., 2012, გვ. 278.

³⁷ რ. ბურჭულაძე, ძველი ეგვიპტური ტოპონიმის კვალი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, ტ. II, თბ., 2004, გვ. 107.

³⁸ ფ. ნადარაია, სამეგრელო, ქუთ., 2015, გვ. 85.

³⁹ ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები). შემდგენელი ალ. კობახიძე. თბ., 1987, გვ. 19.

ში ბანძა, ბანძ-არ, ბანძ-ა, ბანძ-ა-ი აღნიშნავს „გრძელბეწვას, ბანჯვლიანს“. მეგრულ-ლაზურში ამ მნიშვნელობით ბონძ-ოლ-ა გამოიყენება („გრძელბეწვიანი, ბანჯვლიანი, ჭუჭყიანი“). მეგრ-ლაზ. ბონძ- და სვანური ბანძ- ძირები კანონზომიერი შესატყვისებია. გამოთქმულია ვარაუდი ბანძ- და ბანჯუ- არქეტიპთა ურთიერთმიმართების შესახებ⁴⁰. გასათვალისწინებელია სხვა კუთხეების ტოპონიმური მონაცემებიც. შდრ. ზედა მაჭახელაში, კარჩხლის მთის ტოპონიმთა შორის დასახელებულია ბლანძა⁴¹. მესხეთში, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. მუსხში, მინდვრის სახელწოდებად დამოწმებულია ბანძურა...

ჩვენი აზრით, „ბანძა“ მეგრული წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს გზაგასაყარს, გზაშესაყარს. არის ასეთი ხალხური ლექსი: „სო მეულგ, ჩქიმი ინგირი, სორე მიხურთქინუქნი... მიბურჯანქს დო ზღვაშა მეიდგ თირგ გვალაშე გგმნაჭვალა. ენოუნქ სქანგ რობუს, მუთა გიჩქს გინორთიშგ, დღასი ვაგაბანძღუ შარა: „სად მიხვალ, ჩემო ენგურო, სად არი, რომ მიჩხრიალებ... მიგორავ და ზღვაში მიგაქვს თოვლი მთიდან მონაწველი. შენს კალაპოტს მიჰყვები, არაფერი გეტყობა გადახვევის (არსად გადაუხვევ), არასოდეს გერევა (გეხლართება, გიშტოვდება) გზა“). ამ ლექსში „ვაგაბანძღუ“ იგივეა, რაც „არ გეტოტება, არ გიშტოვდება, არ გეხლართება (გზა)“. არეულის, ჩახლართულის მნიშნელობითაა იგი გამოყენებული აგრეთვე გამოცანაში - უკმაგური ჭკადირი, ეშმაკი-ში ბანძღირი „უკულმართად გაჭედილი, ეშმაკისაგან დახლართული“. ბანძღუა, ბანძღიი „დახლართულის, არეულ-დარეულის“ მნიშვნელობითაა გამოყენებული მეორე ხალხურ ლექსშიც: „ქშდოჭყაფე გაჭირება ახადგაზდა ბოშკათეფი! კინოხიშე დოსქშლადე საქმე გაკობანძღილეფი „დაწყებულა გასაჭირი, ახალგაზრდა ვაჟაცებო, ძველი დროიდან დარჩენილა საქმეები დახლართული“⁴². შდრ. მიკობანძღუა - დავიდარაბი; არევ-დარევა;

⁴⁰ ჰ. ფერიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. მეორე გამოცემა. თბ., 2000: 94; ლ. კელაურაძე, დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის - II. ვრ. „ეტიმოლოგიური ძიებანი“, XI, თბ., 2014, გვ. 18.

⁴¹ რ. გუჯეჯიანი, რ. თოფჩიშვილი, ტ. ფუტკარაძე, გ. ჭეიშვილი, ეთნოგრაფიული ზედა მაჭახელა. კრ. „ქართველური მექანიდრეობა“, ტ. XII, თბ., 2008, გვ. 79.

⁴² ი. კაპელია, ბანძის ტოპონიმია, 2007, გვ. 13; მიხივე, მარტვილის რაიონის თიკონიმია, 2010, გვ. 20.

ბანძღი; **მიშაპანძღინ-ი** (მიშაპანძღინს) სახელი მიშეპანძღუ(6) ზმისა - ჩახლართვა, რადაცის არევ-დარევა, ხლაფორთი“⁴³. ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ „**ბანძღუა** (ბანძღუას) ასეა განმარტებული: ბლლარძუნი; არევა, ხლართვა. უარესო ბანძღუნც... - უარესად ხლართავს (ბურდავს)... შარას გილებანძღუ... გზაზე ბლლარძუნობს; **ძაფის ნიბანძუნქ!** „ძაფს ნუ ხლართავ!“⁴⁴. ბანძღი დავის, შარის ატეხვის მნიშვნელობით აქვს გააზრებული გივი ელიავას: **ბანძღი ვეტახა** „არ იდავო, „დავა არ ატეხო“⁴⁵.

ალიო ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ **ბანძი//ბრანძი** განმარტებულია როგორც „ფლასი; აბურდული, აწეწილი, უწესრიგო“, ხოლო **ბანძუა**, როგორც „აბურდვა, აწეწვა, არევ-დარევა“. იმავე ლექსიკონის მიხედვით **ბანძღილის** მნიშვნელობაა ჩახლართული, ხოლო **ბანძღუა** განმარტებულია, როგორც „აბურდვა, ხლართვა, არევ-დარევა“⁴⁶.

ამდენად, **ბანძა**, **ბანძიი** ნიშნავს განშტოებულ, სხვადასხვა მხარეს მიმავალ გზას (**გობანძიი** „განსაკვული, დახლართული, არეულ-დარეული, გამოყოფილი ყოველი მხრიდან“; **ბანძა** „ნასკვი; გზაჯვარედინი; გზაშესაყარი; გზაგასაყარი; ნებოძირი“); და მართლაც, ბანძა ძველი კოლხეთის ცენტრალურ, ისტორიული ოდიშის (სამეგრელოს) აღმოსავლეთ ნაწილში, აბაშის ხეობის გაშლილ ველზე მდებარე სოფელია. ბანძას მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ეკავა. იგი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი არქეოპოლის-ციხეგოჯიდან (ეგრისის სამეფოს დედაქალაქი) ლეჩხუმისაკენ, პეტრა-ციხისმირიდან ჭყონდიდისაკენ (მარტვილი) მიმავალ გზებზე⁴⁷.

სოფელსა და მის შემოგარენში დღესაც არის გავრცელებული დრომონიმები: **ჯვეში შარა** „ძველი გზა“, **ჯვეში ნაშარუ** „ძველი ნაგზური“, **სალეჩუმო შარა//საეჩხომო შარა** „სალეჩუმო გზა“, **მექადაქეში შარა//მარტვილი შარა**, **ბანძაში შარა** და ა. შ.,

⁴³ ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. ტ. II, თბ., 2002, გვ. 268, 284.

⁴⁴ ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. ტ. I, თბ., 2001, გვ. 217.

⁴⁵ გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები), მარტვ-თბ., 1997, გვ. 27.

⁴⁶ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010, გვ. 56.

⁴⁷ ი. კეკელია, ბანძის ტომონიმია, 2007, გვ. 13-14; მიხილე, ტომონიმიკური ძებანი („აბედათი“, „ბანძა“). გახ. „მარტვილი“, 4 ოქტომბერი, მარტვ., 2002; მისივე, სამეგრელოს ზოგიერთი ტომონიმის ეტიმოლოგიისათვის. ჭურნ. „ორნატი“, #3-4 (11-12), ფოთი, 2005, გვ. 135; მიხილე, მარტვილის რაიონის ოკონიმია, 2010, გვ. 19-22.

რაც ძველ მაგისტრალებზე მიგვითითებს⁴⁸.



ბანძის „ციხე კეთილნაშენის“ გალავანი.
ხედი აღმოსავლეთიდან (ნოჯიხევი).

ოიკონიმთან დაკავშირებულია მიკროტოპონიმები: **ბანძაფონი** „ბანძის ფონი“ - თავთხელი, მარჩხობი აბაშაზე, არგვანდულის სამხრეთით (ლეკეპელე); **ბანძაშ მინდორი** - სახნავი გახუშ წყურგი(ლ)ის ჩრდილოეთით და ბიკინოხორის აღმოსავლეთით. გაშლილი ველია, ნაყოფიერი, უხვმოსავლიანი. პარალელური სახელწოდებაა წაკორტი//წაკორტეფი (ლეკეპელე). გ. ელიავა მიუთითებს „ბანძაში მინდორი“-ს ფორმით, გაშლილი ველის სახელწოდებად, სადაც ციხის ნანგრევებია⁴⁹; **ბანძაში შარა** „ბანძის გზა“ - გზა რიონისპირეთიდან ნოსირის გავლით, ბანძისაკენ. ვაჭრებს ამ გზით ბანძაში დაჰქონდათ სავაჭრო საქონელი⁵⁰; **ბანძა** - უბანი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუბისწყალში⁵¹.

⁴⁸ გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977, გვ. 393, 60, 65, 78, 81, 89, 92, 108, 118, 121; ი. კეკელია, ბანძის ტოპონიმია, გვ. 13-14; ი. კეკელია, კ. ქებულაძე, „შიდა ეგრისის“ ისტორიული გეოგრაფიიდან („გზა თაგუერისა“, „სალეჩეუმო გზა“). ქრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XV, ქუთ., 2011, გვ. 196.

⁴⁹ გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, გვ. 86; მსჯელობისათვის იხ. ი. კეკელია, ბანძის ტოპონიმია, გვ. 14-15.

⁵⁰ გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989, გვ. 37.

⁵¹ საქართველოს ტოპონიმია (მასალები). ქვემო იმერეთი. შემდგენლები: შ. აფრიდონიძე, ვ. ჯოჯუა,

არქეოლოგიური აღმოჩენებით დასტურდება, რომ ბანძა და მისი შემოგარენი დასახლებული იყო ჯერ კიდევ ახალი ქვის ხანაში (ნეოლითი). 1958 წელს ნიადაგის დამუშავების დროს შემთხვევით იქნა აღმოჩენილი ნეოლითის ხანის ადამიანის მიერ გამოყენებული ნივთები - კაჟის ისრისპირი და სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნუკლეუსები, რაც მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდშია დაცული⁵².

ბანძის სამხრეთით, სოფ. მუხრანიაში, აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის გორა-ნამოსახლარები („ნაჭვიშ ზუგა“, „კეკელური ზუგა“, „ჭყონიაშ ტები“) და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი („პეტრეშ ნაკარუ“)⁵³.

ბანძის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. აბაშის პირას, 1923 წელს აღმოჩნდა ელინისტური ხანის ქვევრსამარხი, რომელშიც, მიცვალებულის ჩონჩხთან ერთად, მოთავსებული იყო თიხის ჭურჭელი, ვერცხლის ფიალა, იმპერატორ ანტონინეს ვერცხლის ფული, სხვადასხვა სამკაული. ბანძის ქვევრსამარხი მეცნიერულად შეისწავლა პროფ. სერგი მაკალათიამ.

აკად. ნიკო ბერძენიშვილს მიაჩნდა, რომ ლაზიკა (ეგრისი), ისევე, როგორც სრულიად საქართველო, „ქვეყნებად“ იყო დაყოფილი⁵⁴. ერთ-ერთ ასეთ „ქუეყანად“ მას ონოგურისი მიაჩნდა: „...ჩვენ ისე გვეჩვენება, რომ ონოგურისი მისი ქვეყნით არქეოპოლისის მომიჯნავე და მისგან, სამეურნეო გაერთიანების თვალსაზრისით, დამოკიდებული ქვეყანა იყო, და არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, როგორც ვთქვათ, რომელიმე მუხერისი ან ფოთი და სხვა... ბუნებრივად მიჩნდება აზრი, რომ ეს ონოგურისი არქეოპოლისის მომიჯნავე ქვეყანაშია. ასეთი ქვეყანა კი მდინარე აბაშის ხეობაა“, -წერს იგი⁵⁵.

„ონოგურისის ქვეყნისა“ და „მოხირისის“ („მუხრანისი“, „სამოქალაქო“, „ქუთათისის ქვეყანა“) გამყოფი საზღვარი ცხენის-

გ. კემულარია, თბ., 2003, გვ. 33.

⁵² იხ. გ. ელიავა, ჭყონდიდი-მარტვილი (ისტორიული მიმოხილვა), თბ., 1962, გვ. 49-51.

⁵³ იხ. გ. გოგაძე, კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რეინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბ., 1982; გ. გლიავა, პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა, თბ., 1987.

⁵⁴ იხ. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები (მასალები საავტორო არქივიდან), წ. VIII, თბ., 1975, გვ. 464.

⁵⁵ იქმა: გვ. 464.

წყალზე გადიოდა. ამდენად, გ. ელიავას მოსაზრება, რომ „მუხერი-სის ანუ სამოქალაქოს ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული უბანი იყო ტეხურისა და აბაშის ხეობა შესართავიდან მოყოლებული მარტვილ-ბანდა-ნოქალაქევამდე“, ვფიქრობთ, ნაკლებად სარწმუნოა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მოხირისის დასავლეთ საზღვარს ცხენისწყალი წარმოადგენდა, მარტვილი-ბანდა-ნოქალაქევი კი ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, ონოგურისის ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობდა⁵⁶.

6. ბერძენიშვილი ვარაუდობდა, რომ „ონოგურისის ქვეყნის“ ამავე სახელწოდების ცენტრი აბაშის ხეობაში, ბანდა-ონოდიის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო. „ბანდა ამ ციხის სალოკალიზაციოდ სულ უფრო მისაღებად მეჩვენება. აქვე ონოდიას „ნაჯახოვაუ“ (ჯახუა, შდრ. ნაგვაზაუ, თუ ნაჯიხვაუ) და თვით სახელი ონოდია მეტყველი მეჩვენება“⁵⁷. ამავე აზრისაა მხარეთმცოდნე გივი ელიავაც: „ონოდია ვრცელ ვაკეზეა გაშლილი, მდ. ნოდელას სანაპიროზე. მისი ტერიტორიის დიდ ნაწილზე გადის ნარონა (ნადგომი, ნასახლარი, ადგილის სახელწოდებაა - ი. კ.) ზოლი. ონოდია პირდაპირი გზით უკავშირდება ხონს. აქ ჯვეში შარა (ძველი გზა - ი. კ.) გადიოდა. გადმოცემით, ეს გზა პუმპუას (პომპეუსის) ლაშქრობის მოწმეა. აქ ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა, სოფლის ტერიტორიული მდებარეობა და ტოპონიმი ონოდია გვარწმუნებს, რომ მას შესაძლოა რაიმე კავშირი ჰქონდეს ძველ ბერძნულ წყაროებში მოხსენიებულ თნოგურისთან“⁵⁸.

„ონოგურისი“ პირველად ბიზანტიულმა ისტორიკოსმა აგათია სქოლასტიკოსმა მოიხსენია თავის თხზულებაში, ეხებოდა რა იმპერატორ იუსტინიანეს დროის ლაზეთის სამეფოს ტერიტორიაზე სპარსეთისა და ბიზანტიის ომებს, თუმცა ციხის დაზუსტებული ლოკალიზაცია არ მოუცია. „ონოგურისის ციხეში, - წერს აგათია, - რომელიც მას წინათ არქეოპოლისის მიდამოებში რომაელთა წინააღმდეგ სასიმაგრო საფრად გაეხადა, ჩაყენებული იყვნენ სპარსელები, და აი, ეს სპარსელები მან გაამხნევა, სხვა რაზმიც

⁵⁶ მსჯელობისათვის იხ. გ. ელიავა, აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული დირსშესანიშნაობანი, თბ., 1971, გვ. 4.

⁵⁷ 6. ბერძენიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 465.

⁵⁸ იხ. გ. ელიავა, აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული დირსშესანიშნაობანი, 1971, გვ. 37.

დაუტოვა, იქაურობა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გაამაგრა
და კვლავ კოტაისისა და მოხირისისაკენ გაბრუნდა“⁵⁹.

აგათიას ამ ცნობაზე დაყრდნობით ს. ყაუხჩიშვილმა გამოთ-
ქვა მოსაზრება ონოგურისის ცხენისწყლის დასავლეთით, არქეო-
პოლისის მიდამოებში, უნაგირას მთაზე არსებობის შესახებ⁶⁰.
უნაგირას მთა აბაშისა და ტებურის წყალგამყოფს წარმოადგენს.
სწორედ ამ მთის ფერდობზეა აგებული ეგრისის სამეფოს ძველი
დედაქალაქი ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქენი. პარმენ ზაქა-
რაიას მტკიცებით, „ახლანდელი აბედათის ციხე ძველი ონოგური-
სის ციხეა“⁶¹.

ამდენად, 6. ბერძენიშვილის მოსაზრება ონოღია-ონოგური-
სის იგივეობის შესახებ საფუძველს მოკლებულია, იმ მიზეზით,
რომ ონოღიაში ციხის ნაშთი შემორჩენილი არ არის, და იმის გა-
მოც, რომ ეს სოფელი გაშლილ ველზე მდებარეობს, ეგრისის სა-
მეფოსდროინდელი ციხეები კი, უმთავრესად, მთებზე შენდებოდა.

*კრებული - „მასალები საქართველოს
სოფლების ისტორიისათვის“,
ტ. I, თბ., 2019, გვ.44-57.*

⁵⁹ გეორგიკა, ტ. III, 1936, გვ. 410.

⁶⁰ იქვე, გვ. 61.

⁶¹ პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991, გვ. 128-129.

ბანძის ისტორიულ-კოზოთი ძეგლების დაცვისათვის

სამეგრელოს სოფლებს შორის ბანძა გამორჩეულია თავისი მდიდარი ისტორიული წარსულით. თუ როდის ჩაეყარა საფუძველი ბანძას, როგორც დასახლებულ პუნქტს, ამაზე დამაჯერებელი პასუხი არ არსებობს, რადგან სოფელი და მისი შემოგარენი არქეოლოგიური თვალსაზრისით საფუძვლიანად ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ბანძის ისტორიის უძველესი პერიოდის შესახებ კი პირდაპირი და უტყუარი წყაროები არ გაგვაჩნია. ასეთ პირობებში გეგმიური არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარება მრავალ ბუნდოვან საკითხს მოჰყენდა ნათელს. ბანძის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების აღრეული პერიოდის შესახებ მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ სოფელი და მისი შემოგარენი დასახლებული იყო ჯერ კიდევ ნეოლითის ეპოქაში. 1958 წელს ნიადაგის დამუშავების დროს შემთხვევით აღმოჩენილი კაუის ისრისპირი და სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნუკლეუსები მარტვილის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში ინახება⁶².

სოფ. ლეპაკელეში (ბანძის თემი) მიკვლეულია არქეოლოგიურად ჯერ კიდევ შეუსწავლელი „ბალდუდის“ გორა-ნამოსახლარი (სავარაუდოდ ბრინჯაოს ეპოქისა). სოფ. ლეპატარეში, ტაბაკურის ველზე აღმოჩენილია გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური განძი, ხოლო მდ. აბაშის ნაპირას 1923 წელს შემთხვევით გამოვლინდა ქვევრსამარხი, რაც სპეციალურად შეისწავლა პროფესორმა სერგი მაკალათიამ. სამარხში აღმოჩნდა რკინის მახვილი, შუბისპირი, დანა, ვერცხლის თასი, ოქროს წვრილი სამკაულები, ანტონინე პიუსის ვერცხლის მონეტა. მონეტის მიხედვით აღნიშნული ქვევრსამარხი დათარიღებულია რომის ბატონობის პერიოდით⁶³.

⁶² იხ. გ. ელიავა, ჭერნდიდი-მარტვილი (ისტორიული მიმოხილვა), თბ., 1962, გვ. 49-51.

⁶³ ს. მაკალათია, 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტ. IV, თბ., 1928, გვ. 182-186; მსჯელობისათვის იხ. ავრეთვე რ. ფუთურიძე, გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. მასალა-ბი საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II, თბ., 1959, გვ. 73; გ. გვინჩიძე, ნოქალაქევის ირგვლივ მდებარე ანტიკური ხანის სამარხეული ძეგლები. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, თბ., 1987, გვ. 268-271; M. ივათენკო, სამარხეული ძეგლების აღმოჩენის შემთხვევის შესახებ და მისი მნიშვნელობის შესახებ. მარტვილის მიმოხილვა, თბ., 1980, გვ. 9.



ციხის გალავნისა და რვააფსიდიანი ტაძრის ნაშთი.
ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (ნოჯისევი).

ბანძის შემოგარენში აღმოჩენილი ძეგლებიდან შეგვიძლია დავასახელოთ სოფლების - ვედიდგარ-მუხურჩის ტერიტორიაზე აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში შესწავლილი გვიანი ბრინჯაოს, ადრეული რკინისა და ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარები - „კეკელური ზუგა“ (1974-1976, 1979 წწ.), „ნაჭვიშ ზუგა“ (1981 წ.), „პეტრეშ ნაკარუს“ სამაროვანი (1974 წ.) და ე. წ. ნაწისქვიუს ნასოფლარის კულტურული ფენა⁶⁴. ეს არის და ეს! ცხოვრების უძველესი ხანის დამა-

⁶⁴ გ. ფხაძექ, მასალები აბედათის დიხაგუმუბადან, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, თბ., 1974, გვ. 137-144; გ. გოგაძე, ი. ქორიძე, მ. დარისპანაშვილი, ნოსირი-მუხურჩის ექსპედიციის 1979 წლის მუშაობის შედეგები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VII, თბ., 1980; გ. გოგაძე, კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა (ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით), თბ., 1982; გ. ელიაზა, პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა, თბ., 1974; გ. ელიაზა, გ. ფარულავა პეტრეს ნაკარუს გაზ. „შრომის დროშა“, #51, აპრილი, #59, მაისი, 1974; გ. ელიაზა, საინტერესო აღმოჩენა. გაზ. „ნაპერწალი“, 23 აპრილი, 25 აპრილი, 7 მაისი, 1974; გ. ელიაზა, გ. ფარულავა, აღმოჩენა, რომელიც ნოქალაქევის ისტორიას ეხმაურება. გაზ. „განახლებული აბაშა“, #57, 12 მაისი, #60, 18 მაისი, #62, 23 მაისი, #70, 11 ივნისი, 25 ივნისი, 1974; გ. ელიაზა, ფიჩქერის სამარხების საიდუმლო. გაზ. „შრომის დრო-

დასტურებელი მრავალი ისტორიული ძეგლი კვლავაც მოელის არქეოლოგის ბარსა და ნიჩაბს!



რვააფსიდიანი ტაძარი. X ს-ის დასასრული

საბედნიეროდ, ბანძის ფეოდალური ხანის ძეგლები საფუძვლიანად არის შესწავლილი. ვგულისხმობ სოფლის ჩრდილოეთით, ნოჯიხევის ველზე, მდ. აბაშის მარცხენა ნაპირას, ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში შესწავლილ ადრეფეოდალური ხანის რეზიდენციას და გვიანი შუა საუკუნეების ციხე-დარბაზს. საქმე ის გახლავთ, რომ სპეციალისტთა დაკვირვებით, ამ ტერიტორიაზე ცხოვრება მეტ-ნაკლები ინტენსივობით თითქმის 1500 წლის მანძილზე მიმდინარეობდა.

ფეოდალური ხანის მიწისზედა ნაგებობათა ნაშთები - ტეტრაკონქი, აბანო, რვააფსიდიანი ტაძარი და ციხე-გალავანი ბანძის

შა“, 21 მაისი, 1974; ი. კეკელია, მუხურჩის სიმველენი (ზოგადი მიმოხილვა). გაზ. „მახარია“, #3, 2004, გვ. 16.

ისტორიის, მისი გარდასული დროის ცოცხალი მოწმეა.



ურთხელის ათასწლოვანი სარიტუალო ხეები
„სამოთხე-კარის“ სასაფლაოზე. ლევახანე.



ციხის გალავნის ნაშთი

აღნიშნული ძეგლის შესწავლით აკად. ს. ჯანაშიას სახელმ-ბის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიცია 1976 წელს დაინტერესდა, ანუ მას შემდეგ, რაც აქ შემთხვევით იქნა აღმოჩენილი კერამიკული ნივთები⁶⁵. ექ-სპედიციის წევრებმა ადგილის დათვალიერებით და ნაპოვნი კერა-მიკული ნივთებით დაასკვნეს, რომ საქმე ჰქონდათ ადრეფეოდა-ლური ხანის აბანოსთან. 1977 წელს ექსპედიციამ მდ. აბაშის ჭა-ლაში, ვაკეზე, გათხრებით გამოავლინა აბანოს ნაშთები. ზოგადი მონაცემებით იგი ნოქალაქევის აბანოებთან ჰპოვებს საერთოს და მათთან ერთად ეგრისის სამეფოს აღმავლობის პირველი პერიო-დით უნდა დათარიღდეს. იქვე ახლოს, აბანოს სამხრეთ-დასავლე-თით, ოციოდე მეტრზე, მცირე ბორცვის გაწმენდით გამოვლინდა შენობა, ერთმანეთზე მიღგმული ოთხი ნახევარწრით, რაც ტეტრა-კონქის ტიპის ეკლესიის ნაშთი აღმოჩნდა. ეკლესია საძირკვლამ-დეა დანგრეული. იგი მცირე ზომისაა. მაქსიმალური ზომებია 5, 6 მ, ხოლო კედლის სისქე 0, 9 მ-ია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ

⁶⁵ აბაშის ჭალაში მუშაობისას ტრაქტორისტი შეეხო ერთმეტრიან ბორცვს, საიდანაც ამოცვივდა კერამიკული მიღები.


ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანაში აქ, მდ. აბაშის მარცხენა ნაკირიდან 300 მ-ის დაშორებით დასახლებულა მცირე შესაძლებლობის მქონე ფეოდალი. მის საცხოვრებელ კომპლექსში, ეკლესიისა და აბანოს გარდა, უთუოდ იქნებოდა სასახლე და მასთან დაკავშირებული საცხოვრებელი თუ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებიც, მაგრამ მათ ჩვენამდე ვერ მოუღწევია⁶⁶. „თავისთავად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ტეტრაკონქის ტიპის ეპლესიის აღმოჩენა მეტად მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ამ ტიპის ეკლესიებიდან დასავლეთ საქართველოში ეს პირველია და მეორეც, საერთოდ ასეთი ეკლესია სულ რამდენიმეა ცნობილი“⁶⁷. უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა ტეტრაკონქი, ე. ი. ისეთი ტეტრაკონქი, რომელიც შიგნიდან და გარედან ნახევარი წრებით მთავრდება, საქართველოში მხოლოდ ოთხგანაა შემორჩენილი - გავაზში, თბილისის ქაშვეთში, სუხბეჩსა და ნოჯიხევში. ეკლესიათა ამ ჯგუფში ნოჯიხევი სიდიდით ყველაზე პატარაა, რაც შეიძლება ორი გარემოებით აიხსნას: პირველი და ძირითადი პატრონის ქონებრივი შესაძლებლობა უნდა იყოს, ვინაიდან ეკლესიის მსგავსად იქვე მდებარე აბანოც მცირე ზომისაა. ეს ნაგებობები ალბათ აკმაყოფილებდა კიდეც მის მცირერიცხოვან ოჯახს. მეორე გარემოება, ეს ეპოქა და მისი თავისებურებებია. ქრისტიანობის გავრცელების საწყის საფეხურზე პირველი ქართული ეპლესიებიც მცირე ზომისა იყო და კულტმსახურების საკითხებისა და რიტუალის ჩამოყალიბების პროცესში მიმდინარეობდა ეკლესიათა ფორმების ჩამოყალიბება და ნაგებობათა მასშტაბების ზრდა. ნოჯიხევის ეკლესიის მცირე ზომებიც შეიძლება მისი ადრეულ ეტაპზე წარმოშობის შედეგი იყოს. მაშასადამე, ამ ძეგლის აგების დროდ, ეკლესიის სტილისტიკური თავისებურებების გათვალისწინებით, შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოში ტეტრაკონქული გუმბათოვანი არქიტექტურის გაჩენისა და განვითარების პირველი ეტაპი. ესაა V ს-ის ბოლო მესამედი და VI ს-ის პირველი მესამედი⁶⁸. აბანოდან აღებული ნახშირის ოთხი ნიმუშის საფუძ-

⁶⁶ პ. ზაქარაია, ნოქალაქვში 1973-1977 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. პრ. „ნოქალაქვი-არქეოპოლისი“, I, არქეოლოგიური გათხრები, 1973-1977. თბ., 1981, გვ. 108-110; თ. კაპანაძე, ნოჯიხევის ტეტრაკონქი. იქვე გვ. 220-221.

⁶⁷ იქვე გვ. 222.

⁶⁸ პ. ზაქარაია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 109; თ. კაპანაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 223-224.

ველზე C 14-ის ანალიზით დადგინდა მისი დანგრევის დროც - IX ს-ის შუა ხანებიდან X ს-ის თითქმის ბოლომდე⁶⁹.



დათა, ისიდორე და იგანე კეპელიების საფლავის ქვა.
XX ს. დასაწყისი. შაურკარის სასაფლაო. ლეპეკელე.

⁶⁹ პ. ზაქარაია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 110.



საფლავის ქვა. შაურკარის სასაფლაო. ლეპებელე

რვააფსიდიანი ეკლესია კაპიტალურად ნაგები საინტერესო ძეგლია, რასაც თავზე ედგა მცირე ზომის, ყოვლად უსახო დარბაზული ეკლესია. ამ ეკლესიის ნაშთის სრული ფიქსირების შემდეგ სპეციალისტებმა იგი მოხსნეს და გამოაჩინეს არქიტექტურის მშვენიერი და იშვიათი ძეგლის ნანგრევები რვააფსიდიანი ტაძრის სახით⁷⁰. თ. კაპანაძის დაკვირვებით, „ეს სრული სიახლეა არა მარტო ისტორიული სამეგრელოსათვის, არამედ მთელი საქართველოსათვისაც. **ასეთი ტიპის ტაძარი საქართველოში ნოჯიხეგამდე**⁷¹ ცნობილი არ იყო“⁷². გარედან მრავალწახნაგა ტაძარს სამი კარი აქვს - დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. კარები შედარებით დიდი ზომის აფსიდებში გაუჭრიათ.

საკურთხეველი ტაძრის დარბაზის დონეზე ორი საფეხურით მაღალია. აღმოსავლეთი კედლის შუაში ტრაპეზის ქვა ყოფილა მიღებული. ცოკოლსა და საძირკველს წრიული მოხაზულობა აქვს, ხოლო ზემოთ თვით კორპუსი წახნაგოვანია. საძირკველი ყორე ქვითაა აგებული, ხოლო ორსაფეხურიანი ცოკოლი - თლილი ქვით. ეკლესიის ნანგრევებში მიკვლეულია მრავალი არქიტექტურული დეტალი და ჩუქურთმის ფრაგმენტები. ტაძარი გარედან მოთეთრო კირქვის კარგად გათლილი კვადრებით შეუმოსავთ, ხოლო შიგნიდან თლილი, პატარა ზომის შირიმის ქვა გამოუყენებიათ. ბათქაშის დასამაგრებლად ჩრდილო აფსიდების ზედაპირის ნაჭდევებით დამუშავება მიუთითებს იმაზე, რომ ტაძარი თავის დროზე მოხატული უნდა ყოფილიყო. ნანგრევებში აღმოჩენილი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები კირქვის ფილებზეა შერულებული. ასოთა სიმაღლე მერყეობს 10-დან 20 სმ-მდე. რელიეფური მორთულობიდან ჩვენამდე მოაღწია ერთადერთმა - ხარის

⁷⁰ პ.ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხეგოვჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991, გვ. 241.

⁷¹ ასე ეწოდება ციხის ნაშთს, რაც მეგრულად „ნაციხერს“ ნიშნავს. ადგილს ეს სახელი XVIII ს-ის ბოლოს თუ XIX ს-ის დასაწყისში უნდა შერქმეოდა, ანუ მას შემდგე, რაც ვახუშტის მიერ მოხსენიებული „ციხე კეთილნაშენი“ ნანგრევებად ქცეულა. დანგრევამდე ციხის სახელი, რასაკვირველია, ჯიხა იქნებოდა. „რა ერქვა სოფელს მანამდე ამის დადგენა ამჟამად ძნელია, რადგან ამის შესახებ არც ადგილობრივი გადმოცემაა შემონახული და არც რაიმე წერილობითი წყარო არსებობს... მემატიანები დუშან. ამ ცხოვრების ისტორია კი არა, ადგილის სახელიც არ შემოგვინახეს. საქართველოში ხომ ეს არცაა გასაკვირი, რადგან ბევრი ადგილი ვიცით, სადაც მეტყველი არქიტექტურა ან არქეოლოგიაა, მაგრამ არც სახელია ცნობილი და არც მცხოვრებია“, - წერენ ნოქალაქევის ექსპედიციის წევრები. იხ. პ. ზაქარაია, ნ. ლომიური, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე, ციხეგოვჯი-ნოქალაქევი, თბ., 1984, გვ. 57-58.

⁷² თ. კაპანაძე, ნოჯიხევის რვააფსიდიანი ეკლესია. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, არქეოლოგიური გათხრები, 1983-1989. თბ., 1993, გვ. 224.

თავმა, რაც ნოქალაქევის არქეოლოგიურ მუზეუმშია დაცული. რვააფსიდიანი ტაძარი არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზის საფუძველზე X-XI სს-თა მიჯნითაა დათარიღებული⁷³. 1979 წელს ტაძარი აზომა არქიტექტორ-რესტავრატორმა მ. ანდრიაძემ. ძეგლის გახსნის დროს ნაპოვნი ქვები 1979-1980 წწ. აიზომა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის - კ. მელითაურისა და არქიტექტორ მ. ახობაძის მიერ. კ. მელითაურს ეკუთვნის აგრეთვე ნოჯიხევის ეპლესიის სრული აღდგენის გრაფიკული პროექტის ერთი ვარიანტი (1981 წ.). 1988 წელს მ. ანდრიაძისა და თ. გაბუნიას მიერ დამუშავდა ეკლესიის კონსერვაციის პროექტი, ხოლო რ. გვერდწითელის, თ. გაბუნიასა და მ. ანდრიაძის მიერ - მისი სრული გრაფიკული აღდგენის ახალი ვარიანტი. სპეციალისტთა მიერ ეკლესიის გუმბათის ყელის დიამეტრი განისაზღვრა 5, 9 მეტრით, ხოლო ინტერიერის სრული სიმაღლე - 15, 34 მეტრით. წარწერა მოთავსებული უნდა ყოფილიყო არკატურის ზევით, უშუალოდ ქოლგისებრი კარნიზის ქვეშ, ხოლო თვით ძეგლი გვირგვინდებოდა ე. წ. ნახევრად გაშლილი ქოლგის ფორმის სახურავით⁷⁴. „რვააფსიდიანი ტიპის გუმბათიანი ძეგლის აღმოჩენამ საქართველოს ტერიტორიის შუაბულში უაღრესად გაამდიდრა ქართული მრავალაფსიდიანი ძეგლების რეპერტუარი, ხოლო მისი სრული აღდგენის ცდამ, დამყარებულმა არსებული მასალის მრავალმხრივ ანალიზე, შეგვიქმნა ერთგვარი წარმოდგენა ამ მნიშვნელოვანი ძეგლის ზოგად სახეზე“⁷⁵.

ტაძრის ეპიგრაფიკის შესწავლას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა პროფ. ვალერი სილოგავამ. აბაშა-ბანძიდან მარტვილი-საკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, ე. წ. ბანძის ფართო ველზე ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილი რვააფსიდიანი ეკლესიის უნიკალურობა, - აღნიშნავს მკვლევარი, - მდგომარეობს იმაში, რომ სხვა რვააფსიდიანი ეკლესია საქართველოში ჯერჯერობით უცნობია. წრიული ფორმის ეკლესიის დიამეტრი შეადგენს 10 მეტრს. ხანძრის შედეგად კატასტროფუ-

⁷³ ვრცლად იხ. თ. კაპანაძე, ნოჯიხევის რვააფსიდიანი ეკლესია, გვ. 225-235; პ.ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება. თბ., 1991, გვ. 241-254.

⁷⁴ რ. გვერდწითელი, თ. გაბუნია, მ. ანდრიაძე, ნოჯიხევის რვააფსიდიანი ეკლესია. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, არქეოლოგიური გათხრები, 1983-1989. თბ., 1993, გვ. 237-249.

⁷⁵ რ. გვერდწითელი, თ. გაბუნია, მ. ანდრიაძე, ნოჯიხევის რვააფსიდიანი ეკლესია, გვ. 250.

ლად დამწვარ-დანგრეული კედლები ორ მეტრამდეა შემორჩენილი. საძირკველიც კარგად შემონახულა, თუმცა ცოკოლი მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთშია მოღწეული. ექსპედიციამ, როგორც აღინიშნა, ეკლესიის გათხრისას არქიტექტურული მორთულობის დეტალებთან ერთად აღგილზე გამოავლინა სხვადასხვა ზომის 20-მდე ქვის ნატეხი, რომლებზედაც დრმა კვეთით ამოჭრილია დიდი ზომის ასომთავრული ასოები. უფრო ადრე ამ აღგილას არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე ერთი ქვის ფილა, ზედ შერჩენილი წარწერის ოთხასოიანი ფრაგმენტით, უპოვა-ათ ლეხაინდრაოს საშუალო სკოლის მოსწავლეებს, ისტორიის მასწავლებლის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ბ-ნ შალვა ჯლარკავას ხელმძღვანელობით. წარწერის ტექსტის გასააზრებლად ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ეს ფრაგმენტი ამჟამად ლეხაინდრაოს სასკოლო მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება⁷⁶, ხოლო ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ მიკვლეული დანარჩენი ფრაგმენტები - მარტვილის მხარეთმცოდნეობისა და ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმების ექსპოზიციებშია წარმოდგენილი. ვ. სილოგავას ნაშრომში მოცემულია თითოეული ფრაგმენტის გრაფიკული მონახაზი, ზომები და შერჩენილ ასოთა, ან ასოს წაკითხვა. მკვლევარი ვარაუდობს, რომ წარწერის ტექსტი გარშემო დაუყვებოდა ტაძრის გუმბათის ყელის ქვედა ან ზედა ნაწილს. ამ ვარაუდის სრულ საფუძველს სწორედ ასოების დიდი ზომა და მათი შესრულების ტექნიკა იძლევა⁷⁷. „ერთი სიტყვით,

⁷⁶ ისტორიკოსი შალვა ჯლარკავა საგაზეთო სტატიაში აღნიშნავს, რომ აღნიშნული წარწერიანი ქვა ნოჯიხევის ნაგრევებში უპოვნია 90 წლის სამხრეთ გაგუას... ნაპოვნი ოთხასოიანი წარწერა იმდენად ფრაგმენტულია, რომ არ შენარსიანდება. ასომთავრულ წარწერას ავტორი კითხულობს ასე: **დახი**, და გვიანი ფეოდალიზმის პერიოდით, კერძოდ, XVI-XVIII საუკუნეებით ათარიღებს. ოდიშის სამთავროში, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულში, იმერეთის საზღვართან ახლოს, ძლიერი ციხის აგება, ს. ჯლარკავას აზრით, ოდიშის მთავრის იმერეთის სამეფოსთან დაპირისპირებით უნდა აიხსნას. ამ მიზეზით ციხის აგების სავარაუდო პერიოდად სწორედ XVI ს-ის II ნახევარს ვარაუდობს და იქვე შენიშვნავს, რომ „ნაგრევები ბევრ საიდუმლოს ინახავს და მისი მომონილვა სარგებლობას მოუტანს საქართველოს ისტორიის გვიანფერდალური პერიოდის შესწავლას“. იხ. შ. ჯლარკავა, ნოჯიხევის ნაგრევების საიდუმლოებანი. გაზ. „შრომის დროშა“, #88, 21 ივლისი, 1977, გვ. 4. ციხის შემდგომი არქეოლოგიური შესწავლით დადგინდა, რომ წარწერიანი ქვა X ს-ის დასასრულის მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლის - რვააფსიდიანი ტაძრის კედელზე შესრულებული ვრცელი წარწერის ფრაგმენტია, ხოლო თვით ციხე-დარბაზი, პალატი და უსახო ეკლესია XVI-XVIII საუკუნეებშია აგებული. სავარაუდოდ, ვაკეზე მოზრდილი ოვალის გეგმის მქონე გამაგრებული საცხოვრებელი კომპლექსის - ციხე-დარბაზის ამგები დადიანთა უმცროსი შტოს ჭარმომადგენელი უნდა ყოფილიყო.

⁷⁷ ვ. სილოგავა, „ნოქალაქევის ქვეუნის“ ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებიდან. კრ. „ნოქალაქევი-არქეოლოგის“, III, არქეოლოგიური გათხრები, 1983-1989. თბ., 1993, გვ. 260-265.

ფაქტია, რომ ნოჯიხევის რვააფსიდიანი ტაძრის წარწერის სახით საქმე უნდა გვქონოდა X ს-ის დასასრულის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ და მრავალმხრივ გამორჩეულ წერილობით ძეგლთან, რომლისგანაც, სამწუხაროდ, მხოლოდ ნამუსრევი შემოგვრჩა⁷⁸. ფილებზე შერჩენილი ცალკეული ასოებისა და სავარაუდო სიტყვების, მათ შორის, თითქოს, მეფის საკუთარი სახელის [ბაგრატ?] აღდგენით, აგრეთვე, X ს-ის დასასრულისა და XI ს-ის დასაწყისის დასავლეთ საქართველოს სამეფო კტიტორული წარწერების ასო-ციაციური გააზრებით, ვ. სილოგავა შეეცადა ნოჯიხევის წარწერის შემდეგი სახით სავარაუდო აღდგენა-გააზრებას: „სახელითა ღმრთისაითა, აღეშენა წმიდაი ესე ეკლესია სალოცველად, ადიდენ ღმერთმან, ბაგრატ აფხაზთა მეფისა და დედისა მათისა გურანდუხტ დედოფლისა“, და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერა X ს-ის, ან XI ს-ის დამდეგის წერილობითი ძეგლების ჯგუფში მოათავსა⁷⁹.



ციხის გალავნის ნაშთი. ხედი სამხრეთიდან

⁷⁸ ვ. სილოგავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 265.

⁷⁹ იქვე, გვ. 265.

ბანძის ციხე-დარბაზის სამხრეთ-დასავლეთით, ორიოდე კილომეტრზე, ნაჯახავოს საზღვარზე, გზატკეცილიდან ასიოდე მეტრის დაშორებით, მცირე შემაღლების („ჯიხას“) გათხრებმა ეპლესის ნაშთი გამოავლინა. შემორჩენილია ერთ მეტრამდე სიმაღლის კედლები. სპეციალისტები ამ ძეგლს ე.წ. გუმბათოვან დარბაზთა ტიპს მიაკუთვნებენ, რომელსაც Kuppelhalle-ს⁸⁰ უწოდებენ. ქართული არქიტექტურის ისტორიისთვის ამ აღმოჩენის ისტორია დიდია იმდენად, რამდენადაც, ამ ტიპის ძეგლი აღმოსავლეთ საქართველოში რამდენიმეა, ხოლო დასავლეთ საქართველოში - პირველი. ეკლესიას შესასვლელი სამი მხრიდან აქვს. სამივეზე სათავსებია მიშენებული. დასავლეთით სამივე მხრიდან ლია კარიბჭე ყოფილა, ხოლო სამხრეთი კარიბჭე ლია ყოფილა მხოლოდ სამხრეთიდან. ჩრდილოეთი მინაშენი გარედან დახურულია. აქ შესაძლებელია ვილაც დიდებულის ან სამღვდელო პირის სამარხი ყოფილიყო. ეკლესია შიგნიდან მოხატული ყოფილა, რაზეც მიუთითებს ნიშებში დღემდე გამოსახული თითო ჯვარი. ეს ეკლესიაც, მისგან 2 კმ-ის დაშორებით მდგარ რვააფსიდიან ტაძართან ერთად, შემოსეულ მტერს გადაუწვავს და პირწმინდად დაუნგრევია XIII-XIV საუკუნეებში, რაზეც მიუთითებს ნაცრიან-ნახშირიან ფენაში ნაპოვნი ვერცხლის მონეტები. გუმბათოვანი დარბაზის ტიპის ამ ეკლესიის აგების შესახებ არაფერია ცნობილი. ვარაუდობენ, რომ საერთო მონაცემებით იგი VIII-IX საუკუნეებში, ან X-XI საუკუნეთა მიჯნაზეა აშენებული⁸¹. რაც შეეხება XIX საუკუნეზე ადრინდელ, სამოქალაქო დანიშნულების შენობა-ნაგებობებს, ბანძაში არ შემონახულა. თუმცა გვაქვს წერილობითი წყარო XVIII საუკუნეში სოფელში ასეთი სამოქალაქო ნაგებობის არსებობის შესახებ. „ლიხთ-იმერეთის“ 1737 წლის რუკაზე დატანილია

⁸⁰ Kuppelhalle გერმანული სიტყვაა და ნიშნავს „დარბაზს დახურული გუმბათით“. ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში ეს ტერმინი გიორგი ჩუბინაშვილის მიერ არის დამკვიდრებული. ამ ტიპის ეკლესიის გუმბათის საყრდენად კედლის შეკრიფებია გამოყენებული და არა ბურჯები. საქართველოში ამ ტიპის 20 ეკლესიაა შემორჩენილი (დვანი, ფარნაჯის ციხეში მდებარე ეკლესია, სოლომონია, კლარჯეთის წყაროსთავი, ვაჩაძიანის უკელაწმინდა, ზემო ნიქოზისა და ზემო მაჩხაანის მთავარანგელოზის ეკლესიები, ყინწვისი, ღოუბანი, მამაწმინდა, გრემის წმ. ნიკოლოზის ეკლესია, ბოდორნისა და მანავის დვითისმობლის ეკლესიები და ა.შ).

⁸¹ ძეგლის შესახებ ვრცლად იხ. პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე, ციხეგოჯი-ნოქაბაძე, თბ., 1984, გვ. 61-62; თ. კაპანაძე, ნაჯახავოს „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის ეკლესია. „ძეგლის მეგობარი“, #76, 1987, გვ. 50; პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი-არქეოპოლისი-ნოქაბაძე გვ. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991, გვ. 235-260; ნ. გენგიური, კუპელბალე, თბ., 2005.

„ბანძა-ფალაოს“ სასახლე, სათანადო პირობითი ნიშნით. ბანძა წარმოადგენდა ოდიშის სამთავროს ერთ-ერთი წარჩინებული გვარის - ფალავების სათავადოს ცენტრს, თუმცა, არცერთი ამ გვარის წარმომადგენლის საცხოვრებელ ნაგებობებს - XVIII-XIX საუკუნეებისას, ჩვენამდე არ მოუღწევია. XIX ს-ის 80-90-იან წლებში სოფ. ბანძაში, სამოთხის უბნის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, იყო ცნობილი ვექილისა და საზოგადო მოღვაწის, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დირექტორის - მექი ფალავასა და მისი მეუღლის, ცნობილი ქველმოქმედი მანდილოსნის - დარია ფალავას შესანიშნავი კარ-მიდამო - მახორობა. სასახლე და სხვა დამხმარე ნაგებობები გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისამდე არსებობდა. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ამ სახლში სკოლა იყო განთავსებული. შემდეგ მისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ და დაუწვავთ. მექი ფალავას სახლში სტუმრად ყოფილან საქართველოს სახელოვანი შვილები - რაფიელ ერისთავი, სოფრომ მგალობლიშვილი, ილია ჭავჭავაძე, იონა მეუნარგია, შალვა დადიანი და სხვები.





შაურკარის წმ. გიორგის ეკლესიის ნაშთი.
შეეწირა საბჭოთა იდეოლოგიას. ლექციები

ბანძა, როგორც სამეგრელოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი, XIX ს-ის II ნახევრიდან აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული ბაზრის განმტკიცების, ძირითადად აღმოსავლეთ სამეგრელოს სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის საქმეში. ბანძის სავაჭრო ცენტრად გარდაქმნას

ხელს უწყობდა მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. იგი სენაკის მაზრის შუა ადგილზე იმყოფებოდა, რის წყალობით აქ ბაზრობას საფუძველი ჩაეყარა XIX ს-ის 60-იანი წლებიდან. 70-90-იან წლებში იგი დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ყურადღების ცენტრში მოექცა. აქვე იყო სამამასახლისო ცენტრი, 1875 წლიდან აქვე მოქმედებდა საშინაო სკოლა, სადაც დადიოდნენ ბავშვები ბანდის საზოგადოების სოფლებიდან. ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამდეც ბანდაში გაჩაღებული ვაჭრობა აქაურ მედუქნებს დიდ შემოსავალს აძლევდა. სოფლის ცენტრში, სახმელეთო გზის გასწვრივ ჩამწერივებული იყო სავაჭრო და საბაზრო ნაგებობანი. ბანდა წარმოადგენდა ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ცენტრს, სახელოსნო და სავაჭრო საწარმოებით, ბაზრით, მწკრივად განლაგებული ფიცრული ნაგებობებით და ათეულობით კერძო მობინადრეთა შენობებით. სოფელი თვალსაჩინო როლს თამაშობდა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. სოფელს სიცოცხლეს ჰქონდა საკვირაო ბაზრობა. აქ იყო ახლომახლო სოფლების მცხოვრებთა სავაჭრო ადგილი. აქ მოდიოდნენ ვაჭრები სენაკიდან, მარტვილიდან, ხონიდან, სუჯუნიდან და სხვ.

ბანდაში არსებობდა რამდენიმე ქრისტიანული სალოცავი. სოფლის საკულტო ნაგებობათაგან შეგვიძლია დავასახელოთ შაურკარის, ჯეგემპარისა და ნაჩილაჩაოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გაჩაღებულ ანტირელიგიურ კამპანიას შეეწირა.

სამოთხე კარის ეკლესიის ეზოში (სოფ. ლევახანე) ოდიოთგანვე მდგარა მუხის ხის მცირე სენაკი, რაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თავის ეზოში გადაუტანია კიკუ ფალავას. აღნიშნული ნაგებობა, როგორც ხეზე კვეთის საინტერესო ნიმუში (მცენარეთა შესანიშნავი რტელიეფური კვეთით და გრეხილი გონიოებით), შემონახული იყო გასული საუკუნის 70-იან წლებამდე. სამწუხაროდ, სენაკი ამჟამად პირწმინდად განადგურებულია და მისგან უმნიშვნელო დეტალსაც კი ჩვენამდე არ მოუღწევია.



დეკანოზ ანტონ გეგელიას სახლი. XIX ს 80-იანი წლები. ლეპაბელე.



დეკანოზ ანტონ კეკელიას სახლი.

აქვე ორიოდე სიტყვით შევეხებით სოფლისთვის დამახასიათებელ ეთნოგრაფიულ ნაგებობათა დაცვა-შენარჩუნების საკითხსაც, ვინაიდან, ქვეყნის წარსულისა და მისი ყოფითი კულტურის ისტორიის შესასწავლად ყოფა-ცხოვრების ამსახველ ცალკეულ ეთნოგრაფიულ ძეგლებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

XIX ს-ის მიწურულიდან ბანდაში ჩამოსახლებას იწყებენ ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი. ასე, მაგალითად, ნაჯახუდან ჩამოსახლებულმა იოსებ ჯოლოს ძე დანელიამ (დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ სერგი დანელიას მამამ) „საორინჯოს“ განაპირა ადგილას შეიძინა მიწის ნაკვეთი, ააგო ორსართულიანი სახლი, დაიწყო უნაგირების დამზადება და მეუნაგირებით ოჯახის რჩენა. მის გვერდით გასული საუკუნის 10-იან წლებში ორსართულიანი, აგურის მოზრდილი შენობა დადგა ლევახანედან ჩამოსახლებულმა შევასტი მათეს ძე ვახანიამ. შენობის პირველ სართულზე მას გახსნილი ჰქონდა სავაჭრო დუქანი, ხოლო მოგვიანებით, XX ს-ის II ნახევარში ავეჯისა და აგრონაწილების მაღაზია გახსნეს (აქვე განთავსებული ყოფილი რა-

იკავშირის საწყობი). ეს სახლი დღესაც შემორჩენილია. აქვე, ვა-
ხანიას სახლიდან ასიოდე მეტრზე, 1913 წელს დუტუ შანგუამ აა-
შენა აგურის ორსართულიანი სახლი, რომლის პირველ სართულ-
ზეც სავაჭრო დუქანი ჰქონია გახსნილი. 1913 წელსვე ურიაკარის
ცენტრში, აგურისავე, ორსართულიანი, ლამაზი და საკმაოდ დი-
დი ზომის სახლი ააგო ებრაელმა დიდვაჭარმა ელო აჯიაშვილმა.

ბანძის ცენტრში, ბაზართან, მინდორს ეწოდება ელოიაშ კუ-
დე („ელოიას სახლი“). აქ იდგა ბანძელი ებრაელი დიდვაჭრის -
ელო აჯიაშვილის ორსართულიანი აგურის სახლი, რომელიც იშ-
ვიათი არქიტექტურული გემოვნებით იყო აგებული ჯერ კიდევ 1913
წელს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მეპატრო-
ნისთვის სახლი ჩამოურთმევიათ და სოფლსაბჭო გაუხსნიათ. „მე
მახსოვს ელო, - იგონებს პროფ. ბონდო კარტოზია, - დრმად მოხუ-
ცი, მიხრწნილი, დარიბ-დატაკი, „ჭითა აბრამის“ სახლის წინ მზე-
სუმზირას რომ ყიდდა და შორიდან შეკყურებდა თავისი ფულით
აგებულ შენობას, რომელშიც საქმიანობდნენ აღმასკომის თანამ-
შრომლები - დათიკო გიგაშვილი, ილაკრია პუხა, მერე ივანე კეპა-
ლია, საშა წულეისკირი, ქსენია პატარაია და სხვები“⁸².

XX საუკუნის 10-იანი წლებიდან საცხოვრებელი სახლების
სოფლის ცენტრში კონცენტრაცია იმით უნდა აიხსნას, რომ უშუა-
ლო მწარმოებელი, როგორც ხელოსნური წარმოების მესაკუთრე,
დაინტერესებეული იყო საკუთარი ნაწარმის რეალიზაციით. ამი-
ტომ ცდილობდა იგი თავისი საცხოვრებელი და სახელოსნო ფარ-
თის იქ მოთავსებას, სადაც მომხმარებელთან დაკავშირების უგა-
თესი საშუალება იქნებოდა. ცხადია, სამისოდ კველაზე ხელსაყ-
რელი პირობები ბაზრის გარშემო მდებარე გზებზე იყო შექმნილი
და ვაჭარ-ხელოსნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რათა ასეთი ად-
გილები ურიაკარში დროულად დაეკავებინათ.

პოსტსაბჭოთა სივრცეში დაწყებულმა გაუაზრებელმა პრი-
ვატიზაციამ სოფელ ბანძაში არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი შე-
იწირა. სამწუხაროდ, ელო ებრაელის სახლი 2003 წელს დაანგრი-
ეს. ბანძა-ვედიდკარის გზაზე, ჩაის ფაბრიკის მახლობლად მდება-
რე დუტუ შანგუას სახლი მიწასთან გაასწორეს. იურსახე შეუცვა-

⁸² იხ. ი. კეპალია, ბანძის ტოპონიმია, თბ., 2007, გვ. 38.

ლეს ძმების - ბართლომე, თემუ, იასონ და მელიტონ გაბუნიების მიერ სოფლის ცენტრში ჯერ კიდევ 1914 წელს აგებულ ორსართულიან ნაგებობას. ამ სახლში მოგვიანებით გახსნილი იყო კლუბი და ბიბლიოთეკა, ხოლო შემდეგ სასოფლო აფთიაქი. ურიაკარში ებრაელთა ერთი სინაგოგის („აჯიაშვილების ლოცვა“) რესტავრაციამ მეორე, მცირე სინაგოგის შენობა შეიწირა.



ძმები გაბუნიების საცხოვრებელი სახლი ურიაკარში.
1914 წ. ბანბა



გიორგი თოლიოქეროს ძე კეპელიას სახლი.
XX საუკუნის დასაწყისი. ურიაკარი, ბანძა



საფლავის ქვა. XIX ს. მიწურული. შაურგარის სასაფლაო. ლეპეკელე.

ჩვენი ვალია, ახალი ქუჩების გაყვანის, ახალი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების არქიტექტურულ შენობათა აგების პარალელურად, შევინარჩუნოთ სოფლის ძველი ნაგებობებიც, რადგან ისინი ჩვენ გვაკავშირებს წინაპართა ნაკვალევთან და ორადიციებთან. სწორედ ამ სიძველეთა წიაღში ორიალებს ხელშეუხებელი „სული“, განუმეორებელი თავისებურება და უჩინარი მომხიბვლელობა ამა თუ იმ სოფელ-ქალაქისა (ვუკოლ ბერიძე).

რა უნდა გაკეთდეს ამ თვალსაზრისით? უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ბანბის „ციხე კეთილნაშენის“⁸³ ტერიტორია გაიწმინდოს ეკალ-ბარდისგან და შემოისაზღვროს იგი ლობით. ამასთანავე, ციხის შემოგარენში, გარკვეულ პერიმეტრზე, აიკრძალოს სახნავ-სათესი სამუშაოები, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს ძეგლს⁸⁴.

⁸³ ასე უწოდებს მას XVIII ს-ის დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი.

⁸⁴ ისტორიკოს შალვა ჯდარქავას მიერ ხანდაზმულთაგან ჩაწერილი გადმოცემებით XX ს-ის დასაწყისში ციხე-სიმაგრისა და გალავნის კედლები საქმაო სიმაღლეზე იყო შემორჩენილი. აქედან თლილი ქვები მოსახლეობას თავისი საჭიროებისთვის გაუზიდია. შ. ჯდარქავა, ნოჯიხევის ნაგრაფების საიდუმლოებანი. გაზ. „შრომის დროშა“, #88, 21 ივნისი, 1977, გგ. 4.



საფლავის ქვა. XX ს-ის დასაწყისი. შაურგარის სასაფლაო. ლეპებელე.



პროფესორ სერგი დანელიას სახლ-მუზეუმი. XIX ს. მიწურული. ბანა

აუცილებელი და საჩქაროა, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭოს დეკანოზ ანტონ კეკელიას (1855-1920 წწ.) სახლს ლეკეპელეში, ურიაკარში მდებარე ძმები გაბუნიების სახლს, ე. წ. კატოს დუქანს, აგრეთვე ექიმ გრიგოლ ანტონის ძე კეკელიას სახლს (1908 წ.), პროფესორ სერგი დანელიას სახლს, გიორგი თოლიოქროს ძე კეკელიას სახლს (სადაც გასული საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა მისი მეპატრონე და აქვე განთავსებული ჰქონია სამკერვალო საამქროც. ჩამოართვეს საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში და გახსნეს ჯერ სასადილო, ხოლო შემდეგ - საკანცელარიო ნივთებისა და წიგნების მაღაზია. ამჟამად სასურსაოო მაღაზია და აფთიაქია. დგას ყოფილი კულტურის სახლის გვერდით). ამ შენობებს დღეს კერძო მფლობელები ჰყავს. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ისინი უნდა ზრუნავდნენ ამ შენობებზე, არ უნდა გადააკეთონ თვითნებურად და არ დაუკარგონ თავდაპირველი იერსახე.



საფლავის ქვები. შაურგარის სასაფლაო. ბანბა. XX ს-ის დასაწყისი.

საყოველთაოდ ცნობილია დიდი ქართველი მეცნიერის, პროფესორ სერგი დანელიას (1888-1963 წწ.) ღვაწლი XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების საქმეში. სასურველი და აუცილებელიცაა, მისი ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით სოფელ ბანბაში, მისსავე სახლში, გაიხსნას მემორიალური მუზეუმი, სადაც დამთვალიერებელს შესაძლებლობა მიეცემა, გაეცნოს სახელოვანი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ მუდმივმოქმედ გამოფენას. ჩვენი მეცადინეობით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა დანგრევის პირას მისული სახლის აღსადგენად და შესანარჩუნებლად. შეგროვდა პროფ. სერგი დანელიასა და მისი ოჯახის წევრთა პირადი ნივთები, ხელნაწერები, წიგნები და ფოტოსურათები, რაც სავსებით საკმარისია მსგავსი დანიშნულების დაწესებულების დასაფუძნებლად. საჭიროა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან მეტი დაინტერესება და აქტიურობა სახლ-მუზეუმის გასახსნელად. დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი დაწესებულების მნიშვნელობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება და გაფართოვდება. ვფიქრობ, რომ მარტვილის

მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად დაუჭერს მხარს ამ საქმეს და მცირე წვლილს შეიტანს ჩვენი ერის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მიზნობრივი გამოყენების საქმეში.



დარია ფადაგას საფლავის ქვა. 1899 წ. შაურგარის სასაფლაო. ლეპებელე



საფლავის ქვის დეტალი. ლეპაპელი

სამოთხის უბანში, „სამოთხე-კარის“ სასაფლაოზე, დგას ურთხელის (უთხოვარი, ულპოლველი) საუკუნოვანი ხეები, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე ხანსრული და ყველაზე დიდი სარიტუალო ხედ მიიჩნეოდა და მას მოკრძალებით ეპყრობოდა მოსახლეობა. ხესთან მიჰქონდათ ძვირფასი შესაწირავი, რასაც ლოცვის შემდეგ იქვე სტოვებდნენ. ამ ნივთების სახლში წაღება იკრძალებოდა ტა-

ბუთი - „ვაშინერს“⁸⁵. სამოთხე კარის მცირე ტერიტორიაზე შემორჩენილი ურთხელის ცალკეული ეგზემპლარები ბუნების იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების მქონე ძეგლებია. რომ არაფერი ვთქვათ ბანბის ურთხელის საკულტო ხედ მიწნევაზე, იგი, როგორც გადაშენების ზღვარზე მდგომი მცენარე, ენერგიულ დაცვას საჭიროებს. 2020 წლის აპრილში „სამოთხე-კარის“ სასაფლაოს დათვალიერებით დადგინდა, რომ ისტორიისა და ბუნების ძეგლთა მტერს ერთ-ერთი ურთხელისთვის ცეცხლი წაუკიდებია და გამოფუღუროებული ტანი დაუნახშირებია. ვანდალიზმი ამაზე შორს სად წავა?!



საფლავის ქვები. შაურკარის სასაფლაო. ლეპეკელე. XX ს-ის დასაწყისი.

⁸⁵ იბ. გ. ელიავა, აბაშისა და ტებურის ხეობების ისტორიული დირსშესანიშნაობანი (მეგზური), თბ., 1971, გგ. 30-31.



ელო აჭიაშვილის საცხოვრებელი სახლი ურიაკარში. 1913 წ.
დაანგრიეს 2003 წელს. ბანძა.



„პატოს დუქანი“. XX ს-ის 10-იანი წლები. ბანძა.



ებრაულთა სასაფლაო ფეთხისინი. ბანბა

ამასთანავე, გადაუდებელ ამოცანას შეადგენს საფლავის ძველი ქვების დაცვა-შენარჩუნება. სამწუხაროდ, ბანბის ებრაული და ქრისტიანული სასაფლაოების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ XIX ს-ის დასასრული-სა და XX ს-ის დასაწყისის საფლავის ქვები თითო-ოროლა თუა შემორჩენილი. სოფლის ებრაულ სასაფლაოზე არის როგორც ძველი ებრაული საფლავის ქვები (მაცევა), ასევე საბჭოთა პერიოდის საფლავებიც, რომლების გარჩევაც ქართული საფლავების-გან ძალიან რთულია. ხშირად ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი საფლავის ქვებზე ებრაულად დატანებული წარწერებია. სასაფლაო საინტერესოა იმითაც, რომ ის ერთგვარი დამატებითი ისტორიული წყაროა სოფლის ისტორიის შესწავლისთვის. სამწუხაროდ, ახალი საფლავების მეპატრონებს ზოგიერთი ძველი საფლავის ქვა ნაგავსაყრელზე გადასაგდებად გაუმეტებიათ! თუკი ბანბის საჯარო სკოლაში მსგავსი სიძველეებისა და ცალკეული არქიტექტურული დეტალების, ასევე ძველი ყოფისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ნივთების განსათავსებლად ერთი

ოთახი მაინც გამოიყოფა, ამით ჩვენ გადავარჩენთ მრავალრიცხოვან და მრავალსახოვან ძეგლებს, რომლებიც ამჟამად სამუზეუმო დაცვას ექვემდებარება.

ურნალი „ქართველოლოგია“, #3, 2020, გვ. 87-100.

**სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის
ისტორიიდან ბანძაში
(XIX ს-ის II ნახევარი – XX ს-ის I ნახევარი)**

XVII ს-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ოდიშის სამთავროში ვაჭრობის საკითხებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივ ოჯახში საჭირო სხვა საგნების შესაძენად ორი საშუალება აქვთ: ერთია ბაზრობა, რომელიც იმართება სამეგრელოში, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს, და მეორეა თურქთა გემები, რომელნიც ყოველ წელიწადს მოადგებიან სავაჭროდ სამეგრელოს ნაპირებს. უმთავრესი ბაზრობა იმართება სექტემბრის პირველ კვირაში, წიფურიას ეკლესიასთან, სადაც ზოგჯერ ოციათას კაცამდე იკრიბება. წიფურიას გარდა ბაზრობა იმართება ილორის წმ. გიორგის ეკლესიასთან, ბედიაში, კორცხელსა და სხვა მრავალ ადგილას⁸⁶.

მოგვიანებით, XVIII ს-იდან, ოდიშის სამთავროში დასახლებას იწყებენ ურიანი (ებრაელები), რომლებიც ძირითადად ვაჭრობას მისდევდნენ. ისტორიკოსი, გეოგრაფი და პოლიტიკური მოდგაწევაში ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების აღწერისას ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში მიუთითებს ებრაელთა დასახლების არსებობას. ასე, მაგალითად: „ბრილის წყლის შესართავს ზეით არის ალის-წყალზედ, დასავლით, კიდესა ზედა, ალი, ქალაქი მცირე, მსახლობელნი არიან სომეხნი და ურიანი, მცირედ ქართველნი“⁸⁷; „შინდარას დასავლით, არს სურამი, მცირე ქალაქი. მოსახლენი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი“⁸⁸; „ზუსას მდინარის დასავლეთით, არს ჩიხორი, ქალაქი [მც]ირე. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი“⁸⁹; „ქუთათისი... მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი“⁹⁰ და ა. შ.

სამეგრელოში ებრაელები მოსახლეობდნენ სუჯუნაში, ბან-

⁸⁶ ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 2011, გვ. 178-180.

⁸⁷ ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 82.

⁸⁸ იქვე- გვ. 83.

⁸⁹ იქვე- გვ. 83.

⁹⁰ იქვე- გვ. 158.

ძაში, სენაკსა და ფოთში⁹¹. საგულისხმოა ის გარემოება, რომ სამეგრელოს ჩამოთვლილ დასახლებულ პუნქტებში ვახუშტი ებრაელთა ცხოვრების კვალზე არ მიუთითებს. ზაქარია ჭიჭინაძემ ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში ახსენებს ბანძას, მაგრამ ებრაელთა დასახლების ამ სოფელში არსებობაზე არაფერს ამბობს. მაშასადამე, მისი მოდვაწეობის პერიოდში (XVIII ს-ის I ნახევარი) „იქ ებრაელნი არ ცხოვრებულან“⁹².

კუთვნილების თვალსაზრისით სამეგრელოში საეკლესიო-სამონასტრო და სათავადაზნაურო ყმები იყვნენ. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მართლმადიდებელი ეკლესიის ყმები ყოფილან, რაც, გარკვეულწილად, უნიკალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ყმა ებრაელი ეკლესიის თუ ფეოდალის (ბატონის) გადასახადს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით და ბეგარით იხდიდა. მათი უფლებრივი მდგომარეობა ქართველ ყმა-გლეხთა ანალოგიური იყო. საუკუნეების მანძილზე ისინი ითავისებდნენ ქართველებისთვის დამახასიათებელ ურთიერთობის ფორმებს და ყოფითი კულტურის ელემენტებს. გრიგოლ ბეჟანის ძე დადიანი, ჭყონდიდელი მიტროპოლიტის, მიერ 1770 წელს შედგენილი სიგელიდან ირკვევა, რომ მარდახა ურია და მისი ძმა იაკობა, მათივე ცოლ-შვილით, ჭყონდიდელს „ძვირფასად“ დაუხსნია და სუჯუნის საყდრის მახლობლად დაუსახლებია⁹³.

ეს არის ჩვენთვის ცნობილი პირველი წერილობითი დოკუმენტი ოდიშში (სამეგრელო) ებრაელთა დასახლების შესახებ. მაგრამ არსებობდა თუ არა ბანძაში იმავე პერიოდისთვის ებრაელთა დასახლება, ამის შესახებ პირდაპირი და უტყუარი წერილობითი ცნობა არ მოგვეპოვება. ამიტომ ისრაელში გამომავალ ქართულენოვან გაზეთში 1990 წელს სუჯუნელ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების შესახებ გამოქვეყნებულ ერთ საინტერესო სტატიაში მოცემული ცნობა - ახსოვს ამ სოფელს XVIII საუკუნიდან მოყოლებული, თანდათან როგორ დასახლდნენ აქ ქუთაისიდან, ლაილაში-

⁹¹ იხ. ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში, თბ., 1990, გვ. 66.

⁹² ზ. ჭიჭინაძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 66.

⁹³ იხ. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტფ., 1921; მსჯელობისათვის იხ. კაჭარავა, სუჯუნის წმინდა გოორგის ეკლესიის ისტორია, თბ., 2009, გვ. 39-40.

დან, ბანძიდან, კულაშიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხი-დან გადმოსული ებრაელებიო, დაუსაბუთებლად გვეჩვენება⁹⁴. სუ-ჯუნაზე უადრესად ბანძაში ებრაელთა ცხოვრების კვალი ისტო-რიული წყაროებით არ დასტურდება.



ბანძის სინაგოგა, აჯიაშვილების ე. წ. ბეით ქნესეთი. 1913 წ.

ბანძის ისტორიის შესახებ გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო სესიებზე წაკითხულ მოხსენებებში მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ალექსანდრე გაბუნია ამ სოფელში ებრაელთა ჩამოსახლების პერიოდად XVIII ს-ის მეორე ნახევარს ასახელებს და წერს: ფულადი-სასაქონლო მეურნეობის შემოჭრის წინა პერიოდში ამ ადგილის დაწინაურებას მისი სტრატეგიული (სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობის გზაჯვარედინზე) მდებარეობა განაპირობებდა. XIX ს-ის დასაწყისისათვის აღებმი-ცემობის თვალსაზრისით თვალსაჩინო შედეგები მოაქვს არა მხოლოდ ბანძისათვის, არამედ ქუთაისი, სუჯუნა, ნოქალაქევი და ხონიც ამ მხრივ მნიშვნელოვანი კერები ხდებიან. სუჯუნაში ებრაელთა უბნის შექმნას ყურადღებას აქცევენ ბანძის მფლობელი ფალავები და გაბუნიები და გვიან, XVIII ს-ის II ნახევარში, ბეჟან და

⁹⁴ გაზ. „დროშა“, №70, სექტემბერი, 1990.

ლევან გაბუნიებს ბანდაში შემოჰყავთ ებრაელთა ერთი ოჯახი, კაფავენ ტყეს და ამ ოჯახს სწორედ იმ ადგილას ასახლებენ, რასაც დღეს „ურიაკარი“ ეწოდება. შემდეგ მას ებრაელთა ახალი ოჯახებიც ემატება და საჭილაო-ჭყონდიდისა და არგუეთ-კლისორის გზაჯვარედინზე მდებარე ბანძის ებრაელთა უბანი (ურიაკარი) გაცხოველებული ვაჭრობის ცენტრი ხდება⁹⁵.

ბანძაში ებრაელთა ჩამოსახლებას XVIII ს-ის დასასრულში ვარაუდობს გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერთანამშრომელი გივი ფარულავა. „სულ მალე გაფართოვდა ებრაელთა უბანი. ისინი ვაჭრობის და ხელოსნური საქმიანობის ინიციატორები გახდნენ. სავაჭრო და ხელოსნურ საქმიანობას ხელი მოკიდეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, მალე ბანძის სავაჭრო სახლები და საქმოსნები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (სიმინდი, კვერცხი, ღვინო, პირუტყვი და სხვ.), ნედლეულის (ტყავი, მატყლი, ხე-ტყე და სხვ.) მიმწოდებელი გახდნენ არამარტო საქართველოს და რუსეთის ცენტრებისათვის, არამედ, ხშირად ისინი საერთაშორისო ბაზარზეც გადიოდნენ ხოლმე. მალე ბანძაში ერთგვარი სავაჭრო გაერთიანებებიც კი იქმნება, რომლებიც თავიანთ ხელში იდებენ სამრეწველო საქონლის შემოტანისა და გასაღების ინიციატივას (მეფართლეები, მეპურეები, მეავეჯეები და სხვ.)“⁹⁶.

ბანძაში ებრაელთა ჩამოსახლების ისტორიას შეეხება აგრეთვე მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ანა ჩიქვანაია. XVIII ს-ის დასასრულსა და XIX საუკუნეში ამ ადგილის მნიშვნელოვან, მჭიდროდ დასახლებულ, სავაჭრო-ეკონომიკურ და სახელოსნო წარმოების პუნქტად გადაჭცევას მკვლევარი სავსებით სამართლიანად მნიშვნელოვან სტრატეგიულ გზაჯვარედინზე მდებარეობით ხსნის: აქ ერთმანეთს კვეთდა სუჯუნა-ჭყონდიდისა და არგუეთ-კლისორის სავაჭრო-საქარავნო გზები⁹⁷. მკვლევარი დასძენს, რომ „კარგმა ადგილმდება-

⁹⁵ ა. გაბუნია, სოფელ ბანძის ისტორიისათვის. გმმ IX სამეცნიერო სესია. თეზისები. ქუთ., 1967, გვ. 16-17.

⁹⁶ გ. ფარულავა, ფულადი-სასაქონლო მეურნეობის პირველი კერები განაპირა მხარეებში - სოფ. ბანძა. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ბანძის მეცნიერების საბჭოთა მეურნეობის გაერთიანებული XV სამეცნიერო სესია. თეზისები. გეგეჭკორი, 1971, გვ. 19-20.

⁹⁷ ა. ჩიქვანაია, სოფელ ბანძის ისტორიისათვის, გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სამსარეთმცოდ-

რეობამ ხელი შეუწყო ბანბის სწრაფ კულტურულ-ეკონომიკურ დაწინაურებას, აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის განვითარებას. ბანბა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლის ცენტრად აქ ებრაელების ჩამოსახლების მერე, XVIII საუკუნიდან ქცეულა⁹⁸. მოხსენების თეზისებში ა. ჩიქვანაია არ იმოწმებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეყრდნობა და იზიარებს აღ. გაბუნიას თვალსაზრისს, როცა წერს: ებრაელთა „ჩამოსახლებასა და აქ დამკვიდრებას, განსაკუთრებით შეუწყვეს ხელი ბეჟან და ლევან გაბუნიებმა. მისცეს მათ საცხოვრებელი ადგილი, რომელსაც შემდეგ ურიაკარი დაერქვა. უფრო გააქტიურდა სამეურნეო ყოფაც და კულტურაც, გამოცოცხლდა ადგილობრივი მოსახლეობა, შეიქმნა სახელოსნოები, გაიხსნა დუქნები, შორს გაითქვა სახელი ადგილობრივი მჭედლების, ოქრომჭედლების და სხვა ხელოსანთა ნახელავმა⁹⁹. ბანძელ ებრაელთა ისტორიის შესახებ ამავე მუზეუმის თანამშრომელი დევი ელიავა შენიშნავს, რომ XVIII ს-ის შუა პერიოდიდან ებრაელები მტკიცედ იკიდებენ ფეხს ყულევში, ფოთში, კულაშში, ორპირში, ქუთაისში, ლაილაშში, სენაკსა და, მოგვიანებით, ბანბაში. ქართველ ებრაელებს უფლება პქონდათ, ქვეყნის შიგნით განევითარებინათ ვაჭრობა და ასევე უცხო ქვეყნებიდანაც შემოეტანათ საქონელი... თავადმა ფალავამ ეკონომიკური ცხოვრების გასაღრმავებლად ჩამოიყვანა ებრაელი სოფდაგრის ერთი ოჯახი, რომელსაც აქ ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა. მის მიმართ თავად ფალავას მიერ თვალსაჩინო შედავათები გავრცელდა. ებრაელებს შედავათები მიეცათ ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, ყმობის ვალდებულების გადახდის საქმეებშიც. ამ ოჯახს შემდეგ რამდენიმე ახალი კომლიც მოჰყვა. დაიწყო ბანძელ ებრაელთა მოგზაურობა მთასა და ბარში, შეიკრა შინაგანი და საგარეო კავშირ-ურთიერთობანი და ა. შ.¹⁰⁰

⁹⁸ ნეო მუზეუმის XXVII სამეცნიერო სესიის მასალები. გეგეჭკორი, 1982, გვ. 68.

⁹⁹ იქვე- გვ. 69.

¹⁰⁰ იქვე- გვ. 69-70.

¹⁰⁰ დ. ელიავა, ბანბა - სამეცნიეროს სააღებმიცემო და კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი წამყვანი ერა XIX საუკუნესა და XX საუკუნის I ნახევარში. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის XXXVIII სამეცნიერო სესია. თეზისები. 1992, გვ. 12-13.



ბანდის სინაგოგის სამშენებლო წარწერა. 1913 წ.

ბანდაში ებრაელთა ჩამოსახლების შესახებ საგულისხმო ინფორმაციის შემცველია ჩემ მიერ 1996 წელს გიორგი ოთარის ძე კუციასაგან ჩაწერილი შემდეგი გადმოცემა: „ბანდის მიწა-მამულებს თავადი ფალავები და აზნაური გაბუნიები ფლობდნენ. ოდიშის მთავარ დადიანს კარგი სამსახურისთვის აზნაურ გაბუნიას-თვის ორი ყმა გლეხის - კაჭარავასა და კუციას ოჯახი უბოძებია. გაბუნიას ეს ყმები ბანდის ცენტრში, ტაბაკურში დაუსახლებია. გაბუნიას ქმედებისთვის მიუბაძავს ფალავას და კულაშიდან ჩამოუსახლებია ყმები, გვარად აჯიები (აჯიაშვილები), რომლებიც იმპრეოს მეფეს მისი ცოლისთვის მზიოვში გამოუყოლებია. ფალავას სოფლის ცენტრში პატარა ფაცხა დაუდგამს ებრაელთა ამ ოჯახისთვის. ბანდის ცენტრი უწინ ტყით ყოფილა დაბურული. ტყე გაუჩეხიათ და ებრაელები აქ დაუსახლებიათ. ამ ოჯახს შემდეგ სხვა გვარისკაცნი - ხუხაშვილები, შამელაშვილები, შალელაშვილები, სეფიაშვილები, ბააზოვები, ჯანაშვილები, მეგრელიშვილები ჩამოჰყოლიან და მაღლე ეს უბანი ცენტრად უქცევიათ“.

საგულისხმოა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1897 წლის 2 ნოემბრის ნომერში (#359) გამოქვეყნებული კორესპონდენცია, რომ-

ლის ავტორიც - კონსტანტინე ფალავა სოფ. ბანძის შესახებ წერს: „ბანძა მდებარეობს ახალ-სენაკიდან ოცდა-ხუთი ვერსის მანძილზე. ამ სოფლის მკვიდრს მცხოვრებლებს შეადგენენ ორასამდე კომლი თავადაზნაურობა და სასულიერო წოდება და ხუთასი კომლი საბატონო გლეხები; გლეხებს ეკუთვნიან აგრეთვე უხსოვარ დროიდან აქ გადმოსახლებულნი სხვადასხვა ადგილებიდან ორმოც-და-ათი მოსახლე ებრაელნი, რომელნიც თავ. ფალავების ყმები იყვნენ. ებრაელნი უფრო ეტანებიან ვაჭრობას და ბევრი მათგანი საკმაოდ შეძლებულია“.

იმავე გაზეთის 1897 წლის 4 ოქტომბრის #330-ში გამოქვეყნებულ წერილში ძირი თ. („სოფ. ბანძა (სამეგრელო). წრეს გადასული ებრაელთა მევახშეობა“) აღნიშნავს: „ბანძაში განსაკუთრებით მეგრელები ცხოვრობენ და ერთს პატარა უბანზე კი ებრაელნი არიან ძველთაგანვე დასახლებულნი. სოფლის ვაჭრობა და აღებ-მიცემა ამ ებრაელთა ხელშია“.

განსხვავებული თვალსაზრისი წამოაყენა ევგენი ბართაიამ, რომელიც ბანძაში ებრაელების, ვაჭარ-ხელოსნების მომრავლებისა და მათ მიერ სავაჭროების გახსნის პერიოდად ბატონყმობის გაუქმების შემდეგდროინდელ, კაპიტალიზმის განვითარების პერიოდს ვარაუდობს¹⁰¹. გაზეთ „ივერიის“ 1897 წლის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნულია, რომ ებრაელები ფალავების ყმები ყოფილან. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ აქ სამუდამოდ დამკვიდრებულან, სამოსახლოები შეუძენიათ, დუქნებიც გაუმართავთ და წვრილმანებით ვაჭრობა დაუწყიათ.

გ. ელიავას მოსაზრებით, პირველი ებრაელი ვაჭარი აქ თავად ფალავას ჩამოუყვანია, დაუსახლებია და მისთვის პატარა ფაცხა დაუდგამს. პირველ ებრაელს სხვებიც ჩამოჰყოლიან და საწვრილმანოთი ვაჭრობა დაუწყიათ. სულ მალე ეს პატარა ადგილი ცენტრად ქცეულა¹⁰².

ებრაელებს ბანძის ცენტრში მიეცათ სამოსახლო. ამ დასახლებას შაურკარიდან (ამჟამად ეწოდება სასაფლაოს და ნატაძრალს სოფლის ცენტრში) სამხრეთით - ექუთეემდე, ურიაკარი ეწოდა. ჩრდილოეთით მას ეკეკე//ლეკეკელე (უწინდელი ბანძა-

¹⁰¹ ე. ბართაია, ადამიანები და საქმეები, თბ., 1965, გვ. 29.

¹⁰² გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭვრის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977, გვ. 84.

შაურკარი) ესაზღვრება, დასავლეთით – (ლ)ეპატარე, ხოლო აღმოსავლეთით ლეილკარ-ტაბაკურამდე (ლეპაჭარე) ვრცელდება (შდრ. ურიაკარი – ებრაელთა ყოფილი დასახლებული უბანი სუჯუნის ცენტრში, სადაც დგას სინაგოგა).

ენათმეცნიერი პ. ცხადაია „ურიაკარის“ პარალელურ სახელწოდებად მიუთითებს **ბაზარს** და შენიშნავს, რომ ასე ეწოდება უბანს, სოფლის ცენტრს. მკვლევარი იმოწმებს ინფორმანტთა განმარტებებსაც: აქად განთავსებული ბაზარი, მაღაზიები, აფთიაქი, ფოსტა და სხვ. ასე რომ, თქმა – ბაზარში მივდივარ, მხოლოდ ბაზარში წასვლას როდი ნიშნავს; ოდესდაც აქ დასახლებულ ერთ ურიას ნავთის გაყიდვა დაუწყია და მაშინ დარქმევია ურიაკარი¹⁰³.



დავითის ექვსქიმიანი ვარსკვლავი. ბანბის სინაგოგა

ბანძელ ებრაელთა ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით საგულისხმო ცნობებს შეიცავს 1898 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული კორესპონდენცია – „სოფ. ბანბა (სენაკის მაზრა)

¹⁰³ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), ობ., 2010, გვ. 222.

[თავ. ფალავების ყოფილი ყმების ებრაელების ვაჭრობა „ურიაკარში“. ცუდი გზა აბაშამდე]“: „ბანძა დიდი სოფელია. ბანძის შუაგულს არსებობს „ურიაკარი“. მოვაჭრები ურიები არიან. ურიები თთ (თავადთ – ი. პ.) ფალავათა ყმანი იყვნენ. ბატონ-ყმობის განთავისუფლების შემდეგ ბანძაში დამკვიდრებულან სამუდამო საცხოვრებლად. ვაჭრობა დაუწყიათ, დუქნები გაუმართავთ, მიწადგილი შეუძენიათ და თვითონაც გამრავლებულან. დღეს ორას-ზედ მეტი სული ითვლება ურია. ყოველ კვირა „ურიაკარში“ დიდი ვაჭრობა იმართება, სოფლის ხალხს მიაქვს აქ გასასყიდად თავისი ნამუშევარი და ურიები ნახევარ ფასად ჰყიდულობენ. სამწუხაროდ, აქ არავითარი წეს-რიგი არ არის, არც არაფრის ნიხრია დადებული და ვაჭრობასაც არავინ ადევნებს თვალყურსა. ბანძაში ბარე ოთხი-ხუთი ეკლესია. კვირა-უქმე დღეს რომ შეხვიდეთ ეკლესიაში, ოთხ-ხუთს კაცს ვერ ჰნახავთ მლოცველს. სად არისო, რომ იკითხოთ, „ურიაკარში“, პატონი“, გიპასუხებენ. ძალიან კარგს იზამს ადგილობრივი მთავრობა, რომ კვირადღეობით დილიდგან წირვის გამოსვლამდის ურიებს დუქნებს დააკეტინებდეს და ნასაღილევს მისცემდეს ვაჭრობის ნებას. მაშინ ხალხი ეკლესიას არ დააკლდება და ვაჭრობასაც ადვილად მოასწრებს“¹⁰⁴.

ბანძაში შეიქმნა ებრაელთა სავაჭრო გაერთიანებები. ისინი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიმწოდებლები გახდნენ საქართველოს, რუსეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ცენტრებისათვის, რასაც ხაზგასმით აღნიშნავდა გაზეთ „კვალის“ 1900 წლის ერთ-ერთი ნომერი (#46), სადაც ნათქვამია, რომ აქედან გატანილ პროდუქტებსა და ნედლეულს დიდი მოთხოვნილება და აღიარება ჰქონდა საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის ბაზრებზე. აქ ებრაელებმა ვაჭრობის საქმე იმდენად მოაწყვეს, რომ ბანძა, დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის შემდეგ, პირველი სავაჭრო ცენტრი გახდა.

„ქართველ ურიას საქართველო ძველთაგანვე უყვარდა, როგორც თავისი ქვეყანა, სამშობლო და მისი მფარველობა, სადაც მას თავისუფლად შეეძლებოდა ყოფნა, ცხოვრება და თავისი ქონების და ცოლ-შვილის დაფარვა. ქართველი ერი მათ ისე უყვარ-

¹⁰⁴ „ივერია“, #186, 1898, გვ. 2.

დათ, როგორც უვნებელი მფარველნი, პატივისმცემელნი და ვაჭრობასა და მეურნეობაში დიდი მექომაგენი. საზოგადოთ, ქართველებს ჩვეულებათ ჰქონდათ, რომ ვინც კი მათს ქვეყანას მიეკედლებოდა და დასახლდებოდა, იმას იგინი მაშინ მეტის თავაზით და პატივისცემით უმზერდნენ. ამიტომაც იყო, რომ ქართველნი ებრაელთ დიდ პატივსაც აგებდნენ, ქართველნი ყოველთვის ზნეობრივ მოვალედ სთვლიდნენ თავიანთ თავს“, – წერს ზაქარია ჭიჭინაძე, ხოლო ერთგან დასძენს: ამის მიუხედავად, „მათ თავიანთ გულჩამწვარ, დატყვევებულ სამშობლოს ხსოვნა მაინც არასდროს არ დავიწყებიათ. შორს იყვნენ, მაგრამ გული კი ყოველთვის სამშობლოსკენ მიელტოდათ, ურიასტანის ყოველ მოვლენას, ყოველ შინაგანს საქმეს და მოძრაობას ესენი ჯეროგან ყურადღებას აპყრობდნენ“¹⁰⁵.

საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრებამ ხელი შეუწყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გამოცოცხლებას, რაც, თავის მხრივ, იწვევდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებას და გზების კეთილმოწყობას, დამატებით ახალი გზების გაყვანას, ბაზრების, იარმარკების დაფუძნებას და სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებების რიცხვის ზრდას.

აღმოსავლეთ სამეგრელოში ასეთი სავაჭრო უბნები მოეწყო ახალსენაკში, ძველ სენაკში, ბანბაში, ნაოდალევში, ნოქალაქევში, სალხინოში, ლემაძამეში, სუჯუნასა და აბაშაში. კვირის გარგეული დღეები, ბაზრობის დღეები დაინიშნა მასობრივი ვაჭრობისათვის. ნაოდალევში (მარტვილი) ბაზრობა პარასკეობით იმართებოდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „დროება“ წერდა: „ძალიან კარგი იქნებოდა ამისთანა დაწესება საქართველოს სხვა ნაწილებშიაც იყოს. ძალიან კარგი იქნება, რომ ამას ითავებდნენ მამასახლისები და რამდენსამე ახლო-მახლო სოფლებს შუა დააწესებდნენ პარასკეობასა“ (1871 წ.). აბაშაში საშემოდგომო ბაზრობა იმართებოდა სექტემბრის თვის ყოველ პარასკევს, ლემაძამეში – ყოველ ოთხშაბათს, ბანბაში, ურიაკარის უბანში – კვირაობით, ხოლო ძველ სენაკში იარმაკობა წელიწადში ხუთჯერ იმართებო-

¹⁰⁵ ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში, გვ. 8, 20-21.

და. გ. ფარულავას აზრით, „სააღებმიცემო სავაჭრო საქონელს შეადგენდა: პური, დომისდომი, სიმინდი, ლობიო, ცერცვი, თაფლი, ცილი, თაფლის სანთელი, ლვინო, ნიგოზი, შინაური ფრთოსანი ფრინველები, საქონელი, ხე-ტყე, განსაკუთრებით კაკლისა და ბზის მორები, სელი, აბრეშუმი, მატყლი და მათი ნაწარმი, ბეჭვეული; სასოფლო და საოჯახო ნივთები; წვრილი ხელოსნური და კერამიკული ნაწარმი“¹⁰⁶. ურიაკარის ბაზრობა უწინაც კვირა დღეს იმართებოდა და ამჟამადაც ასეა. მორეკილი მსხვილფეხა შინაური საქონლის (ხარ-ძროხა), აგრეთვე ცხენებისა და ღორების რაოდენობა ყოველთვის იმდენად დიდი იყო, რომ მისი ყიდვა-გაყიდვისთვის ბაზრის ტერიტორიისგან განცალკევებით, სოფლის ცენტრის განაპირას, სპეციალური ადგილი ჰქონდათ გამოყოფილი. ამ მინდორზე გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან ჩაის ფაბრიკა გაშენდა, ხოლო ადგილის სახელწოდებად დღემდე შემორჩა ორენჯი//ორი(ნ)ჯი//საორინჯო („ორინჯი“ მეგრულ ენაში „მსხვილფეხა საქონელს“ ნიშნავს).

ასევე ცალკე შენობაში ხდებოდა ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი მარცვლეულის აწონვა. ის ადგილი, სადაც საამისოდ განკუთვნილი ხის ფიცრული ნაგებობა იდგა, საყანოროს სახელით არის ცნობილი. ეს არაბულ-თურქული სიტყვა ქართული ენის დასავლურ კილოებს - გურულსა და იმერულს, ასევე მეგრულ ენასაც, ყანთარი ფორმით უსესხებია, რაც „სასწორს, ცალსასწორას“ ნიშნავს; საყანორო კი ის ადგილია, სადაც სასწორი დგას (ან იდგა)¹⁰⁷.

ბანძა, როგორც სამეგრელოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი, XIX ს-ის II ნახევრიდან აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული ბაზრის განმტკიცების, ძირითადად აღმოსავლეთ სამეგრელოს, ასევე ქვემო იმერეთის სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის საქმეში. სამეგრელოს რეგიონის სოფლები სწორედ ბანძასა და სუჯუნაში მცხოვრები ად-

¹⁰⁶ გ. ფარულავა, აღებ-მიცემობა და ხელოსნური საქმიანობა მხარეში ოქტომბრის რევოლუციამდე გმმ VI სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა ოეზისები, ქუთ., 1965, გვ. 25; მსჯელობისათვის იხ. მიხივვე, სამეგრელოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური მდგრადირება საგლეხო რეფორმის გატარების შემდგება. გმმ II სამეცნიერო სესია, ქუთ., 1961, გვ. 39-40.

¹⁰⁷ პ. ცხადათა, დასახელებული ნაშრომი, 2010, გვ. 228.

გილობრივი ვაჭრების მიერ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ქალაქებიდან და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოგანილი ევროპული საქონლით მარაგდებოდა. ბანბიდან და სუჯუნიდან ევროპაში დიდი რაოდენობით გაჰკონდათ აგრეთვე ქართული საქონელი, ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახით. „ბანბიდან იგზავნებოდა ყველა მიმართულებით თაფლი, აბრეშუმის პარკი, ან ძაფი და კვერცხი“, - წერს ე. ბართაია¹⁰⁸. ასევე სოფელი სუჯუნა, ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის გაყვანამდე (XIX ს-ის 70-იანი წლების დასაწყისი) უცხოური სავაჭრო საქონლის გამანაწილებელ პუნქტს წარმოადგენდა¹⁰⁹.

ბანბის სავაჭრო ცენტრად გარდაქმნას ხელს უწყობდა მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. იგი სენაკის მაზრის შუა ადგილზე იმყოფებოდა, რის წყალობით აქ ბაზრობას საფუძველი ჩაეყარა XIX ს-ის 60-იანი წლებიდან. 70-90-იან წლებში იგი დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ურადღების ცენტრში მოექცა. აქვე იყო სამამასახლისო ცენტრი, 1875 წლიდან აქვე მოქმედებდა საშინაო სკოლა, სადაც დადიოდნენ ბავშვები ბანბის საზოგადოების სოფლებიდან. ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამდეც ბანბაში გაჩაღებული ვაჭრობა აქაურ მედუქნებს დიდ შემოსავალს აძლევდა. სოფლის ცენტრში, სახმელეთო გზის გასწვრივ ჩამწკრივებული იყო სავაჭრო და საბაზრო ნაგებობანი. ბანბა წარმოადგენდა ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ცენტრს, სახელოსნო და სავაჭრო საწარმოებით, ბაზრით, მწკრივად განლაგებული ფიცრული ნაგებობებით და ათეულობით კერძო მობინადრეთა შენობებით. სოფელი თვალსაჩინო როლს თამაშობდა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. სოფელს სიცოცხლეს პმატებდა საკვირაო ბაზრობა. აქ იყო ახლომახლო სოფლების – აბედათის, ჯოლოს, ვედიდკარის, მუხურჩის, ნოქალაქის, ლებალათურეს, ვედიდკარის, მუხურჩის, ორქა-მახათის, სეფიეთის, ნაგებერუს, ნაჯახუს, ლეხაინდრეს, ნოჯიხენის, ნაგვაზუს, ნახარებუს, ონოდიის, გეჯოის მცხოვრებთა სავაჭრო ადგილი. აქ მოდიოდნენ ვაჭრები სენა-

¹⁰⁸ იხ. ე. ბართაია, მითითებული ნაშრომი, გვ. 29.

¹⁰⁹ იქვე, გვ. 38.

კიდან, მარტვილიდან, ხონიდან, სუჯუნიდან და სხვ. თამაკონიდან და ტეხურსგაღმა მდებარე სხვა სოფლებიდან **მექაძაქეშ შარათი** („მექალაქის გზა“, „ქალაქში მიმავლის გზა“) მომავალ გლეხებს ბანძის ბაზარზე გასაყიდად მოჰქონდათ კერამიკული ნაწარმი, ხის ჯამ-ჭურჭელი და ა. შ. აქაური ებრაელი ვაჭრები საზღვარგარეთაც ახერხებდნენ სიარულს და იქიდან სავაჭრო საქონლის ჩამოტანას.

როგორც აღვნიშნეთ, ურიაკარის ბაზარში ახლომახლო სოფლებიდან შემოჰქონდათ აბრეშუმის ნაწარმი და თესლი, წულები, ხოხები, ნაბდის ქუდები, ხოხები, მატყლი, ვერცხლის ქამარნანჯლები, მარცვლეული (სიმინდი, ღომი, ლობიო), შინაური ფრინველი, რძე და რძის ნაწარმი, ღვინო, სხვადასხვა ხილი, მწვანილი, თევზი და სხვ. აქ ნახავდით ქვემო იმერეთის სოფლებიდან გლეხების მიერ ჩამოტანილ საზამთროს და ნესვს, მეგრელი მეთუნეების მიერ დამზადებულ კეცებს, ჩაჩამუტებს, დერგებს, ქვერებს, დოქებს, კოკებს, ჭის გვიმებს; ბალდელი, ლეცაველი, ნახახულეველი და მათხოჯელი ხის ოსტატების მიერ დამზადებული ხონჩებით, კოვზებით, ჯამებით, კალათაებით, ტაბაკებით, გიდლებით დატვირთულ ფარდიან ურმებს თუ ჩალვადრებს. საორინჯოსთან იყიდებოდა შეშა, ქვის ბოძები, წისქვილის დოლაბები, კირი და სხვ. აქ იყიდებოდა ტალერიდან და მთიანი სამეგრელოს ხეტყით მდიდარი სხვა სოფლებიდან ჩამოტანილი „ყამბარი“ (ყავარი) და სხვა სახის ხის სამშენებლო მასალა. იყიდებოდა აგრეთვე ცხენის ადკაზმულობა - უნაგირები, მათრახები, უზანგები, ნალები, სხვადასხვა სახის რკინის ნაწარმი, რასაც ადგილობრივი გლეხები სამჭედლოებში ამზადებდნენ. „ჩაკაზიდი ინჩხირაეფი“ ვაჭრობდნენ თავსაბანი თეთრი მიწით. დიდი გასაღება ჰქონდა აგრეთვე თამბაქოს. ებრაელები ჩითებს და ფართლეულს შინაურ ფრინველებშიც ცვლიდნენ; ამასთანავე, ყიდულობდნენ ჯაგარს ჯაგრისების დასამზადებლად. სოფელში არსებობდა აბრეშუმის პარკისა და სიმინდის შემძენი და სარეალიზაციო პუნქტები.

ბაზრის პარალელურად ვაჭრობა მიმდინარეობდა სოფლის ცენტრში გამართულ დუქნებსა და ხის ფარდულებში. ვაჭართა უმრავლესობას ებრაელები წარმოადგენდნენ, თუმცა ამ საქმიანობაში ჩაბმული იყვნენ აგრეთვე ადგილობრივი მეგრელები,

გლეხების, ხელოსნების, აზნაურების სოციალური ფენიდან. ბან-ძელ ვაჭართა უმრავლესობა გლეხთა წრიდან იყო გამოსული.

ბანძაში თანდათან იზრდებოდა სავაჭრო დაწესებულებათა რიცხვი, რასაც ხელს უწყობდა სოფლის მოხერხებული გეოგრა-ფიული მდებარეობა - აქ თავს იყრიდა სენაკ-ნოქალაქენიდან, ნაო-დალენიდან, ჯოლო-აბედათიდან, აბაშა-სუჯუნიდან, ხონი-ლეხა-ინდორედან, სამიქაო-ონოღიიდან მომავალი გზები, რის გამოც ბან-ძელები ჩაბმულნი იყვნენ სავაჭრო საქონლის არა მხოლოდ ქვეყ-ნის შიგნით, არამედ მსოფლიო-ეკონომიკურ ბრუნვაში. XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში ბაზრის მოედნის ირგვლივ სახე-ლოსნოების, სავაჭროებისა და სამიკიტნოების რიგები იყო გაჭი-მული. სოფელში პირველად ჩამოსულს აუცილებლად თვალში ეცემოდა სავაჭრო ფარდულების სიმრავლე.



ბანძის ამჭრები.
XX ს-ის 10-იანი წლები

საგლეხო რეფორმის გატარებას გლეხობის ძირითადი მასის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა. ამ მიზეზით და იმის გამო, რომ სასაქონლო წარმოების ზრდა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, გაიზარდა ფაბრიკულ საქონელზე მოთხოვნილება, რამაც, სავაჭრო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებასთან ერთად, ხელსაყრელი პირობები შექმნა აქ ვაჭრობის შემდგომი აღმავლობისათვის.

მეაბრეშუმეობის ცნობილი სპეციალისტი იოსებ ქუთათელაძე მარსელიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში (1910 წ.) წერდა: გურია-სამეგრელოს მივარდნილი სოფლებისა კი არა, საქართველოს მანჩესტერ-ლიონის - ხონის არსებობის შესახებაც არაფერი იცის საფრანგეთისა და იტალიის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებამო¹¹⁰. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩებოდა: სამეგრელოსა და იმერეთის (ხონის) ვაჭრები რუსეთისა და ევროპის სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში სარეალიზაციოდ გაქონდათ აბრეშუმის პარკი, სიმინდი, კვერცხი და სხვ., ხოლო იქიდან შემოტანილი საქონლის რეალიზაციას დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა და-სახლებულ პუნქტში (ფოთი, ზუგდიდი, ჩხოროწყუ, სენაკი, ლეპა-მამე, მარტვილი, ბანბა, სუჯუნა, ორპირი, სამტრედია, ხონი, ლაი-ლაში, ქუთაისი...) ახდენდნენ.

XIX ს-ის მიწურულიდან ბანბაში ჩამოსახლებას იწყებენ ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი. ასე, მაგალითად, ნაჯახუდან ჩამოსახლებულმა იოსებ ჯოდოს ძე დანელიამ (დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ სერგი დანელიას მამამ) საორინჯოს განაპირა ადგილას შეიძინა მიწის ნაკვეთი, ააგო ორსართულიანი სახლი, დაიწყო უნაგირების დამზადება და მეუნაგირეობით ოჯახის რჩენა. მის გვერდით გასული საუკუნის 10-იან წლებში ორსართულიანი, აგურის მოზრდილი შენობა დადგა ლევახანედან ჩამოსახლებულმა შევასტი მათეს ძე ვახანიამ. შენობის პირველ სართულზე გახსნილი ჰქონია სავაჭრო დუქანი, ხოლო მოგვიანებით, XX ს-ის II ნახევარში - ავეჯისა და ავტონაწილების მაღაზია (აქვე განთავსებული ყოფილა რაიკავშირის საწყობი). აქვე 1913 წელს დუტუ შანგუამ ააშენა აგურის ორსართუ-

¹¹⁰ „მოსავალი“, #7, 1910, გვ. 9-10; ვიმოწმებთ პ. ვაჭრიძის წიგნიდან „ხონის ისტორიიდან“, თბ., 1998, გვ. 113.

ლიანი სახლი, რომლის პირველ სართულზეც სავაჭრო დუქანი ჰქონია გახსნილი. 1913 წელს ვე ურიაკარის ცენტრში, აგურისავე, ორსართულიანი, ლამაზი და საკმაოდ დიდი ზომის სახლი ააგო ებრაელმა დიდვაჭარმა ელო აჯიაშვილმა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახლი ჩამოურთმევიათ და სასოფლო საბჭოს აღმასკომისთვის გადაუციათ. „მე მახსოვს ელო, - იგონებდა პროფესორი ბონდო კარტოზია, - ღრმად მოხუცი, მიხრწნილი, ღარიბ-ღატაკი, „ჭითა აბრამის“ სახლის წინ მზესუმზირას რომ ყიდდა და შორიდან შეჰყურებდა თავისი ფულით აგებულ შენობას, რომელშიც საქმიანობდნენ აღმასკომის თანამშრომლები - დათიკო გიგაშვილი, ილაკრია პუხა, მერე ივანე კეპელია, საშა წულეისკირი, ქსენია პატარაია და სხვები“. სამწუხაროდ, ეს ისტორიული შენობა 2003 წელს დაანგრიეს¹¹¹.

ბანძაში სავაჭრო ცხოვრების ისტორიის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პროფ. ბონდო კარტოზია, თავის მოგონებებში. მოგვყავს ამონარიდი: „მამაჩემის გარდაცვალების წლებს დაემთხვა ვაჭრობის გაუქმება საბჭოთა კავშირში. იგი თავიდანვე იყო განზრახული (1917 წ., 1921 წლებიდან), მაგრამ ქვეყანა, რუსეთი, უკრაინა და სხვა განაპირა რესპუბლიკები შიმშილობამ მოიცვა, ჩაკვდა აღებ-მიცემობა, ათასობით ადამიანი კვდებოდა შიმშილისაგან. ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ამოძრავება და ლენინი იძულებული გახდა, დაეშვა კერძო ვაჭრობის თავისუფლება. ამას ეწოდებოდა ნეპი („ნოვაია ეკონომიჩესკაია პოლიტიკა“). ქვეყანამ ცოტა სული მოითვა. ისე, რომ ბანძაში ებრაელებს და ჩვენს ხალხსაც, მიეცა უფლება, ჰქონდათ დუქნები, მოეტანათ საქონელი ქუთაისიდან, ხონიდან, თბილისიდან, რუსეთიდანაც და გაეჩაღებინათ აღებ-მიცემობა. ბანძის ცენტრში, ორივე მხარეზე ჩამწკრივებული იყო დუქნები. რა გინდოდა, რომ აქ არ ეშვენა ადამიანს. ვაჭრობა ყოველდღე იყო, ცხვებოდა პური, მუშაობდა სასადილოები, კვირა დღეს კი განსაკუთრებით ხალხმრავლობა იყო. ამას ხელს უწყობდა ბანძის მდებარეობა. იგი გარშემო არსებული სოფლების (ჯოლევი, აბედათი, ნოქალაქევი, ლევახანე, ველიდკარი, ზანათი, მუხურჩა, ორქა, ონო-

¹¹¹ იხ. ი. კეპელია, ბანძის ტოპონიმია, თბ., 2007, გგ. 38.

ლია, სამიქაო, მაიდანი, ნაგებერაო, ნაჯახაო, ლეხაინდრაო, ნაგვაზაო, სერგიეთი და სხვ.) ცენტრშია მოქცეული. ამ სოფლებში ბაზარი არცერთში არ არის. ვაჭრობის გაცხოველებას ხელს უწყობდა ებრაელების არსებობა ბანძაში. ბანძის ცენტრს ურიაკარს ეძახდნენ...

ნეპის პერიოდი მიმდინარეობდა 1921-1927 წლებში. ვაჭრობა სასტიკად აიკრძალა. იგი კოოპერაციის ხელში გადავიდა. ხალხს მაინც უჭირდა... ვაჭრებს ჩამოართვეს დუქნები, ჩემს ბიძებსაც - კოწიას და ვანოს. მათი დუქნები ჩვენს გვერდიგვერდ იყო. ჩვენ დაგვიტოვეს, რადგან დედაჩემი ქვრივი იყო. ვაჭრობა კი არ გაუგრძელებია დედაჩემს, უბრალოდ დუქანი-ნაგებობა არ ჩამოართვეს. მას ვაქირავებდით. იქ დიდხანს მუშაობდა ზეინკალი აპოლონ ფანცულაია. ჯერ მთავრობას ჰქონდა დაქირავებული. მახსოვს, ბარდღა დიხამინჯია იყო გამყიდველი. ბოლოს დუქანი ა. ფანცულაიას მივყიდეთ. ახლა იქ, იმ ადგილზე სასადილოს შენობაა. უკან საბოსტნე მიწაც გვქონდა. თავდაპირველად, ჯოლევიდან რომ გადმოსახლებულან ჩემი მშობლები, მარტო ჩემი უფროსი და ჰყოლიათ. დუქანი ორი თვალი ყოფილა: წინ - სავაჭროდ, უკან - საცხოვრებლად. მერე შეუძენიათ სამოსახლო. მიწა უყიდიათ ოქროს ფულით გაბუნიებისაგან იქ, სადაც ახლა დგას ჩემი სახლი...“

დუქანი ჩამოართვეს აგრეთვე ეფრემა ურიას, რომელიც იდგა ამჟამინდელი ფოსტის ადგილას. დუქანში კომუნისტებმა გახსნეს ჯერ პურის საცხობი, ხოლო შემდეგ - საწყობი, სადაც გამგედ მუშაობდა გრიგოლ (უფი) პატარაია.

გაზეთი „მენორა“, #8, გვ. 2; #9, გვ. 2, 8, 2020

მასალები ბანებლ ებრაელთა ისტორიისათვის

„სწავლა-განათლება საქართველოს ებრაელობას“ – ასეთი მოწოდებით 20-იანი წლებიდან წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ჯგუფების შექმნა იწყება. ამ კეთილშობილური საქმის მოთავე ახალგაზრდა გერცელ ბააზოვი იყო. თანდათან ებრაული შუასაუკუნეობრივი სიბნელე და ფანატიზმი ყოვლის-მომცველმა თანამედროვე ცხოვრების ნორმებმა და პროცესებმა შეცვალა. ქართველ ებრაელებს შორის მრავლად არიან ექიმები, ფარმაცევტები, მწერლები, მეცნიერები, იურისტები, განათლების მუშაკები და საზოგადო მოღვაწენი.



ბანძელი ებრაელი ფინხაზ სეფიაშვილი
მეუღლესთან და შვილთან ერთად, 1907 წ.



ბანძელი ებრაელი ქალები. 1944 წ.

1928 წელს საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების დადგენილების საფუძველზე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მუქარით აიკრძალა ეკლესიაში, მეჩეთში, სინაგოგაში ბავშვებისათვის რელიგიის სწავლება. მანამდე კი, 1923 წელს, საქართველოში დახურეს 1500 ეკლესია და რამდენიმე ათეული სინაგოგა (იმ ხანად საქართველოში სულ იყო 72 სინაგოგა). რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა გაიგივებული იყო სოციალიზმისათვის ბრძოლასთან. პერიოდულ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა სტატიები ებრაელთა რელიგიური დღესასწაულების რეაქციულ სულზე, რაბინთა ნაციონალისტურ-შოვინისტურ აგიტაციაზე. საწარმოთა ხელმძღვანელები აკონტროლებდნენ შაბათ დღეს, როგორც ებრაელთა უქმე დღეს. ანტირელიგიური აგიტაციის მი-

უხედავად ქართველი ებრაელობა კვლავ თავისი მამაპაპისეული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, სინაგოგის ერთგული რჩებოდა.

სინაგოგა ეხმარებოდა ეკონომიკურად შევიწროებულთ, როთაც კიდევ უფრო იზრდებოდა სალოცავის ავტორიტეტი ხალხში. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ 1928 წელს შექმნა დარიბ ებრაელთა კომიტეტი, რომლის ვალდებულებასაც შეადგენდა დარიბ ებრაელთათვის დახმარება ფულით, პროდუქტებით, უფასო სამედიცინო დახმარების გაწევა, მათთვის სამუშაოს მოქებნა და დასაქმება. ამით პარტია ცდილობდა, შეესუსტებინა სინაგოგის გავლენა ებრაელებზე. მაგრამ ასეთი მომხიბვლელი პირობაც ვერ აღმოჩნდა საკმარისი ებრაელთა სულიერი ცხოვრების შესავსებად. უდარიბესიც კი ერთგული რჩებოდა რწმენისა და თავგამოდებით ასრულებდა რელიგიურ რიტუალს. უფრო მეტიც, 1932 წელს ბანძელმა ებრაელებმა დაიბრუნეს სოფლის კლუბისათვის ჯერ კიდევ 1923 წელს გადაცემული სინაგოგები.

XX საუკუნის 30-იან წლებშიც ქართველ ებრაელთა რელიგიური ცხოვრება კვლავ გრძელდებოდა. ისინი, საბჭოთა პარტიული იდეოლოგიის არნახული ზეწოლის მიუხედავად, აშკარად თუ ფარულად, მაინც დადიოდნენ სინაგოგაში, რაზეც მიგვითითებს საარქივო მასალები და გადმოცემები. საბჭოთა ხელისუფლება კი, რომელიც გვერდს ვერ უვლიდა ამ რეალობას, ებრაელების სალოცავში სიარულს და მათს რელიგიურობას რიტუალების ბრმა შესრულებით ხსნიდა. ბანძაში დარიბ ებრაელთა დახმარების მიზნით ჩამოყალიბებულ ე.წ. დარიბკომს ხელმძღვანელობდა შელო აჯიაშვილი. „ამ კომიტეტს ჰქონდა ბანძაში საკონდიტრო, სასაუზმე და სხვ. შელო მგონი კომუნისტური პარტიის წევრი იყო. მას სინაგოგასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ზაფხულობით სკოლის შენობაში ეწყობოდა პიონერთა ბანაკები. ჩვენც დავდიოდით, - იგონებს ბ. კარტოზია, - იქ გვაჭმევდნენ და გვასმევდნენ, მთელი დღე ვერთობოდით, მუშაობდა ლიტერატურის წრე თუ სპორტული დონისძიებანი... მე მგონი, ამ ბანაკებსაც ეხმარებოდა მატერიალურად „დარიბკომი“. იქ ებრაელთა ბავშვებიც იყვნენ“.

გასული საუკუნის 30-იან წლებში ბანძას სტუმრად სწვევია

ცნობილი მწერალი გერცელ დავითის ძე ბააზოვი (1904-1938 წწ.). ბ. კარტოზიას მოგონებიდან ირკვევა, რომ ურიაკარის ცენტრში მდებარე სოფლის აღმასკომის შენობის (ელო აჯიაშვილის სახლის) აივნიდან მან სიტყვით მიმართა ბანძელ ებრაელებს და მოუწოდა, რომ წასულიყვნენ საცხოვრებლად კოლხიდაში, ჭალადიდისკენ, სადაც მათთვის გამზადებული იყო საცხოვრებელი სახლები. ამ შემთხვევაში ბააზოვი ასრულებდა მთავრობის დავალებას, რადგან მთავრობას განზრახული პქონდა ებრაელთა ვაჭრობისგან ჩამოშორება და საკოლმეურნეო სამუშაოებში ჩაბმა. ბევრი წავიდა საცხოვრებლად კოლხიდაში, მაგრამ მალე ჩუმად დაუბრუნდნენ ბანძას. ზოგიც სხვაგან, ქალაქებში გადაიხვდა.

ბანძის ებრაულ სასაფლაოზე არის როგორც ძველი ებრაული საფლავის ქვები (მაცევა), ასევე საბჭოთა პერიოდის საფლავებიც, რომლების გარჩევა ქართული საფლავებისგან ძალიან რთულია. ხშირად ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი საფლავის ქვებზე ებრაულად დატანებული წარწერებია. ებრაული სასაფლაო საინტერესოა იმითაც, რომ ის ერთგვარი დამატებითი ისტორიული წყაროა ბანძელ ებრაელთა ისტორიის შესწავლისთვის. ბანძის სინაგოგის დანგრევა საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლობას 30-იანი წლების დასაწყისში უცდია. როდესაც სოფელში ეს ამბავი გავრცელებულა, პროტესტის ნიშნად ებრაელი ქალები სინაგოგაში ჩვილ ბავშვებთან ერთად ჩაკეტილან და ირგვლივაც ალყა შემოურტყამთ. პროტესტი რამდენიმე დღე გაჭიანურებულა. ამის გამო საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ ბრძანება შეეცვალა. ასე გადაურჩა თურმე ბანძის სინაგოგები დანგრევას.

გაზეთი „მუნიციპა“, #13, 2020 წ.

„...არ მოვიფიქობდი, რომ შექსპირის დრამა,
ისიც ბანძაში, მას წარმოდგებოდა“



შექსპირის „გენეციული გაჭრის“ მონაწილენი, 1873 წ. ბანძა

სამეგრელოს მრავალრიცხოვან დასახლებულ პუნქტთა შორის ისტორიული წარსულით ბანძას ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს. სოფელი კულტურის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. ბანძა იმ დროისათვის მის გარშემო მდებარე რამდენიმე სოფლის ცენტრად ითვლებოდა. იგი იყო სამეგრელოს ცნობილ თავადთა - ფალავების საბატონოს რეზიდენცია, ფალავებისა, „რომელთა სასახლის კარი მუდამ წარმოადგენდა განათლებისა და კულტურის კერას“ (გ. ელიავა).

ამ სოფლისა და, საერთოდ, ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში, ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენად მიჩნეულია 1873 წლის აპრილში, საქართველოში, პირველად, სოფელ ბანძაში, უდიდესი ინგლისელი დრამატურგისა და პოეტის - უილიამ შექსპირის (1564-1616 წწ.) ტრაგედიის - „გენეციული გაჭრის“ წარმოდგენა სცენისმოყვარულთა მიერ.

„სამეგრელოს ამ მიმზიდველ, პატარა სოფელში ფეხად-გმულმა „ვენეციელმა ვაჭარმა“, ქართული სცენური შექსპირიანას პირველი ფურცელი გადაშალა... დღეს ქართველი შექსპირის-მცოდნენი კანონიერი სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ ამ ისტორიულ ფაქტს, რომელიც უთუოდ სპეციალურ შესწავლას იმსახურებს, რათა მომავალმა თაობამ სრული წარმოდგენა იქონიოს ჩვენი კულტურული წარსულის ამ საინტერესო მოვლენაზე“¹¹², - - წერდნენ ამ ორმოციოდე წლის წინ მწერალი როდიონ ქორქია და რეჟისორი მიხეილ გიუიმყრელი.

მე-19 საუკუნის ბანძის სამამასახლისოს ცენტრი, ტერიტორიულად, დღევანდელ სოფელ ვედიდკარში (ბანძის დიდი ველის კარი - „ველდიდკარი“) მდებარეობდა. 1875 წელს სწორედ აქ გაიხსნა საშინაო სკოლა. სკოლისა და სათემო ადმინისტრაციისთვის აუგიათ ორსართულიანი შენობა. პროფესორ ბორის ურიდიას თქმით, ამ შენობაში გაუმართავთ სცენისმოყვარულებს „ვენეციელი ვაჭრის“ წარმოდგენა. „უნდა ითქვას, რომ მოხდენილი ნაგებობა იყო სკოლის ორსართულიანი შენობაც. იგი რამდენიმე ცალკე შესასვლელის მქონე ოთახისაგან შედგებოდა, ხოლო პირველი და მეორე სართულის ორი დარბაზი ცალ-ცალკე 100 მ² მეტი ფართისა იყო, თავისი დიდი დერეფნებით. ეს შენობა, სამწუხაროდ, ჩვენი საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში დაინგრა თუ დაანგრიეს“¹¹³.

„ვენეციელი ვაჭრის“ თეატრალიზებული წარმოდგენის გამართვასთან დაკავშირებით, გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა ვინმე დ. თ.-ს წერილი, სათაურით - „შექსპირი ბანძაში“. წერილში გკითხულობთ: „...მე დავესწარ სოფელს ბანძას, სადაც ადგენდნენ შექსპირის დრამას „ვენეციელ ვაჭარსა“, თარგმნილს უფლის დ. ყიფიანისაგან¹¹⁴. ამ ამბავმა საშინლად გამაკვირვა და სწორედ გითხრათ, ბევრი ვიცინე. უძჭველია მკითხველსაც გაუკვირდება ეს ამბავი და მე ადრევე დარწმუნებული ვარ, რომ გუნებაში ისიც

¹¹² „შექსპირიანას პირველი ფურცელი“. გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, #74, 23 ივნისი, 1964 წ..

¹¹³ ბ. ურიდია, სერგი დანევლია, თბ., 1990, გვ. 12.

¹¹⁴ იგულისხმება დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი (1814-1887 წწ.) - ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და მთარგმნელი, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, „ქართული დრამატული საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი. მისი თარგმანები ხშირად იბჟვებოდა ქურნალ „ცისკარში“, სადაც 1857 წლიდან თანამშრომლობდა.

იცინის და ამბობს: მგონი ამის დამწერს საქმე გამოლევიაო; განა არ ვიცით, რომ შექსპირის დრამა ბანძაში საძაგლობა რამ იქნებოდა! მეც უგრე ვფიქრობდი, ვიდრე წარმოდგენას დავესწრებოდი, მაგრამ შემდეგ წარმოდგენისა სრულიად სხვა აზრით გამოვედი“-ო¹¹⁵.

წარმოდგენა ნაჩქარევად გამართულა, „რადგანაც... ბანძაში დიდი შეკრებილება იყო, ადგილობით დღესასწაულის¹¹⁶ გამო“.

ავტორის თქმით, ბასაიოსა და შევლოხის უპირველესი როლების შემსრულებლებს წარმოდგენისთვის მზადება ორი-სამი დღით ადრე დაუწყიათ. გენერალური რეპეტიციაც ერთხელ, ისიც სახლში გაუმართავთ. „ესენი ყოველივე რომ მივიღოთ სახეში, უნდა სიმართლითა სთქვას კაცმა, რომ სწორეთ არ მოვიფიქრებდი, რომ შექსპირის დრამა, ისიც ბანძაში, ესე წარმოდგეოდა“-ო.

დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაუმსახურებია ადვოკატის როლის შემსრულებელს - კნეინა ოლგა დადიანს. „პირველ გამოსვლაზედ, - წერს კორესპოდენტი, - ცოტათი შეკრთა, მაგრამ როდესაც კაცური ტანისამოსით გამოვიდა ადვოკატის როლში, უნდა გითხრათ, რომ სრულიად რაფაელის დიდებულს მხატვრობას ჰგავდა და ისე აღტაცებაში შევიდა ხალხი მის წარმოდგენისაგან, რომ სულ ხანგრძლივ „ბრავოს“ ყვიროდნენ და ოთხჯერ-ხუთჯერ გამოიძახეს სცენაზედ“.

ასეთია, მოკლედ, შექსპირის ქართულ სცენაზე პირველი წარმოდგენის ისტორია, რაც, თავისთავად ცხადია, თეატრალური ხელოვნების უმდიდრესი წიგნის შემადგენელი ნაწილია.

2003 წლის აპრილში შესრულდება „ვენეციელი ვაჭრის“ წარმოდგენის 130 წლისთავი. ბანძელები ემზადებიან ზეიმისთვის. საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, საჭიროდ მიგვაჩნია, შეიქმნას რაოონული საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს საიუბილეო საღამოს ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას.

გაზ. „ჯუონდიდის ზარი“, #3(7), ნოემბერი, 2002, გვ. 2.

¹¹⁵ იხ. გაზ. „დროება“, 27 აპრილი, 1873 წ.

¹¹⁶ იგულისხმება „სოფიობა-ჰენიერობა“, რომელიც ნაადგომევს, ახალი კვირის ორშაბათ დღეს ტარდებოდა.

დიდი აბაბი - ბანძის სტუმარი

1899 წლის 24 იანვარს სოფელ ბანძაში ჩამობრძანდა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი. იგი დაესწრო ცნობილი ქველმოქმედი მანდილოსნის - დარია მურზაყანის ასულ ფადავას დაკრძალვას, რომელიც 30 წლისა აღესრულა. აკაკის დიდი მეგობრობა აკაკშირებდა თვით გარდაცვლილთან და მის მეუღლესთან, ცნობილ ვექილსა და საზოგადო მოღვაწესთან - მელქისედექ (მექი) ფადავასთან.

ვინ იყო დარია ფადავა? რა დამსახურება მიუძღვის ერისა და ქვეყნის წინაშე ისეთი, რომ მის დაკრძალვაზე აკაკიც კი ჩამობრძანდა? იგი დაიბადა 1869 წელს სენაკის მაზრის სოფელ ზანაში. XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ პრესას თუ გადავხედავთ, დარია ფადავა ჩვენ თვალწინ წარმოჩნდება, როგორც ერის დიდი მოჭირნახულე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დარია ფადავა, გამოჩენილ იურისტთან და საზოგადო მოღვაწესთან - ლუარსაბ ლოლუასთან ერთად, იყო ერთ-ერთი ინიციატორი 1896 წელს ქუთაისში პირველი საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებისა. მის სახელს უკავშირდება აგრეთვე თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწისა და განმანათლებლის, დეკანოზ ანტონ კეკელიას მიერ დაარსებულ ორკლასიან საეკლესიო-სამასწავლებლო სკოლასთან, 1897 წელს ბიბლიოთეკის გახსნა. მართავდა საქველმოქმედო საღამოებს და ლატარიებს. შემოსული თანხით კი ეხმარებოდა დარიბ სტუდენტებს. დარია ფადავას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართული სცენის უბადლო



დარია ფადავა

ოსტატებთან - ლადო მესხიშვილტან, ვასო აბაშიძესთან, ნუცა ჩხეიძესთან. იყო შესანიშნავი ორატორი. მის მიერ 1896 წელს გა-ლათში, გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) კუბოსთან წარმოთქმუ-ლი გამოსათხოვარი სიტყვა ქართული მჭევრმეტყველების ისტო-რიაშია შესული.

„თამარის შემდეგ, ქრონოლოგიურად, დარია ფალავა, მგო-ნია, მეორე ქალია, რომელმაც, თავის მხრივ ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ერთადერთი, მაგრამ ნამდვილად ობოლი მარ-გალიტი დაგვიტოვა და ეს მით უფრო საკვირველია, რადგან თვითნასწავლ ქალს ეს სიტყვა რომ წარმოუთქვამს, 26 წლისა ყო-ფილა“, - წერს სიმონ სხირტლაძე¹¹⁷.

ტრაგიკული აღმოჩნდა დარია ფალავას სიცოცხლე - კონსერ-ვით მოწამდული, გულწასული გაიყვანეს ქუთაისის თეატრიდან, როცა წარმოდგენას უყურებდა.

„ყველა დააღონა ზნემაღალი, სამაგალითო ქართველი ქა-ლის უდროოდ გარდაცვალებამ. მისი დაკრძალვის დღეს ქუთაი-სის თეატრმა წარმოდგენა გადადო. ჩანს, საზოგადოება გლოვობ-და თავის მშვენებას“ (ხ. სხირტლაძე).

დარია ფალავა ქუთაისიდან ბანდაში ჩამოასვენეს და შაურკა-რის სასაფლაოზე დაკრძალეს. აკაკიმ თავის გამოსათხოვარ სიტყვაში აღნიშნა, რომ დარია ფალავა იყო „ქვეყნის ერთგულ-მოყვარული, ქმარ-შვილისათვის თავდადებული, დარბაისლურად ზრდილი და საუბრის დროს ტკბილ-მოქართულე“, მოღვაწე, რო-მელიც „იყო ერთი უკანასკნელი ნაშთთაგანი იმ ძველებურ ქარ-თველ ქალებისა, რომელნიც დროს და ვითარებას დღეს ჩვენთვის საოცნებოდ გაუხდია“.

ეს გამოსათხოვარი სიტყვა, ნიშნად დიდი პატივისცემისა, ილია ჩიქოვანის წერილთან ერთად, მგოსანმა თავის „კრებულში“ დაბეჭდა¹¹⁸.

გაზ. „მახარია“, #2 (29), 2003, გვ. 3.

¹¹⁷ იხ. ხ. სხირტლაძე, მჭევრმეტყველი ქართველი ქალი. წგნ. „გადანახული საგანძურიდან“, თბ., 1965, გვ. 49.

¹¹⁸ 1899 წ., გვ. 3, გვ. 1.

სოფელ ბანძაში სარგინიზმო ხაზის მშენებლობის მცდელობის ისტორიიდან

რუსეთის საიმპერატორო კარს გააზრებული პქონდა, რომ ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში სარკინიგზო მშენებლობით მოხდებოდა ამ მხარის გარდაქმნა ყველა მიმართულებით. იგი განსაკუთრებით მომგებიანი იქნებოდა ეკონომიკურ ურთიერთობათა, კერძოდ, კომერციული თვალსაზრისით, თვით რუსეთისთვისაც, საიდანაც შემოდიოდა საქონელი. საქართველო იმპერიისთვის წარმოადგენდა საქონლის გასაღების ბაზარს და ნედლეულის წყაროს. ამასთანავე, იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, შავი ზღვისაკენ მიმავალ გზას, რუსეთისთვის, ეკონომიკურთან ერთად, განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან თურქეთის პირველი შემოტევა სწორედ ამ მხრიდან იყო მოსალოდნელი. ცნობილი საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი აღნიშნავდა, რომ „ყოველი გზის მნიშვნელობა და განსაკუთრებით რკინიგზისა, იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთზე დაშორებულ მცხოვრებლებს გაუადვილოს მისვლა-მოსვლა, აღებ-მიცემა, განაღვიძოს ვაჭრობა და ერთი სიტყვით შეუმსუბუქოს მათ ყოველგვარი კავშირი“¹¹⁹.

ცნობილია, რომ ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის პირველი უბანი ფოთიდან ყვირილამდე 1871 წლის 14 აგვისტოს გაიხსნა¹²⁰. ის იყო მთავარი სამიმოსვლო-სავაჭრო გზა საქართველოში, რამაც ბიძგი მისცა საგუბერნიო ქალაქებსა და მხარეებს შორის ახალი სამიმოსვლო გზების გაყვანას, ხიდების მშენებლობას, ახალი სამრეწველო-სავაჭრო პუნქტებისა და ქალაქების (სამტრედია, აბაშა, ახალსენაკი, ზესტაფონი...) წარმოქმნას და მათ ირგვლივ მოსახლეობის თანდათან დაჯგუფებას¹²¹. ახლად-წარმოქმნილ პუნქტებში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ ხელი შეუწყო ადგილობრივი და შემოტანილი პროდუქციის მე-

¹¹⁹ გაზ. „დროება“, N40, 1872.

¹²⁰ საქ. ცხია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 85.

¹²¹ საქ. ცხია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 92.

ტად გავრცელებას¹²².

ფოთი-თბილისის რეინიგზის ხაზის გაყვანა, ახალი ქალაქებისა და დაბების წარმოქმნასთან ერთად, ძველ და უკვე არსებულ ქალაქებზეც ახდენდა გავლენას. მ. ნიკოლეიშვილის შეფასებით, „იწყება ამ ქალაქების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები. ისინი იწყებენ გარდაქმნას ბურჟუაზიულ ქალაქებად, მაგრამ ეს პროცესი არ ყოფილა ერთგვაროვანი ყველა ქალაქისათვის. ზოგიერთი ქალაქი, რომლებიც ხსენებული რეინიგზის ხაზის გარეთ დარჩა, დაქვეითებას იწყებს და თანდათან ჰქონდიან ასპარეზიდან. ისინი ადგილს უთმობენ ახლად წარმოქმნილ ქალაქებს, მაგრამ ამ პროცესსაც არ ჩაუვლია უმტკივნეულოდ. იწყება მათ შორის მეტოქეობა-დაპირისპირება“¹²³.

სენაკის მაზრის სოფელ ბანდაში სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ისტორია XIX ს-ის რეფორმისშემდგომ პერიოდს უკავშირდება. ეს საკითხი დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიის ჭრილში საფუძვლიანად აქვს შესწავლილი მიხეილ ნიკოლეიშვილს, თავის სადოქტორო დისერტაციაში (1994 წ.), რასაც ეფუძნება არსებითად ჩვენი ნაშრომი.

ბანდა, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ცენტრი, ამიერკავკასიის რეინიგზის მთავარი მაგისტრალის გარეშე დარჩა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მის შემდგომ გარდაქმნასა და ზრდა-განვითარებაზე. დაქვეითდა სოფლის სამეურნეო ცხოვრება, რამაც ღრმა დაღი დაასვა მის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას. როგორც ირკვევა, სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ცნობილ მწიგნობარსა და უანგარო ეროვნულ მოდვაწეს – ზაქარია ჭიჭინაძეს (1854-1931 წწ.), რომელიც 1904 წელს გამოცემულ წიგნში („ქართველი ებრაელები საქართველოში“) აღნიშნავდა: „ბანდაში ებრაელი არიან ნიჭით ისეთნივე, როგორც თვით ბანდელი ქრისტიანები. როცა ბანდას

¹²² საქ. ცხია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 105-106.

¹²³ მ. ნიკოლეიშვილი, დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან (XIX ს. რეფორმისშემდგომი პერიოდი), ქუთ., 1994, გვ. 39-40.

რკინისგზა ასცდა, მას შემდეგ ბანძის საქმეც ცუდათ წავიდა, იგი დავარდა თითქმის და დაკლება იწყო[“]¹²⁴.

ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის ბანძაში გაყვანას დიდი ხნის ისტორია აქვს და იგი უკავშირდება საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს ქალაქ ქუთაისში სარკინიგზო მშენებლობის დაწყებაზე საკითხის დასმას და მის განხორციელებაზე ზრუნვას. დიდი მცდელობის მიუხედავად, აღნიშნავს მ. ნიკოლეიშვილი, დასაგლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი ქუთაისი მაინც დარჩა რკინიგზის მთავარი მაგისტრალის გარეშე, თუმცა ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, რასაც, ალბათ, ის გარემოება განაპირობებდა, რომ პირვანდელი პროექტი ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის სწორედ ქუთაისში გაყვანას ითვალისწინებდა¹²⁵. სხვადასხვა მიზეზების გამო ამ პროექტის შეცვლით ქუთაისს ასცდა რკინიგზის მთავარი ხაზი, რაც ქალაქს ეკონომიკური ცხოვრების დაქვეითებას უქადაგა. ცნობილ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს - ნიკო ნიკოლაძეს კარგად ჰქონდა გააზრებული ის სავალალო შედეგი, რაც უნდა მოჰყოლოდა რკინიგზის გარეშე საქართველოს მეორე ქალაქის დატოვებას. 1869 წელს „პეტერბურგის უწყებებში“ იგი აქვეყნებს სპეციალურ წერილს და მოითხოვს, რომ სარკინიგზო მაგისტრალს გაევლო მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში: ფოთიდან ძველი სენაკის, ბანძის, ხონის, ქუთაისის, გოდოგან-სიმონეთის გავლით – ყვირილამდე¹²⁶. ნიკო ნიკოლაძის აღნიშნული წერილი არის პირველი, ჩვენთვის ცნობილ პუბლიკაციებს შორის, სადაც საუბარია რკინიგზის ხაზის სოფელ ბანძაში გაყვანის აუცილებლობაზე; თუმცა ეს მოთხოვნა მაშინ არ დაკმაყოფილდა. ნაკლებად დასახლებულ და სუსტი ეკონომიკური პოტენციალის მქონე დასახლებულ პუნქტებში რკინიგზის ხაზის გაყვანამ უარყოფითად იმოქმედა სწორედ ძველ სენაკზე, ბანძაზე, ხონსა და ქუთაისზე.

1873 წელს ნიკო ნიკოლაძე წერდა: „ქალაქ ქუთაისის მოსახლეობა ყოველდღიურად სულ უფრო ხმამაღლა აცხადებს საჩი-

¹²⁴ იხ. ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში (მეორე გამოცემა), გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო ვახტანგ ჩიქოვანმა, თბ., 1990, გვ. 66.

¹²⁵ გ. ნიკოლეიშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 41.

¹²⁶ ნიკოლაძის არქივი, საბ. 31/17-24; გაზ. „იმერეთი“, N150, 1911; მსჯელობისათვის იხ. მ. ნიკოლეიშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 42-43.

ვარს ვაჭრობისა და ამ ქალაქის ეკონომიური მნიშვნელობის არაჩვეულებრივი დაქვეითების გამო. რკინიგზის გახსნით, რომელმაც ქალაქს 7,5 ვერსით აუხვიდა გვერდი, ქუთაისმა თანდათან დაიწყო დაცარიელება, დაქვეითება და უმთავრესად სავაჭრო და სამრეწველო ქალაქი დაეშვა მესამე ხარისხოვან ადმინისტრაციული ცენტრის დონემდე. სახლები სანახევროდ დაცარიელდა, - ძველმა ფასებმა ორჯერ და სამჯერ დაიწია. მაღაზიები უიმედოდ ელოდებოდა ნისიად მყიდველებს და მთელი ქალაქის ცხოვრება ტრიალებს სასამართლო და საპოლიციო სამმართველოების ან მრავალრიცხოვანი აუქციონერების ირგვლივ...¹²⁷. ქუთაისის ეკონომიკური მნიშვნელობის დაქვეითების ნიკოლაძის უშლი დახასიათება შეიძლება განზოგადდეს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი მაგისტრალის გარეშე დარჩენილ სავაჭრო ცენტრებზეც. ფოთი-თბილისის ხაზის საგუბერნიო ქალაქიდან 8 კმ-ის დაშორებით გაყვანამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ქუთაისს. როდესაც აბაშამ და ახალსენაკმა დაიწყო აღორძინება, ეს პუნქტები ბანბის სერიოზული კონკურენტები შეიქნა. ძველი სენაკის ნაცვლად ახალსენაკი დაწინაურდა, ძველ აბაშას აბაშა ჩაენაცვლა, ორპირს – სამტრედია, რედუტ-კალეს (ყულევს) - ფოთი და ა. შ.

რეფორმის შემდგომი პერიოდის დასავლეთ საქართველოში ცალკეულ დასახლებულ პუნქტებს შორის დაწყებული მეტოქების, ახლად არმოქმნილ და „ძველ“ ქალაქებს შორის შექმნილი დამოკიდებულების საერთო სურათი ნათლად არის ნაჩვენები 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში, სადაც გკითხულობთ: „დაუწყნარებელი ბრძოლა დაიწყო მასაქეთ, რაც ფოთი-თბილისის რკინიგზა გაიყვანეს... ამ გზაზე რკინიგზის მმართველობამ განზრახ შეცდომით, თუ სხვა მიზეზით გვერდი აუქცია რიონის ხეობაზე გამწკრივებულ დაბა-ქალაქებს: რვა ვერსზე მიატოვა ქუთაისი, ოთხ ამდენ მანძილზე ხონი, სამს ვერსზე სუჯუნა და აგრეთვე ძველი სენაკი. გზის ასეთმა მიმართულებამ კინაღამ სული ამოართვა ქუთაისს. ხონს მოაკლო ის, რასაც შეძენდა, შიგ რომ გაევლო რკინიგზას. დაეცა ძველი სენაკი და ორპირი, რის შედეგად გაიზარდა სამტრედია, აბაშა, ახალი სენაკი,

¹²⁷ ნ. ნიკოლაძე, ოსტულებანი, ტ. I, გვ. 559.

ფოთი“¹²⁸.

წერილის ავტორი გულისტკივილით დასძენს, რომ ამ ქალაქებს, რომელთა კეთილდღეობაც დამოკიდებული იყო ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველობაზე, მოაკლდათ ის, რაც ახლებს მიემატათ, რადგან გზას მგზავრი უნდა მოჰყოლოდა, მგზავრს ვაჭრობა, ვაჭრობას ხალხი, მერე სკოლა, სასამართლოები, აფთიაქები და ამ დაწესებულებათა მოსამსახურენი. ძელი სენაკის, მარტვილისა და სუჯუნის მესვეურები მაინც იმედოვნებდნენ წარსული დიდების დაბრუნებას¹²⁹. რკინიგზის მაგისტრალის ქუთაისიდან პირდაპირ ხონში და აქედან ძველ სენაკში გავლით ხონი ერთიორად გაიზრდებოდა, რომელსაც ლეჩხუმისა და ცხენისწყლისპირას მდებარე იმერეთ-სამეგრელოს მოსახლეობა მოაწყდებოდა. ვინ მოთვლის, რამდენი მლოცველი და მნახველი მოუვიდოდა მარტვილს, აუარებელ მგზავრს მიიღებდა ნაქალაქევის მადნეული წყლები, რომელიც ქვემო იმერეთის ესენდუკი გახდებოდა. სენაკის მაზრის სიმინდი სულ ძველ სენაკს მოაწყდებოდა, მაგრამ რადგან ეს ასე არ მოხდა, ხსენებული დაბა-ქალაქები ერთიმეორეს გადაემტერა¹³⁰.

ამიერკავკასიის რკინიგზის ახალი მიმართულებით გაყვანის საკითხი დღის წესრიგში მოგვიანებითაც დადგა. კერძოდ, 1911 წლის 19 თებერვალს ქუთაისის ქალაქისთავი ი. ჩიქოვანი გზათა მინისტრისადმი გაგზავნილ დეპეშაში ითხოვდა შავი ზღვის რკინიგზის ზუგდიდიდან ქუთაისის მიმართულებით გაყვანას. მოხსენებით ბარათში დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული ქუთაისის თვითმმართველობის აზრი შავი ზღვის რკინიგზის მეორე მიმართულების შესახებ. აგვისტოს მეორე ნახევარში ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით ქალაქის თავმა მეფისნაცვლის მოადგილეს, სენატორ ვაცეტს გადასცა ვრცელი მოხსენებითი ბარათი, შავი ზღვის რკინიგზის მეორე მიმართულების პროექტის ესკიზთან ერთად. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა შავი ზღვის რკინიგზის ახალი მიმართულების გაყვანას სადგურ რიონიდან, რიონის ხიდისა და მდინარის მარჯვენა ნაპირის გავლით, 7 ვერსის შემდეგ

¹²⁸ გაზ. „ივერია“, N159, 1888.

¹²⁹ იქვე.

¹³⁰ გაზ. „ივერია“, მსჯელობისათვის იხ. გ. ნიკოლეთ შვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 120-121.

გზა შედიოდა ქუთაისში, ხოლო აქედან გზა მიემართებოდა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. მე-11 ვერსზე გზა კვეთდა მდ. წყალტუბოს, გაივლიდა სოფ. წყალტუბოში, შემდეგ გზა კვეთდა მდინარეებს - გუბისწყალს და ზემო კუხს. გაივლიდა სოფლებს - კუხს, ივანდიდს, ქარჩხაბს, ხონს, საწულუკიძეოს, ნახახულევს, მათხოჯს და კონტუათს. 31-ე ვერსზე გზას უნდა გადაეკვეთა მდ. ცხენისწყალი, შემდეგ მდ. ხოდელა, გაევლო სოფლები - ლეციცხევაიე, ნაგვაზაო, მარტვილი, ლეხეაინდრაო, ხოჯიხევი, ურიაკარი (ასე ერქვა ბანბის ცენტრალურ უბანს, სადაც ებრაელები სახლობდნენ - ი. კ.) და სხვ. მე-40 ვერსზე გზა გადიოდა მთაგორიან ადგილებზე¹³¹.

ქუთაისის ქალაქის თავის მოხსენებითი ბარათის პასუხად გზათა მინისტრი იტყობინებოდა, რომ ი. ჩიქოვანის შუამდგომლობა ვერ დაკმაყოფილდებოდა რამდენიმე გარემოების გამო. ერთ-ერთ მიზეზად დასახელებული იყო ის, რომ შავი ზღვის რკინიგზის ქუთაისზე გაყვანით განსახორციელებელი ფართო მასშტაბის სამუშაოები დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, გზათა სამინისტროს კი ამ მიზნით თანხების გამოყოფა ეძნელებოდა. ამასთანავე, მართალია, ახალი მიმართულებით რკინიგზის სიგრძე 19 ვერსით მცირდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ 46 ვერსით მატულობდა ახლადგასაყვანი გზის სიგრძე. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ ამ გზას მთაგორიან ადგილებზე უნდა გაევლო, რაც გვირაბების გათხრას საჭიროებდა¹³².

საკითხის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა ჩემ მიერ ჩაწერილი გადმოცემაც: ბანბაში რკინიგზის მაგისტრალის გაყვანის პროექტს სოფლის საზოგადოების არისტოკრატიულმა ნაწილმა - თავადმა ფალავებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს, რადგან რკინიგზის ხაზს მათ მამულებზე უნდა გაევლო. ცხადია, ფალავების ასეთი პოზიცია ხელს უშლიდა დასახელებული პროექტის განხორციელებას. ფალავები ფიქრობდნენ, რომ რკინიგზის ხაზის გაყვანით ისინი მიწის გარკვეულ ნაწილს დაკარგავდნენ. ამასთანავე, მათი აზრით, რკინიგზა ხელს შეუწყობდა ბანბასა და მომიჯ-

¹³¹ ქუთაისის ისტორიული არქივი, ფ. 108, ს. 4025, ფურც. 5-7; გაზ. „კოლხიდა“, 27 აგვისტო, N122, 1911; მსჯელობისათვის იხ. მ. ნიკოლეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 70.

¹³² მ. ნიკოლეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 72.

ნავე სოფლებში საქონლის ქურდების მომრავლებას, რომლის ნაკლებობასაც სოფელი არც მანამდე უჩიოდა¹³³.

ასე ჩავარდა შავი ზღვის რკინიგზის მეორე მიმართულების გაყვანის პროექტი XX ს-ის ათიან წლებში. პროექტის განხორციელებას არც შემდგომ ეწერა ბედი, რადგან სულ მალე, 1914 წელს იფეთქა მსოფლიო ომმა, ქვეყანა ომის ქარცეცხლში გაეხვია და რკინიგზის ხაზის გაყვანაზე ფიქრისთვის არავის ეცალა.

ურნ. „დისკუსია“, №4-5, 2020: გვ.13-16 (ელ. გერსია).

¹³³მთხოვბელი ხუტა დავითის ძე პოგაია, ჩემი მასალებიდან, საველე დდიური N2. გადმოცემა ჩაწერილია სოფ. ბანდაში.

ქალთა 1916 წლის დემონსტრაცია ბანძაში

I მსოფლიო ომმა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა სამეურნეო თვალსაზრისითაც გაამწვავა, რაც მუშათა კლასის ყველაზე ჩამორჩენილი ფენების უკმაყოფილებას იწვევდა. გაფიცვებს ადგილი ჰქონდა 1916 წელს საქართველოს ცალკეულ ქალაქებსა და სოფლებში, რასაც მოჰყვა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში სამუშაოების გაჩერება. ს. ჩხარტიშვილის თქმით, „სასურსათო პროდუქტების მწვავე ნაკლებობის ნიადაგზე 1916 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ მდელვარებებს. მრეწველობის დაცემის, სოფლის მეურნეობის გაჩანაგების, ტრანსპორტის მოშლის გამო შემცირდა ქალაქებისა და მუშათა დაბების სურსათით მომარაგება, ხოლო ზოგჯერ სრულებით შეწყდა, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი სოფლის მომარაგება პირველი მოთხოვნილების სამრეწველო საქონლით. კატასტროფულად დაეცა მანეთის ღირებულება. ქვეყანაში გაძლიერდა სპეცულაცია. ფასები ზღაპრულად გაიზარდა. ბევრი პირველი მოთხოვნილების საგანი სრულიად გაქრა ბაზრიდან. დაირღვა ყოველგვარი შეფარდება ხელფასსა და პროდუქტის ფასებს შორის“¹³⁴.

მუშახელის არმიაში მასობრივად გაწვევის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ნათესების ფართობი. ადგილი ჰქონდა შიმშილით სიკვდილის შემთხვევებსაც. ფქვილის უქონლობის გამო რამდენიმე დღის განმავლობაში არ ცხვებოდა პური. როგორც აღვნიშნეთ, მშრომელი მასების გაჭირვებამ ივნისის ბოლო რიცხვებში უკიდურესობამდე მიაღწია. პირველი მოთხოვნილების საგნების ნაკლებობისა და სიძვირის ნიადაგზე საყოველთაო სახალხო მდელვარებას და გამოსვლებს ადგილი ჰქონდა სენაკის მაზრის სოფლებში - სენაკში, სუჯუნაში, სალხინოში, თამაკონში, ბარდასა და ჟინოთაში.

ცნობილია, რომ ამ წელს მოხდა აგრეთვე ბანძელ ქალთა მდელვარება და ქუჩებში გამოსვლა. ჩემს არქივში ინახება იმ ადამიანთა მოგონებები, რომელთაც ახსოვთ მათი მშობლების მონა-

¹³⁴ ს. ჩხარტიშვილი, რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1914-1917 წ. მარტი), ობ., 1957, გვ. 123.

ყოლი ბანძაში მაშინ განვითარებული მოვლენების შესახებ. „სოფლის ცენტრში - ურიაკარში შეკრებილმა ქალებმა დაიწყეს ბანძელ ებრაელთა და მეგრელთა სავაჭრო-სასურსათო დუქნების დარბევა. ამტვრევდნენ კარებს, სარკმლებს, დუქნებში შეჭრილებს გამოჰქონდათ ფართლეული და სურსათ-სანოვაგე. ასეთი საქციული გამოწვეული იყო მაშინ გამეფებული სიდუხჭირით“, - ვკითხულობთ მოგონებაში, რომელიც 1996 წელს ჩამიწერია ქიონია (უგნია) ივანეს ასულ სიგუა-კეკელიასაგან (დაბადებული 1918 წელს, მცხოვრები სოფ. ბანძაში). „ჯოხებით, ხელკეტებით შეიარაღებული ქალები საცხობებიდან იტაცებდნენ ფქვილს და გამომცხვარ პურს“, - გვიამბო მხცოვანმა პედაგოგმა ნოდარ პატარაიამ, ბაბუამისისგან - ნიკო ქაქაბისაგან (პატარაია) გაგონილი.

წინა დღეს - 15 ივლისს, მეზობელ სოფელ ნოქალაქევში თავი მოიყარა ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსულმა 500-ზე მეტმა კაცმა. პოლიციასა და მდელვარებაში მონაწილეთა შორის ატეხილი სროლის შედეგად დაიჭრა და დაიღუპა 11 ადამიანი. პოლიციური რეპრესიული ღონისძიებებით შეუძლებელი აღმოჩნდა უკიდურესობამდე მიყვანილი ხალხის მასების გამოსვლების ჩახშობა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ მოსახლეობის სტიქიური გამოსვლების მიზეზი მარტოოდენ პირველი მოთხოვნილების საგნების სიძვირე და შიმშილი არ ყოფილა. „ამ სტიქიურ გამოსვლებში აქა-იქ გამოირჩეოდა ორგანიზებული გამოსვლების ცდებიც ომის, როგორც გაჭირვების მთავარი მიზეზის, დაუყოვნებლივი შეწყვეტის მოთხოვნით“¹³⁵.

ქალთა 1916 წლის დემონსტრაცია ბანძის ისტორიის უცნობი, თუმცა მნიშვნელოვანი და საინტერესო ფურცელია.

გაზეთი „მარტვილი“, #12, 24 ნოემბერი, 2020, გვ. 12.

¹³⁵ს. ჩხარტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

რა მოხდა 1924 წელს სოფელ ბანძაში?! (აგვისტოს აჯანყებიდან 90-ე წლისთავის გამო)

„აბაშის პირას ცოტნეს გულის კაცები დახვრიტეს.
დახვრიტეს თამამად, გაბედულად, უსინდისოდ...“
გარღამ ქველია

1924 წლის აგვისტოს აჯანყებამ განსაკუთრებული ძალით იფეთქა დასავლეთ საქართველოს რაიონებში. ამ მხრივ სენაკის მაზრაც გამოირჩეოდა. აქ შეიქმნა რამდენიმე ცხელი წერტილი. ერთ-ერთი მათგანი იყო სოფელი ბანძა (დღევანდელი მარტვილის რაიონი).

მიუხედავად იმისა, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან 90 წელია გასული და მისი უშუალო მომსწრე სოფელში თითქმის არავინ არის, მოსახლეობის ხსოვნაში დარჩენილია და დღესაც ცოცხლობს გადმოცემა აჯანყებულთა ვინაობისა და თავად აჯანყების მიმდინარეობის შესახებ.

წინამდებარე სტატია აგვისტოს აჯანყების საკითხებზე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ხარვეზის შევსების მოკრძალებულ ცდას წარმოადგენს. მასში შესწავლილი და გადმოცემულია სენაკის მაზრის სოფელ ბანძისა და მისი მეზობელი სოფლების მკვიდრთა დახვრეტისა და წამების ის საშინელი ფაქტები, რასაც ადგილი ჰქონდა 1924 წლის აგვისტოს მიწურულს.

ბანძის აჯანყებაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, საზოგადოების ყველა სოციალური ფენა მონაწილეობდა, კერძოდ: თავად-აზნაურობა, სამღვდელოება, ვაჭართა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია. „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აგვისტოს აჯანყება ვინმემ გადაწყვიტა, ან მისი თავიდგან აცილება ვინმეს შეეძლო და არ ინდომა... ჭეშმარიტად რომ აჯანყება თავისით მიდიოდა, ის მიდიოდა ხალხში გამეფებულის სულისკვეთებისაგან, როგორც ორთქლი წყლიდგან, წვიმა-ღრუბლიდგან, ალიცეცხლიდგან“-წერდა აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

შალვა ამირეჯიბი¹³⁶.

აჯანყება დაიწყო 28 აგვისტოს, მარიამობა დამესამდროს ბანდის კლუბში მიმდინარეობდა წარმოდგენა. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ატყდა სროლა. მეორე დღეს, თითქმის ყველა ოჯახში, საგუშაგოზე შეიარაღებული მენშევიკები იდგნენ. მათ საბჭოთა ხელისუფლება დამხობილად გამოაცხადეს და მთელი ძალაუფლება დროებით მთავრობას გადასცეს. მენშევიკებმა სცადეს ლ. კიკალიშვილის დაპატიმრება, მაგრამ ვერ მოახერხეს. იგი რემა ქაქუჩაიასთან ერთად გაიქცა. პატიმრობაში აიყვანეს **იულონ პატარაია, იაკობ იზრელაშვილი** და სხვები.

აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ სახალხო გვარდიის ოფიცერი, წმინდა გიორგის ჯვრის ოთხგზის კავალერი, I მსოფლიო ომისა და კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლების მონაწილე **დავით გორგის ძე კოკაია** (1890-1937), ძმები ვიქტორ და მიხეილ კონსტანტინეს ძე კეკელიები.

სოფლის ცენტრში, ბანძელი დიდვაჭრის - ელო აჯიაშვილისთვის ბოლშევიკების მიერ ჩამორთმეულ და მათ შტაბად ქცეულ, აგურის ორსართულიანი სახლის თავზე, 29 აგვისტოს, გამოჰიისას, დამოუკიდებლობის დროშა ფრიალებდა, დროშა, რაც მთელს მაზრაში ცნობილი პედაგოგის - მიხეილ ანტონის ძე კეკელიას სახლში, თავისუფლებისათვის გულანთებული ქალიშვილების - ციცუ კეკელიასა და ელისაბედ ჩიხლაძის მიერ წინა დამით იყო შეკერილი.

მაგრამ აჯანყება მალე ჩაახშო ცენტრიდან ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის ხელმძღვანელობით ჩამოყვანილმა და ადგილობრივმა შეიარაღებულმა ძალებმა. კომუნისტებმა ამჯერადაც ნაცად ხერხს მიმართეს - დაიწყო საშინელი ტერორი, აჯანყებულთა დაპატიმრება, დახვრება და გადასახლება. დაპატიმრებულები ებრაელთა სინაგოგაში გამოამწყვდიეს.

ბანდის აჯანყებაში მონაწილეობდნენ: **გუგუ სოლომონის ძე ხაინდრავა, ლავრენტი კოსტას ძე გვილავა, თომა ტაიას ძე გაბუნია, იულიანე გვადას ძე ბახია, ძუგუ ერასტოს ძე გაბუნია, ხარიტონ რემას ძე ხაინდრავა, ძუგუ ივანეს ძე გაბუნია, სევერიანე პეტ-**


¹³⁶ ციტირება იხ. გ. შალაშბერიძე, 1924 წლის აჯანყება. ქურნ. „არტანუჯი“, #2-3, 1994, გვ. 9.

რეს ძე კვანტალიანი, კოლია დომენტის ძე ხაინდრავა, სარდიონ გეგეჭკორი, იონა დავითის ძე ხაინდრავა, ლევათი ჯიშკარიანი (ლეხეაინდრავო-ონოლიის თემში), გიორგი ხაფავა, ბათლომე ლუკას ძე ჭოჭუა, ძორგო ლევარსას ძე გაბუნია, დათიკო გიორგის ძე კოკაია, მიხეილ კოსტას ძე კეკელია, ანდრო სესის ძე კეკელია, ტარასი ანტონის ძე უჯიბია, გიორგი ალექსანდრეს ძე ფალავა, ბაგრატი კოსტას ძე კეკელია, პლატონ მიხეილის ძე გაბუნია, ექვთიმე ისიდორეს ძე ფანცულაია (45 წლის, გლეხი, ბანძა), ვარლამ ექვთიმეს ძე ფანცულაია, ერასტი მაქსიმეს ძე კეკელია, ვარლამ მაქსიმეს ძე ფალავა, მეტია პეტრეს ძე ფალავა (30 წლის, ყოფილი აზნაური, დარიბი, დაუოჯახებელი, ბანძა), გაიოზ ტარიელის ძე ფალავა, სევერიანე ნიკოლოზის ძე კეკელია, კონსტანტინე მიხეილის ძე კეკელია, დავით მიხეილის ძე კეკელია, ევგენი ივანეს ძე ფოჩეუა, არსენ ვარლამის ძე ყურუა, სამსონ გიორგის ძე პატარაია, ვასილ ივანეს ძე პატარაია, მაჭუ დავითის ძე ქაჯაია, ანდრია გიატის ძე სართანია, ხუტუ ევგენის ძე გოგინავა, ბუხუ კოსტას ძე გაბუნია, დავით იასონის ძე ფალავა, სევერიანე ბასილის ძე ესვანჯია (ესენი ბანძის თემიდან), პარმენ დიმიტრის ძე შელეგია, აკაკი ბახვას ძე შელეგია, ჭიჭიკო ერმინეს ძე ანჯაფარიძე, ილია იოსების ძე ანჯაფარიძე (40 წლის, აბედათი), ილია სტეფანეს ძე ლომია (46 წლის, გლეხი, აბედათი), ალექსანდრე უთუს ძე მიქავა, ჯონდი უთუს ძე მიქავა, პარმენ კოსტას ძე ჩიქოვანი, ანდრო ნესტორის ძე ყურუა, პეტრე ფაჩუაშვილი (ჯოლო-აბედათის თემიდან)¹³⁷. აჯანყებულთა შორის იყვნენ აგრეთვე მამა ერმინე ანჯაფარიძე, ძმები ბარდღა და ძიკი მაისაიები, ჭიკვიტი შელეგია, ნინა გაბუნია, ძუკუ ხაფავა, გაიოზ ფალავა, ალექსანდრე ჩაბრავა, შალვა გაბუნია და სხვები.

აჯანყებულთა ერთმა ნაწილმა შეძლო ტყვეობიდან თავის დაღწევა. აი, რას წერდა ამის შესახებ გურამ გაბუნია: „...ბანძის ებრაელთა სინაგოგაში დამწყვდეული, საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი პატრიოტების დაცვის ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა ამბაკო შეროზიას¹. მან მცველები დაათრო უგონოდ (თავად განთქმული თამადა იყო და მოხუცებულობის

¹³⁷ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 42, ფურცელი 40.

დროსაც მთვრალი არავის უნახავს), ნაშუალამევს გააღო სინაგოგის შენობის კარები და მიმართა პატიმრებს - თავს უშველეთ, გაიქციოთ. მას არ დაუჯერეს -ალბათ იფიქრეს, რომ გვატყუებს, გაქცევას დაგვაძრალებს და დაგვხვრეტენო. მან რამდენჯერმე მიმართა მათ: თქვენი კაცი ვარ, ჩემს თავზე ვიღებ ყველაფერს, თავს უშველეთო. ამაყმა გიორგი გაბუნიამ გაქცევა არ იკადრა (ალბათ ფიქრობდა ცხონებული, რა დანაშაული მაქვს ისეთი, რომ გავიჭცეო). სინაგოგიდან მხოლოდ ძორგო გაბუნია, აქვსენტი გაბუნია, ალექსანდრე ჩაბრავა და შალვა სოსრანის ძე გაბუნია გამოვიდნენ დიდი ხვეწის შემდეგ. ამბაკომ მათ წინადადება მისცა, თავი შევფარებინათ მიხა ზედანიას ტყეში... მიხა ზედანიას სიძე გვეგვე და მისი მამა - გიორგი გაბუნია დარჩნენ სინაგოგაში პატიმრებად... ამის გამო მიხა ზედანიას კარ-მიდამოს და შემოგარენს არავინ შეამოწმებდა. გაქცეულებიც ასე მოიქცნენ. მიხა ზედანიას ეს როგორ გამოეპარებოდა და რამდენიმე თვე ინახავდა გაქცეულთ მის ტყეში. მას შემდეგ, როცა თბილისიდან მოვიდა ბრძანება დახვრეტის შეჩერების შესახებ, ყველანი გააპარა საიმედო ადგილებში...



ნოე (კიში) ფალავა და
პატარა ბაბო დადიანი

გაქცევის ამბავმა შეაზანზარა სენაკის მთელი მაზრა. უმაღლდაპატიმრეს ამბაკო შეროზია (მუშაობდა ბანძის მილიციის უფრო სის მოადგილედ) და რა თქმა უნდა, „მშობლიური პარტიიდან“ გარიცხეს. რაღაც სასწაულებრივად გადაურჩა დახვრეტას. ესეც კორილე ყარამანის ძე გაბუნიას წყალობით. კირილეს სიძე (დის - ნასტა გაბუნიას მეუღლე) ლეონტი კარტოზია სენაკის მაზრის უფროსი იყო². კირილეს ხვეწნა-მუდარა შეისმინა სიძემ. პატიმრობის შემდეგ ამბაკო დაბრუნდა ბანძაში... და დაიწყო ბავშვობაში ნასწავლი ხელობა - ხარაზობა (კერავდა ე. წ. უძიროებს). შუშუს და

გაქცევის ამბავმა შეაზანზარა სენაკის მთელი მაზრა. უმაღლდაპატიმრეს ამბაკო შეროზია (მუშაობდა ბანძის მილიციის უფრო

სის მოადგილედ) და რა თქმა უნდა, „მშობლიური პარტიიდან“ გარიცხეს. რაღაც სასწაულებრივად გადაურჩა დახვრეტას. ესეც კორილე ყარამანის ძე გაბუნიას წყალობით. კირილეს სიძე (დის - ნასტა გაბუნიას მეუღლე) ლეონტი კარტოზია სენაკის მაზრის უფროსი იყო². კირილეს ხვეწნა-მუდარა შეისმინა სიძემ. პატიმრობის შემდეგ ამბაკო დაბრუნდა ბანძაში... და დაიწყო ბავშვობაში ნასწავლი ხელობა - ხარაზობა (კერავდა ე. წ. უძიროებს). შუშუს და

ამბაკოს შეეძინათ 7 შვილი“¹³⁸. შემდეგ, წლების მანძილზე, ამბაკო შეროზია ბანდის მომდერალთა გუნდის წევრი იყო.



ბანდის სინაგოგა

აჯანყებულთა ერთი ნაწილი გაიქცა სვანეთის მიმართულებით. მათ შორის იყვნენ - დავით გიორგის ძე კოკაია, ბაგრატ (ძორგო) გაბუნია, გაიოზ ფადავა, ძუძუ ხაფავა, ძმები - მიხა და ბიქტორ კეკელიები, ჯონდი მიქავა და სხვები. ბანდის ოიონში აჯანყებულთა დაპატიმრებას ხელმძღვანელობდნენ ლუკა კიკალიშვილი, ზოსიმე ზარქუა და იულონ პატარაია.

შეურისძიებამ სოფელში, ისევე, როგორც მთელს საქართველოში, საშინელი ხასიათი მიიღო. აი, რას წერდა ამის შესახებ ცნობილი მეცნიერი, რუსთველოლოგი გაიოზ იმედაშვილი: „საქართველოს კონკისტადორებივით მიესივნენ და ნამდვილი კანიბალური ღრეობა გამართეს. ხელფეხშეკრულები, ერთმანეთზე გადაბმული ქართველები, ყოველგვარი დანაშაულის გარეშე, სასაკლაოზე მიჰყავდათ და როგორც მოუხდებოდათ, ისე ხოცავდნენ - არა კანონით დადგენილი წესითა და იარაღით, არამედ ისეთი წვალებით, შეურაცხყოფით და დაუნდობლობით, როგორადაც ჩვენში ცხოველებსაც არა ჰქოლავდნენ. ასე მოხდა სამეგრელოს დაბასოფლებში გეგმჭკორის ხელმძღვანელობით, იმერეთ-ზესტაფონ-

¹³⁸ გ. გაბუნია, დაუჯერებული ვაჟგაცობა. გაზ. „ქუთაისიდი“, #71 (7388), 22 ივნისი, 1991, გვ. 2.

ში ტალახაძის ხელმძღვანელობით, კახეთში - თელავ-სიღნაღში გარამაშვილის ხელმძღვანელობით“¹³⁹.



**დავით ქოქაია (1890-1937 წწ.) -
აჯანყების ერთ-ერთი მონაწილე**

სენაკის მაზრის კომუნისტური რაზმის მეთაური დავითაია თავის მოხსენებაში აცხადებდა: „თვითულ კომუნისტს გვწყუროდა დვინოსავით გვესვა აჯანყებულთა სისხლი“-ო¹⁴⁰. ბანძაშიც იგივე მოხდა: კომუნისტებმა ადგილობრივი ვაჭრებისაგან წართმეული თოკებით შეუკრეს ხელები სინაგოგაში გამომწყვდეულ პატიმრებს, ერთმანეთზე გადააბეს და გაუყენეს ახალსენაკის გზას, სადაც, საშა გეგეჭკორის ბრძანებით, თავი უნდა მოეყარათ სენაკის მაზრაში დაპატიმრებულ აჯანყებულთათვის. თითქოს, იქ უნდა მომხდარიყო მათი დაკითხვა და გასამართლება. ფაქტობრივად, აჯანყებულთა ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი: შეიარაღებულმა ბადრაგებმა (ზოსიმე ზარქუა, ელისე ურიდია, პ. გაბუნია, იულონ ძაგანია, იულონ პატარაია, სიკო დიხამინჯია, ლუკა ჯდამაია...) იცოდნენ, რომ პატიმრები გზაზე უნდა დაეხოცათ...

და მართლაც, სოფლის ბოლოში, ლეპატარეში, მდ. აბაშის მარჯვენა ნაპირას, ჯოლო-ნოქალაქენის საზღვართან, ისინი დახვრიტეს და საერთო სამარეში ჩაყარეს. იმ ადგილს ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც კოჩენავიას ეძახის. აქ დახვრიტეს კიწი, გრიშა და ვანო ფალავები, გიორგი და გვეგვე გაბუნიები, ერმილე და ჭიჭიკო ანჯაფარიძეები, ბარდლა და ძიკი მაისაიები, ჭიკვიტი შელეგია...

ხალხი განსაკუთრებით აღაშფოთა აჯანყების ახალგაზრდა მონაწილის - ჭიკვიტი შელეგიას ბედმა. იგი აბედათელი იყო. მამა რომ გარდაუცვალა, დედა ცოლად გაპყოლია თანასოფლელ სიკო

¹³⁹ „ლიტერატურული საქართველო“, 25 აგვისტო, 1989, გვ. 3.

¹⁴⁰ პ. სურგულაძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება საქართველოში. 28 აგვისტო, 1990, გვ. 4.

ჯანჯლავას, რომელთანაც იზრდებოდა ჭიკვიტი. დამთავრებული პქონდა ხონის სემინარია. ის განსაკუთრებული სილამაზითა და ნიჭიერებით გამორჩეული ახალგაზრდა ყოფილა. ჯალათის მიერ ნასროლი ტყვია ჭიკვიტის მკლავზე მოხვდა, თოკი გაწყდა და მაშინ, როცა ჯალათები დახოცილთა დასამარხად საჭირო ბარ-ნიჩბების მოსატანად სოფელში მობრუნებულან, დაჭრილმადატაროებული სიმინდის ყანებში ხოხვით მიაღწია იქვე, ახლოს მდებარე წყაროსთან (ტარჩენის შენაკადია)და დაჭრილი დაეწაფა წყაროს წყალს, მაგრამ ტყვიას მაინც ვერ გადაურჩა: სისხლის ნაკვალევით მიაგნეს და იქვე დაცხრილეს; შემდეგ ფეხზე ქამარი გამოაბეს და ათრიეს იმ ორმომდე, სადაც დახოცილები ეყარნენ. სოფლის მოსახლეობას ელვის სისწრაფით მოედო ცნობა ამ საზარელ ფაქტზე. პედაგოგმა ნათელა მოხეილის ასულმა დადიანმა გვიამბო: „ჭიკვიტის დახვრეტას შესწრებია მისი მეზობელი კონსტანტინე ჯახუა, რომელიც საქონელს აბალახებდა თურმე. - ნუ მომკლავთ, დედაჩემი საშა გეგეჭკორის დეიდაშვილია; მან ეს ამბავი არ იცის, თორემ სასიკვდილოდ როგორ გამიმეტებდაო, მიუმართავს ჯალათებისთვის. სწორედ საშა გეგეჭკორის ბრძანებითო, - უპასუხა თურმე ერთერთმა ჯალათმა ზოსიმე ზარქუამ და უმოწყალოდ დაცხრილა იგი.



ძორგო გაბუნია

ჭირისუფლებმა დამით
სცადეს დაღუპულთა ცხედრების მოპარვა და სოფლის სასაფლაოზე ქრისტიანული წესით დამარხვა, მაგრამ ჯალათებმა ამის უფლებაც არ მისცეს.

ზოგიერთმა მაინც მოახერხა მიცვალებულის მოპარვა. ასე, მაგალითად, მეუღლე და შვილი გიორგი და გვეგვე გაბუნიები, ვა-

სასი ქუჩულორიამ ახლობელთა დახმარებით მოიპარა და სოფლის ცენტრში, შაურკარის სასაფლაოზე დამარხა.

შვილის ცხედრის მოპარვა ჭიკვიტის დედამ - მენიკი ფარულავამაც შეძლო; 25 წლის შემდეგ კი შური იმით იძია, რომ ჭიკვიტის მკვლელი ზოსიმე ზარქუა საფლავიდან ამოთხარა და ღორებს მიუგდო საჯიჯგნად. მანამდე კი, სახლში ცარიელ კუბოს დასტიროდა თურმე. სწორედ ეს შემზარავი ფაქტი დაედო საფუძვლად საკმაოდ გახმაურებულ ქართულ კინოფილმს - „მონანიგბას“ (სცენარისავტორი ხოდარ წულეისკირი). ეს მოხდა სოფ. აბედათში...



ჭიკვიტი შელეგია

ჭიკვიტი შელეგიას ბიძაშვილის, აწგარდაცვლილ შურა დიმიტრის ასული შელეგია-დადიანის (1906-1999 წწ.) გადმოცემით, საშა გეგმჭკორის გარდაცვლილი ახლობლის გასვენებაზე ერთ-ერთ ჭირისუფალს ჭიკვიტის დედისთვის მიუმართავს - ჩემო მენიკი, რა ვაჟკაცი გიწევს მიწაში. მისი დაპატიმრების ამბავი საშამ არ იცოდა, თორემნათესავს სასიკვდილოდ როგორ გაწირავდაო. გამწარებულ ქალს შემდეგი პასუხი გაუცია: საშას ამბავი რომ ვიცი, სულ მარგალიტის ცრემლებს დაღვრიდა ჩემი შვილის დახვრეტის

გამო. ისემც იხარა მაგ ჯალათმაო, და დაუწყევლია...

გაქცეულთაგან ზოგმა სვანეთს შეაფარა თავი; ზოგი, მაგალითად, ბიქტორ და მიხა კეკელიები, ნაქალაქევთან (სენაკის რ.) შეიპყრეს, ტეხურის მარჯვენა ნაპირზე, ძველი ხიდის თავთან დახვრიტეს და იქვე დამარხეს. დედამ, მაშიკო პატარაიამ სამჯერ სცადა ცხედრების მოპარვა, მაგრამ უშედეგოდ: სამივეჯერ, თითქმის სახლამდე მისვენებული, „ჩეკას“ წარმომადგენლებმა უკან დააბრუნებინეს და თავისი ხელით, კვლავ ორმოში დაამარხვინეს.

პეკელიების ოჯახიდან (როგორც კი მათ შეიტყვეს მიხას და ბიქტორას ასე უღვთოდ დახოცვის ამბავი) ამ ავბედით ადგილისა-კენ მყის გაეშურნენ მიხას დედა მაშიკო და მეუღლე აზატო. მათ წაიყვანეს ხარ-ურემი, წაიყოლიეს ხუთი გაბედული ახალგაზრდა კაცი, ამოთხარეს დახვრეტილები, ტეხურაზე გადმოვიდნენ და შინისაკენ გამოეშურნენ, მაგრამ მდევარი აბაშასთან წამოეწიათ. ყველანი კონდახებით სცემეს და გვამები დაატოვებინეს.



ციცა ბებელია



ელისაბედ ჩიხლაძე

მაშიკომ და აზატომ მეორედაც გათხარეს საფლავი. ურემი, არავის რომ სცემოდა თვალში, მდინარის პირას დატოვეს და ზურგზე მოიდვეს მიხას და ბიქტორას ცხედრები, მაგრამ ამჯერა-დაც ვერ შესძლეს განზრახვის განხორციელება. ჩეკას როდი ეძი-ნა. ეს გმირი ქალები შინსახკომელებმა კვლავ დაალილავეს მუშ-ტებითა და თოფის კონდახებით.

ამ უტეხმა ადამიანებმა მესამედაც სცადეს ბედი. ამჯერად მაშიკომ მხოლოდ თავისი ხელით მოქსოვილი წინდებითდა იცნო შვილები. ისევ მოიდეს გვამები ზურგზე და სახლთან ახლოს მოი-ტანეს, მაგრამ წამოეწივნენ მილიციელნი და უმოწყალოდ სცე-

მეს“¹⁴¹. მიხა და ბიქტორ კეპელიები დღესაც ნაქალაქევში, ძველი ხიდისთავთან განისვენებენ, სხვა თანამებრძოლებთან ერთად.

ხალხი არ ივიწყებს დახვრეტილებს. სამაგიეროდ, არც ჯალათებია დავიწყებული - წყევლა-კრულვა არ აკლია მათ სახელებს.90 წელი გვაშორებს 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სისხლით და იარაღით მოსულ ხელისუფლებას არ ძალუბს, ხალხს თავისუფლება და ბედნიერება მოუტანოს.

გაზეთი „მარტვილი“, #3, აპრილი, 2015: 6-7.

¹⁴¹ გ. გიორგაძე, ძმები კეპელიები. გაზ. „პრომეთე“, #3, ივნისი, 1991: 3.

მამა ანტონ კეპელიას ცხოვრება და ღვაწლი



დეკანოზი ანტონ კეპელია

სარგის ცაიშვილი ამ ოცდაათიოდე წლის წინ პედაგოგ ვასილ აბდუშელიშვილისადმი მიძღვნილ სტატიაში წერდა: „თუ გავიხსენებთ ჩვენი ქვეყნის არცთუ ისე შორეულ წარსულს, ერთი შეხედვით უცნაურ რასმე შევამჩნევთ: როგორც ცნობილია, XIX საუკუნის, განსაკუთრებით კი მისი ბოლო მეოთხედიდან, რუსეთსა და მთელს ციკილიზებულ ევროპას, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მოედვნენ“ სწავლამოწყურებული ქართველი ახალგაზრდები. სად არ ნახავთ მათ, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში?! ხოლო ასეთ ადგილებში რამდენიმე ქართველი მაინც თუ მოიყრიდა ერთად თავს, მყისვე იქმნებოდა პატარა საქართველოები, ე.წ. „ქართველთა სათვისტო-მოების“ სახით... მაგრამ ნიშანდობლივი აქ უფრო სხვა რამ იყო. განათლების ასეთი მაღალი საფეხურის დაუფლების შემდგომ, როგორც წესი, მათში არ იღვიძებდა რაიმე განსაკუთრებული პატივმოყვარეობა. ისინი არ თაკილობდნენ სულ უბრალო თანამდებობასაც კი, როგორც ქალაქად, ისე საქართველოს მივარდნილ კუთხეებში, ოღონდ თავისი წვლილი შეეტანათ ჩვენი ქვეყნის აღორძინების საქმეში. სხვათა შორის, ასე გრძელდებოდა შემდგაც, როცა ჩვენში უავე არსებობდა მაღალი რანგის კულტურული თუ სამეცნიერო ცენტრები... ბევრი მათგანის სახელი ჩვენ არც კი ვიცით, თუმცა ცხადია, რომ სწორედ მათ მხრებზე გადაიარა იმ მძიმე ტვირთმა, რომლის ზიდვაც აუცილებელი იყო მშობლიური ქვეყნის შემდგომი აღორძინებისათვის“¹⁴².

ერთ ასეთ პიროვნებად შემორჩა საქართველოს მართლმა-

¹⁴² ს. ცაიშვილი, წინამორბედნი და თანამედროვები, თბ., 1989, გვ. 414.

დიდებელი ეკლესიისა და ქართული კულტურის ისტორიას მამა ანტონ იოანეს ძე კეკლიას (1855-1920 წწ.) სახელი. ის იყო მთელს სამეგრელოში ცნობილი სასულიერო პირი, დიდი განმანათლებელი და საზოგადო მოღვაწე; ოღონდ ერთი განსხვავებით - სარგის ცაიშვილის მიერ დახასიათებული, სწავლამოწყურებული ქართველი ახალგაზრდების მსგავსად, უმაღლესი განათლება მას ეპროპის ქალაქებში არ მიუღია. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში; შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს და გააჩადა ენერგიული მუშაობა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ჯანდაცვის კერის დასაარსებლად.

მამა ანტონმა 65 წელი იცხოვრა და ამ ხნის მანძილზე მისმა მოუღლელმა მარჯვენამ ბევრი კეთილი, საშვილიშვილო, დასაფასებელი საქმის გაკეთება მოასწრო. მარტო ის ფაქტი, რომ ეს პოროვნება იყო სამეგრელოში 15-მდე სკოლის დაარსების ინიციატორი, უდავოდ, ბევრის მთქმელია. „თუ გავითვალისწინებთ სკოლის გახსნასთან დაკავშირებულ სიძნელეებს თვით ახლაც კი - განათლების სისტემის დღევანდელ საფეხურზე, ადვილი წარმოსადგენია, რა დაბრკოლებები უნდა შეხვედროდა არათუ ათეულზე მეტის, არამედ თუნდაც ერთი სკოლის გახსნას იმ დროს, როცა სოფლად სწავლა-განათლების საჭიროება ხშირად სადაც კი იყო მიჩნეული. საზოგადოებაში, რომელიც დრომოჭმულ წარმოდგენათაგან ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულიყო, არც მოწინავე პიროვნების საქმიანობით აღძრულ-ნასაზრდოები შური გამოირიცხებოდა. დავუმატოთ ამას მატერიალური სახსრების პრობლემა და გავიხსენოთ სამოქმედო ასპარეზიც - რუსეთის ვრცელი იმპერიის პერიფერია ადგილობრივ აყვავებული ბიუროკრატიული სისტემით“² - წერს ვახტანგ როდონაია¹⁴³. მიუხედავად ამისა, არაფერს არ შეუშუნდა იგი, არაფრის წინაშე უკან არ დაუხევია.

მამა ანტონმა თავისი შეგნებული სიცოცხლე მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს შეალია. მისი საგანმანათლებლო საქმიანობა ფართოდ შუქდებოდა იმდროინდელ ქართულ პრესაშიც.

¹⁴³ ვ. როდონაია, მადლის გზით მავალი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 5 ოქტომბერი, 1990: გვ. 15.



1875 წელს სოფ. ბანძაში, დღევანდელ ვედიდკარის ტერიტორიაზე გაიხსნა სასოფლო-სამინისტრო უწყების ერთადერთი სკოლა, რაც ვერ აქმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნას; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მოსწავლეთა მიღება შეზღუდული იყო, მეორეც, სკოლაში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო მშობლიური ქართული ენა იდევნებოდა. XIX ს-ის 80-90-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო სამრევლო სკოლების გახსნა ეკლესიებთან, მდგდლის გამგებლობის ქვეშ. 1891 წელს ბანძაში, შაურკარის წმ. გიორგის ეკლესიასთან, სასულიერო უწყების სახით დაარსდა ერთკლასიანი სამრევლო სკოლა, სადაც მთავარი საგანი ქართული ენა იყო. სკოლას დეკანოზი ანტონ კეკელია განაგებდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა ტერილი, სადაც ვკითხულობთ: ბანძა დიდი სოფელია, სადაც ბევრი თავად-აზნაური ცხოვრობს. მიუხედავდ ამისა, სოფელში სკოლის დაარსებისათვის არავინ ფიქრობს. ამ საქმის მოგვარებისთვის ზრუნვა დაიწყო ბლალოჩინმა ანტონ კეკელიამ, რომელმაც საკუთარი ხარჯით სოფლის ცენტრში ააგო შენობა სკოლისათვის, რომელიც აკურ-

თხა კიდეც და სწავლა საახალწლოდ დაიწყებაო¹⁴⁴.

მამა ანტონის შვილიშვილმა ოიდიპოს (ბოჩია) კეპელიამ გვიამბო: „ბაბუაჩემს სკოლის გახსნის საქმეში ბევრი მოქიშპე ჰყოლია. სამღვდელოების ერთ ნაწილს სკოლის მარტვილში გახსნა უნდოდა. მართალია, მარტვილში სასულიერო სასწავლებელი 1830 წლიდან არსებობდა, მაგრამ 1873 წლის 12 ოქტომბერს სკოლის შენობას ხანძარი გაუჩინეს და დაწვეს. 1876 წელს ახალი, რვაოთახიანი ხის ყაზარმული შენობა აუგიათ, რომელიც გარედან გაჯით ყოფილა შელესილი. 1882 წელს მომავალ დიაკვნებს (ასე უწოდებდნენ მოსწავლეებს) ეს შენობაც დაუწვავთ. ამის მიზეზი სასწავლებლის სიშორე და სწავლების აუტანელი პირობები იყო. შემდეგ მღეროდნენ კიდეც: „ნიორი და ხახვის ფოჩი, მადლობა დმერთს, მარტვილს მოვრჩი“. მარტვილის სასწავლებლის ისტორია დაწვრილებით აქვს აღწერილი მამა ანტონის სიძეს, ცნობილ მწერალსა და სახოგადო მორვაწეს - თედო სახოკიას, წიგნში - „როგორ ვიზრდებოდით ძველად“. დიდი ხნის მანძილზე დღის წესრიგში იდგა მარტვილში სასწავლებლის არსებობის საჭიროება, მარტვილელები ყოველ დონეს ხმარობდნენ, რომ სკოლის შენობა, ბანდის ნაცვლად, მარტვილში დადგმულიყო, მაგრამ დეკანოზმა ანტონმა იმდენი ირბინა თბილისში, რომ განათლების სახელმწიფო მესვეურებს საბოლოოდ საქმე ბანდის სასარგებლოდ გადაწყვეტინა. ერთხელ, თურმე, თბილისში უნდა წასულიყო. მოძღვარი სკოლის საქმეებით იმდენად ყოფილა დაკავებული, რომ დილით, სიჩქარის გამო, შარვლის ჩაცმა დავიწყებია და ასე, უშარვლოდ, მხოლოდ ანაფორით, ჩასულა თბილისში. იქ ბანძიდან დიდი ხნის წინ დედაქალაქში საცხოვრებლად გადასულ ნაცნობთან - ალექსანდრე (საშა) კეკელიასთან მისულა და კარებიდანვე შეუძახნია: არიქა, შვილო, როგორმე ჩემი ზომის ძიქვა (შარვალი) მომიძებნე, თორემ მომეჭრა თავიო“.

მაინც არ ისვენებდნენ მოქიშპეები - დეკანოზი სკოლის მშენებლობის დაწყებას არ აპირებსო, და რევიზია გამოგზავნეს. „ინფორმირებულმა ანტონმა ერთ დამეში მოაზიდვინა თანასოფლელებს საბალაკრო ქვა მდ. აბაშის პირიდან, რისთვისაც მთელი

¹⁴⁴ გაზ. „ივერია“, 17 დეკემბერი, 1892.

ხარჯი (900 მან.) თვითონ გაიღო. ამასთანავე, მოსულ სტუმრებს გალობით შეაგება მოსწავლეთა გუნდი, თვითონაც სიტყვით მიმართა. რევიზორი დარწმუნდა, რომ ბავშვებმა იცოდნენ ლოცვა, პირჯვრის წერა, რუსულადაც ლაპარაკობდნენ. ბლაფოჩინის დიპლომატიურმა სვლამ გაჭრა და რევიზორს საბოლოოდ გადააწყვეტინა საკითხი ბანძის სკოლის სასარგებლოდ¹⁴⁵. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მამა ანტონმა თავის მეუღლეს - ეპრაქსია ოქროპირის ასულ რურუს მზითვიც კი გაუყიდა და შეგროვილი თანხა ბანძის სამრევლო სკოლისთვის შენობის დადგმას მოახმარა.

ცნობილია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტული ებრაელები დევნასა და შევიწროებას განიცდიდნენ, საქართველოში კი მსგავს მოვლენებს ადგილი არასდროს ჰქონია; პირქიო, ძნელბედობის უამს ქართველები მუდამ დახმარების ხელს უწვდიდნენ მათ. ჩვენ ხელთ არსებული უამრავი ფაქტიდან ამჟამად ბანძელ ებრაელთა ისტორიის ორ ეპიზოდზე გავამახვილებთ ყურადღებას, რითაც შევეცდებით წარმოვაჩინოთ ებრაელებისადმი სოფლის ქრისტიანი მოსახლეობის დამოკიდებულება.

XX ს-ის დასაწყისში, განსაკუთრებით, რევოლუციის ქარცეცხლიან დღეებში, ებრაელთა აკლებას მასშტაბური ხასიათი ჰქონდა რუსეთში. ასე, მაგალითად, რუსეთის ქალაქ ბელოსტოკში მძარცველები ოთხი დღის განმავლობაში ანადგურებდნენ მათს ქონებას.

ებრაელთა მოსალოდნელი დარბევის შესახებ ხმა გავრცელდა საქართველოშიც. ბანძელ ებრაელებს დეკანოზ ანტონ კეპალიასთვის მიუმართავთ. მამა ანტონი უაღრესად კეთილი და გაჭირვებულთა გამკითხავი იყო. მან დახმარება აღუთქვა ებრაელებს; ეფრემ და დავით აჯიაშვილებს ფართლეული მოაზიდვინა და საკუთარი სახლის პირველ სართულზე, დიდ დარბაზში, საგულდაგულოდ შეანახვინა; თანაც, ქონებას დამცველად ებრაელთა თემიდან ერთი კაცი მიუჩინა, ბანძელ სამსონ დანელიასთან ერთად. მიუხედავად მოარული ხმებისა, ქართველი ებრაელები მაშინ ძარცვასა და რბევა-აწიოკებას გადარჩენილან.

მეორე ეპიზოდი 1911-1912 წლების ზამთრის დიდოვლობას-

¹⁴⁵ ვ. როდონაია, მადლის გზით მავალი, „ლიტერატურული საქართველო“, 5 ოქტომბერი, 1990: 15.

თანაა დაკავშირებული. თოვლის საფარს თურმე 3 მეტრისთვის მიუღწევია. ბანძელი ებრაელები თავს ვაჭრობით ირჩენდნენ. დიდ-თოვლობის გამო გზები ჩაკეტილა. ამიტომ კვირაობით ბაზარში დგომა კი არა, გარეთ გამოსვლაც კი ჭირდა. ებრაელები მიწას არ ამჟავებდნენ. თითქმის ვერც ერთი ებრაელის ოჯახში სასიმინდეს ვერ ნახავდით. საჭიროების შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ისინი ბანძელი ქრისტიანებისგან ყიდულობდნენ. დიდთოვლობისას ორი თუ სამი კვირის მარაგი შემოლევიათ, ვაჭრობა შეუძლებელი იყო და გზების ჩაკეტვის გამო ვერც ქუთაისში მოუხერხებიათ წასვლა, რომ იქ მაინც შეეძინათ პროდუქტები. უკიდურეს გასაჭირში ჩავარდნილი ბანძელ ებრაელთა ასობით ოჯახს ბანძელი ქრისტიანებისთვის მიუმართავს დახმარებისთვის. დავით აჯიაშვილი ებრაელთა სახელით მამა ანტონთან მისულა და დახმარების გაწევა უთხოვია. იმანაც, როგორც სჩვეოდა, დახმარების ხელი გაუწოდა ბანძელ ებრაელებს - სამი ბელელი სიმინდი დაუთმო და ისინი შიმშილით დახოცვას გადაარჩინა.

ეს პატივისცემა არ დაუვიწყეს დეკანოზს ებრაელებმა. მათ მთელი გულით შეიყვარეს მამა ანტონი და მისი ოჯახი. როცა იგი გარდაიცვალა, დავით აჯიაშვილმა ბანძელ ებრაელთა სახელით გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც იმ დახმარებაზეც ისაუბრა, დეკანოზს რომ არაერთხელ აღმოუჩენია გაჭირვა-ბაში ჩავარდნილი ებრაელობისთვის.

ასეთი იყო დეკანოზი ანტონ კეკელია: ამაღლებული, უბრალოებით გამორჩეული, უზადო და უზაკველი სულის პატრონი, სხვისი ჭირი რომ თავისად მიაჩნდა და ეროვნებითა და სარწმუნოებით სხვა თემის ხალხს მუდამ ხელს უმართავდა. ეს ორი ფაქტიც ნათლად მოწმობს იმას, თუ როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ ქართველები და ებრაელები ერთმანეთთან. ასეთმა მხარდაჭერამ კიდევ უფრო განუმტკიცა ებრაელებს ქართველი ხალხის სიყვარული¹⁴⁶.

1896 წელს ბანძის ერთკლასიანი სასწავლებული ორკლასიან


¹⁴⁶ ი. გეგელია, „ოდეს კაცსა დაქართვოს“ (ორი ეპიზოდი ბანძელ ებრაელთა ისტორიიდან). ქრ. „მამა ანტონ კეკელია“. თბ., 2004: 7-8.

საეკლესიო-სამრევლო სკოლად გადაკეთდა. მის გახსნაზე სიტყვები წარმოუთქვამთ: სამრევლო სკოლების მეთვალყურეს, ცნობილ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს - თედო ჟორდანიას, ცნობილ ვექილსა და საზოგადო მოღვაწეს, მელქისედექ (მექი) ფადავას, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლ დადიანს და სხვებს. სკოლასთან უფასო სამკითხველოს გახსნა უკისრია ცნობილ ქველმოქმედ მანდილოსანს დარია ფადავას და ფონდიც, წიგნების შესაძენად, 300 მანეთამდე შეუდგენია¹⁴⁷ აღნიშნულ სკოლას 1917 წლამდე მამა ანტონი განაგებდა. ასწავლიდა ფრანგულ ენასა და არითმეტიკას. ამ დროიდან კვლავ დაიწყო ბრძოლა მოძღვრის წინააღმდეგ, რაც ნათლად ჩანს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილიდან. დეკანოზი ანტონ კეკელია გაზეთის რედაქტორს შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის:



**დეკანოზი ანტონ კეკელია სენაკის სასულიერო
სასწავლებლის პედაგოგებთან**

¹⁴⁷ ქურნ. „მწევები“, 1896, #20; გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1896, #29.



1917 წელს ქართულმა მართლმადიდებლურმა ეპლესიამ სრულიად საქართველოს გათოლიგოს-პატრიარქად აირჩია გირიონ II (სახავლიშვილი).
სურათი: II რიგში, მარჯვნიდან მეორეზე ზემო დაჭრიული ანგლი კაცების ტბილია თბილია 17 სექტემბერი, 1917 წ.

„ბ-ნო რედაქტორო, უმორჩილესადა გთხოვთ, „საქართველოში“ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს.

მარტის 19 დ. ახალსენაკში გაიმართა სენაკის მაზრის მასწავლებელთა საზოგადო კრება. კრებაზე, სხვათა შორის, ლაპარაკი ყოფილა იმის შესახებ, რომ სახალხო შკოლებს არასასურველი ელემენტი ჩამოაშორონ. არასასურველთა შორის მეც მოყოლივარ, ადამიანი, რომელიც 43 წელიწადია სახალხო განათლებას ვემსახურები. ჩემს მოწინააღმდეგებად გამოსულან მასწავლებელი მ. კაჭარავა, პ. კალანდარიშვილი და ი. ხუხუა. სამივე ერთს დროს ჩემს მიერ რწმუნებულ სასწავლებელში იყვნენ და სასწავლებლის ინტერესებმა იძულებულ მყო სასწავლებლისათვის სამივე მომეშორებინა. მასწავლებელთა კრების მიერ აღმასრულებელ კომისიის წევრებად მოჰყოლიან მასწავლებელნი კაჭარავა და კალანდარიშვილი, ჩემნი ბრალმდებელნი და იმავე დროს გამსამართლებელნი.

უმორჩილესადა ვსთხოვ კომისიას, სანამ თავისს მსჯავრს რასმე გამოიტანდეს, საქმე გამოიძიოს; იმედი მაქვს კომისიის პირუთვნელობისა და მაშინ შეიძლება როლები იცვალოს, დღევანდელნი ბრალმდებელნი ჩემნი იძულებულნი იქმნენ პასუხისმგებლად იქცნენ და ძალზედაც გაუჭირდესთ ეს პასუხისმგება¹⁴⁸ დეკანოზს შთამაგონებელი გარეგნობა და შესანიშნავი ხმა გამოარჩევდა. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, მოძღვრის სიძის - თედო სახოკიას მოგონება: „პარიზში 1900 წლის მსოფლიო გამოფენაა. საქართველოდან ჩამოსულს საფრანგეთის დედაქალაქში დამხვდა ჩემი მეგობარი, მხატვარი ალ. მრევლიშვილი (ფერმწერი და გრაფიკისი; 1898-1903 წლებში სწავლობდა პარიზში, ჟიულიენის აკადემიაში - ი. კ.), სამშობლოში უკვე ცნობილი და აქ ჩამოსული, აქაურ სამხატვრო აკადემიაში სამუშაოდ და თავის ხელობაში უფრო განსავითარებლად...

იმ ხანებშივე ალ. მრევლიშვილმა ჩემთან სხვა ფოტოსურათებთან ერთად დაინახა სურათი ჩემი მეგობრის, დეკანოზ ანტონ პეპელიასი, რომელიც სამეგრელოში, როგორც სასულიერო, ისე

¹⁴⁸ ანტონ პეპელია, წერილი რედაქტორის მიმართ. გაზ. „საქართველო“, #83, 18 აპრილი, 1917: 4.

სახორციელოთა შორის უმშვენიერესის, პირდაპირ კლასიკური სილამაზის ადამიანად ითვლებოდა. განსაკუთრებით ჰშვენოდა ანაფორაში და მაყურებელი ძალაუნებურად ქრისტეს სახეს ადარებდა... მხატვრის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ხსენებულმა სურათმა და საშამ, როგორც ჩვეულება ჰქონდა, ჯერ ფანქრით დახატა კედელზე. ზეთის წამლებით კი სამშობლოში დაგხატავო, სულ კი იმას იძახდა: ქრისტეს დახატვა ვისაც უნდა, ტიპად ეს ადამიანი უნდა გამოიყენოსო. მართლაც, მისი ფრანგი ამხანაგები, ვინც კი ნახავდა კედელზე დახატულს სურათს, ყველას თვალი ზედა რჩებოდა და ყველანი იძახდნენ თურმე - ქრისტე ასეთად უნდა დაიხატოს“¹⁴⁹.

მამა ანტონი გარდაიცვალა 1920 წლის 12 აგვისტოს, თბილისში, შუაყურის ანთებით. დაკრძალულია ბანძაში, შაურკარის სასაფლაოზე. 160 წელი გვაშორებს მამა ანტონის დაბადებას, ცხრა ათეულზე მეტი წელი გარდაცვალებას, მაგრამ ცოცხლობს მისი საქმენი, ცოცხლობს თვითონაც, როგორც მშობელი ქვეყნის უკვდავ-უბერებელი მეციხოვნე. ილია მართლის გზით მიმავალ დიდ მამულიშვილს, სრული უფლება ჰქონდა, სიცოცხლეშივე, ერისა და ქვეყნის გასაგონად ეთქვა: „მე უკვე შევსვი უკვდავების წყაროსწყალი. ქართველებო, ალავერდს თქვენთანა ვარო“¹⁵⁰.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

გაზ. „ივერია“, 17 დეკემბერი, 1892 წ.

ანტონ კეკელია, წერილი რედაქტორის მიმართ. გაზ. „საქართველო“, #83, 18 აპრილი, 1917.

იგორ კეკელია, ილია მართლის გზით. გაზეთი „მახარია“, #2 (7), 2001.

იგორ კეკელია, მწერლისნი კეთილნი. გაზ. „მახარია“, 2001.

იგორ კეკელია, „ოდეს კაცსა დაეჭირვოს“ (ორი ეპიზოდი ბანძელ ებრაელთა ისტორიიდან). კრ. „მამა ანტონ კეკელია“. თბ., 2004.

¹⁴⁹ თ. სახორცია, როგორ ვიზრდებოდით ძველად, თბ., 1969, გვ. 190-192.

¹⁵⁰ ი. კეკელია, ილია მართლის გზით. გაზ. „მახარია“, #2 (7), 2001, გვ. 6.

მამა ანტონ კეკელია. ობ., 2004.

ჟურნ. „მწყემსი“, 1896, #20.

გახტანგ როდონაია, მადლის გზით მავალი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, 5 ოქტომბერი.

გაზეთი „საქართველო“, #83, 18 აპრილი, 1917.

თედო სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები. ობ., 1969.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“, #29, 1896.

Igor Kekelia

LIFE AND ACTIVITIES OF FATHER ANTON KEKELIA

(DEDICATED TO 160 ANNIVERSARY FROM HIS BIRTH)

RESUME

The aim of this article is to learn the life and worn of Father Anton Kekelia (1855-1920). To the name of this well-known clergyman, eduqator and public Figure in Samegrelo, is connected doing a lot of kind, praiseworthy, commendable things. It's important to say that he was an initiator of foundation about 15 shools in Samegrelo, and opening a post-office, in his native village, court, bank and hospital. Father Anton dedicatied his Whole life to the affairs of eduqation of Young people. His educational work was described in Georgian printing press.

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
პუმანიგარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის
შრომათა კრებული, #11, 2016, გვ. 152-163.

შინაარსი

ბანძის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება	3
ბანძის ისტორიულ-ყოფითი ძეგლების დაცვისათვის	20
სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ისტორიიდან ბანძაში (XIX ს-ის II ნახევარი – XX ს-ის I ნახევარი)	51
მასალები ბანძელ ებრაელთა ისტორიისათვის	68
„...არ მოვიფიქრებდი, რომ შექსპირის დრამა, ისიც ბანძაში, ესე წარმოდგებოდა“	72
დიდი აკაკი - ბანძის სტუმარი	75
სოფელ ბანძაში სარკინიგზო ხაზის მშენებლობის მცდელობის ისტორიიდან	77
ქალთა 1916 წლის დემონსტრაცია ბანძაში	84
რა მოხდა 1924 წელს სოფელ ბანძაში?!?	86
მამა ანტონ ქეკელიას ცხოვრება და ლვაწლი	96

იგორ კეპელია
ბანდა -
ესკიზები სოფლის წარსულიდან
I

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლევან იობაძე

ქაღალდის ზომა 1/16
ნაბეჭდი თაბახი 7,5
ტირაჟი 100

დაიბეჭდა ი. მ. მარიამ იობაძის მიერ
ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 25-1
ტელ.: 599 18 20 98; 592 02 25 55; 579 10 13 23
ელ-ფოსტა: levanistamba@mail.ru; iobadze13@mail.ru